

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, # 2

ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო

წ ა რ მ ო ე ბ ა

1. **სარჩელის მიღებაზე უარის თქმა**
2. **განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე**
 - განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ
 - უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე
3. **სასამართლო გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**
4. **პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა**
5. **მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება**
 - სარჩელის განუხილველად დატოვება მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო
 - სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები
 - სასამართლო პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა
 - სასამართლო უწყების ჩაბარება
 - ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება
6. **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
 - დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შესაგებლის შეტანის შედეგები
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა
 - კერძო საჩივრის შეტანის ვადა
 - სასამართლო უწყების ჩაბარება
7. **პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა და შედეგები**
 - მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები
 - სასამართლოში პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

1. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა

განჩინება

#ას-160-152-2010

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმება

კერძო საჩივრის დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტებისა და აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 სექტემბერს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. მ-მემ მოპასუხე ზუგდიდის სს "მ-ის" მიმართ აქციონერთა 2004 წლის 2 ივლისის საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით, 2004 წლის 2 ივლისს აქციონერთა საერთო კრება ჩატარდა კანონდარღვევით, კერძოდ, აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თაობაზე არ ეცნობათ აქციონერებს, არ გამოქვეყნდა ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების შესახებ, აქციონერებს არ გაეზავნათ წესდების შეცვლის შესახებ პროექტი, კრების ოქმი იყო ყალბი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წლის 21 ივნისს შედგა სს "მ-ის" აქციონერთა საერთო კრება, რის შესახებ ოცი დღის ვადაში გამოცხადებული იყო ტელეკომპანია "ო-ის" მორბენალი სტრიქონით, ხოლო განცხადება განთავსებული იყო დღის წესრიგის მითითებით ადმინისტრაციის შენობაში. 2004 წლის 21 ივნისს კვორუმის არარსებობის გამო კრების მოწვევის თარიღად დაინიშნა 2004 წლის 2 ივლისი. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წლის 2 ივლისს ჩატარებულ საერთო კრებაზე გადაწყვეტილება კანონშესაბამისად იქნა მიღებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად. მ. მ-მემ სააპელაციო საჩივარში ასევე მოითხოვა სააციო საზოგადოების დირექტორ ბ. გ-ავას თანამდებობიდან გათავისუფლება, მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხის გადაწყვეტა და მორალური ზიანის ანაზღაურება 500 000 ლარის ოდენობით. აპელანტი მიუთითებდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აქციონერთა საერთო კრების შესახებ ტელევიზიით განცხადების გაკეთება და დღის წესრიგის გამოკვრა ადმინისტრაციულ შენობაში არასწორად იქნა მიჩნეული კრების კანონიერად მოწვევის საფუძველად, ვინაიდან წესდების შესაბამისად საერთო კრება მოიწვეოდა 20-დღიდან ვადაში დირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერთა რეესტრში მითითებულ მისამართზე აქციონერისათვის მოსაწვევის გაგზავნით.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით მ. მ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა სს "მ-ის" აქციონერთა 2004 წლის 2 ივლისის საერთო კრების ოქმი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ტელევიზიით მორბენალი სტრიქონის მეშვეობით აქციონერთა საერთო კრების მოწვევა არ პასუხობდა კანონის მოთხოვნებს, კანონით ხოვდა კრების თაობაზე ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებას, რა დროსაც გარდა კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციისა, გამოცხადებული უნდა ყოფილიყო დღის წესრიგი და რეკომენდაციები შესაძლო ცვლილებების მითითებით. ტელევიზიით მორბენალი სტრიქონის საშუალებით შეუძლებელი იყო ამომწურავად მხარეთა ინფორმირება. სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილობითი შეტყობინების საშუალებით აქციონერთა სრულად მოწვევა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. რაც შეეხებოდა მ. მ-მის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას ბ. გ-ავას მიმართ სისხლისსამართლებრივი და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი სცილდებოდა სააპელაციო პალატის კომპეტენციას და სარჩელის ფარგლებს. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. მ-მის მოთხოვნა მორალური ზიანის სახით ბ. გ-ავასათვის 500 000

ლარის დაკისრების შესახებ, რადგან აღნიშნული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ძემ სს "მ-ის" დირექტორ ბ. გ-ავას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და 500 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში და მოითხოვა საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოცემულ საქმეზე გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება ბ. გ-ავას თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მ. მ-ძის სასარგებლოდ 500 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა აპალატის 2007 წლის 29 მარტის განჩინებით მ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი ბ. გ-ავას თანამდებობიდან გათავისუფლებისა და 500 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში განუხილველად იქნა დატოვებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა აღნიშნული მოთხოვნები წარადგინა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო დავის საგნის შეცვლა ან გადიდება დასაშვები იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას დაეთანხმებოდა მოწინააღმდეგე მხარე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის გაზრდას, პრაქტიკულად კი ახალი მოთხოვნის დაყენებას, არ დათანხმებია მოწინააღმდეგე მხარე.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ აღნიშნული მოთხოვნები მან დააყენა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა ამის შესახებ არ მიეთითა საქმეში.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებით მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მ. მ-ძის სარჩელის თაობაზე განხილული დავა სხვა გარემოებებს ეფუძნებოდა და ეხებოდა აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, მოპასუხეს წარმოადგენდა სს "მ-ი" როგორც იურიდიული პირი და არა ბ. გ-ავა, როგორც ფიზიკური პირი.

2009 წლის 24 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მ. მ-ძემ და მოითხოვა 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ: ნიშნავდა თუ არა სს "მ-ის" 2004 წლის 2 ივლისის საერთო კრების ოქმის გაუქმება და ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა აღნიშნულ კრებაზე დამტკიცებული წესდების ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობას. შუამდგომლობის ავტორი ასევე ითხოვდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი წესდების, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ბათილად ცნობის ან რეგისტრაციის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ძის შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ნათლად ჩანდა, თუ რა დაადგინა სასამართლომ და, შესაბამისად, განმარტების საჭიროებაც არ არსებობდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბერს მ. მ-ძემ კვლავ მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა გადაწყვეტილების მიღება ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ზუგდიდის სს "მ-ის" ბათილად ცნობილი წესდების რეგისტრაციის ბათილად ცნობის და რეგისტრაციის მოხსნის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით უარი ეთქვა მ. მ-ძეს შუამდგომლობის მიღებაზე დაუშვებლობის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხზე უკვე იმსჯელა 2009 წლის 30 იანვრის განჩინებაში და განმცხადებელს უარი უთხრა.

2010 წლის 8 იანვარს მ. მ-ძემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კვლავ მიმართა შუამდგომლობით ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების განმარტებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 იანვრის განჩინებით მ. მ-მეს უარი ეთქვა შუამდგომლობის მიღებაზე დაუშვებლობის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნებზე უკვე იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ და აღნიშნული შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-მის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც ითხოვდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების განმარტებას, არ დაკმაყოფილდა. მ. მ-მის მოთხოვნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილების მიღების შესახებ 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით არ იქნა მიღებული დაუშვებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის დაკმაყოფილება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი წესდება კვლავ სამეწარმეო რეესტრშია რეგისტრირებული გაუქმებული კრების გაუქმებული ოქმით და რეგისტრაციის ბათილად ცნობა შეუძლებელია გადაწყვეტილების განმარტების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა ალტერნატიული შუამდგომლობები, რომლის მიღებაზეც უარი ეთქვა, ვინაიდან მასზე უკვე ნამსჯელი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრისა და 2010 წლის 18 იანვრის განჩინებებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო სასამართლოში თავდაპირველად წარდგენილი შუამდგომლობებით მის მიერ უკვე გამოყენებულია გადაწყვეტილების განმარტებისა და აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის საპროცესო საშუალება, ხოლო იმავე შუამდგომლობის სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა შუამდგომლობის მიღებაზე უარის საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

#ას-259-244-10 3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ვალდებულების დარღვევით გამოწვეული თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ე. კ-ის" წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ჯ-შვილის სარჩელი შპს "ე. კ-ის" მიმართ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული თანხის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ე. კ-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით შპს "ე. კ-ის" სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2010 წლის 28 იანვარს ნ. ჯ-შვილის წარმომადგენლის ბ. ბ-შვილის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებით ნ. ჯ-შვილის წარმომადგენელ ბ. ბ-შვილის განცხადება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

მითითებული განჩინება ნ. ჯ-შვილის წარმომადგენლის ბ. ბ-შვილის მიერ გასაჩივრებულ იქნა საჩივრით. საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ახალი განჩინების მიღება.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ შპს "ე. კ-ს" გააჩნია ბანკების დიდი რაოდენობით სესხი, რის გამოც არის საშიშროება, რომ მთელი უძრავი ქონების დაყადაღების შემთხვევაშიც კი ვერ მოხერხდება გადაწყვეტილების აღსრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა მოითხოვა მთლიანად შპს "ე. კ-ის" უძრავი ქონების დაყადაღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 თებერვლის განჩინებით ნ. ჯ-შვილის წარმომადგენლის ბ. ბ-შვილის საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განჩინებით ნ. ჯ-შვილის წარმომადგენელ ბ. ბ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიებები 2009 წლის 10 მარტისა და 2009 წლის 29 მაისის განჩინებებით, რომლითაც ყადაღა დაედო შპს "ე. კ-ის" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. ის გარემოება, რომ აღნიშნული დაყადაღებული ქონების მხოლოდ ნაწილია იპოთეკით დაუტვირთავი, რაც სამომავლოდ ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, პალატამ მიიჩნია დაუსაბუთებლად, რადგან საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ დაყადაღებული ქონება ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას და განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. ჯ-შვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიებები 2009 წლის 10 მარტისა და 2009 წლის 29 მაისის განჩინებებით, რომლითაც ყადაღა დაედო შპს "ე. კ-ის" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, დაყადაღებული ქონების მხოლოდ ნაწილია იპოთეკით დაუტვირთავი და აღნიშნული სამომავლოდ ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა, რომ ქონების დაყადაღება ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას და განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ყადაღის დადება შეიძლება მხოლოდ მოპასუხის ქონებაზე, რომელიც არის მასთან ან სხვა პირთან. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი,

რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლო გამოიყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას.

განსახილველი ნორმის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნული მუხლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია არ არსებობს შპს "ე. კ-ის" დამატებით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ნ. ჯ-შვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ჯ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე

განჩინება

#ას-759-108-07

29 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ძირითად და მესამე პირის სარჩელებში - ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შეგებულ სარჩელში - წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. უ-ქმ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ძის, ნოტარიუს ნ. ა-ძისა და თ. ვ-ელის მიმართ ერთი პირის საწარმო "შ-სა" და გ.დ-ძეს შორის 1996 წლის 12 სექტემბერს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, შენობა-ნაგებობის აღებისა და საერთო სარგებლობის მიწის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარების მოთხოვნით.

გ. დ-ქმ შეგებულ სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. უ-ძის მიმართ სადავო მიწის ნაკვეთიდან 1/12-ის გამოყოფის მოთხოვნით.

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა ხ. კ-იამ ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით თ. ვ-ელის, გ. დ-ძისა და ნოტარიუს ნ. ა-ძის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ა. უ-ძეს, როგორც არასათანადო მოსარჩელეს, უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირს - ხ. კ-იას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო; გ. დ-ძის შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა - გ. დ-ძეს გამოეყო ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში საერთო სარგებლობის ეზოდან რეალურად 1/12 - 50 კვ.მ შესასვლელიდან მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის (ლიტერ "კ" სქემის მიხედვით), მარცხენა მხრიდან ღობემდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. უ-მემ და ხ. კ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინებით ა. უ-მისა და ხ. კ-იას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. უ-მემ და ხ. კ-იამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით ა. უ-მისა და ხ. კ-იას საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო ამავე სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით შეჩერდა მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება გ. დ-მის სარჩელის გამო ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ნოტარიუს ლ. ჭ-იას, ხ. კ-შივლისა და ა. უ-მის მიმართ სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის თაობაზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მოცემული საქმის წარმოება განახლდა, რადგანაც ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სამოქალაქო საქმეზე - გ. დ-მის სარჩელის გამო ა. და თ. უ-მეების, ყ. ხ-ის, ქ. ბათუმის ნოტარიუსების - ლ. ჭ-იასა და ხ. კ-შივლის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებებსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის შესახებ ა. უ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. დ-მის სარჩელი, ა. უ-მის მიმართ 1999 წლის 23 აპრილის ხ. კ-იასა და ა. უ-მეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

ხ. კ-იას წარმომადგენელმა ვ. ლ-იამ განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - ყადაღის გამოყენება გ.დ-მის კუთვნილ, ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე 20.75 კვ.მ უძრავ ქონებაზე შემდეგი დასაბუთებით: კასატორისათვის არაოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ გ.დ-მე აპირებს სადავო უძრავი ნივთის გასხვისებას, აღნიშნული კი საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. განმცხადებელმა მითითებული გარემოების დასაბუთების მიზნით წარმოადგინა მტკიცებულება, რომლის თანახმადაც, დაინტერესებულმა პირმა - ნ. ც-მემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე, გ. დ-მის კუთვნილ უძრავ ნივთზე ამონაწერის მომზადება (საკადასტრო კოდი - 05.08.13.009.01.501). ვ. ლ-იამ ასევე წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის თანახმადაც, ქ. ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე 20.75 კვ.მ უძრავი ნივთის მესაკუთრეა გ. დ-მე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ხ.კ-იას განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, დაევალა სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში ხ.კ-იას წარმომადგენელმა ვ.ლ-იამ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და ხარვეზი სრულად გამოსწორა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მოცემული განცხადების საფუძვლიანობისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ხ. კ-იას წარმომადგენელ ვ. ლ-იას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი,

რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გამწვანდება ან შეუძლებელი გახდება. ამისათვის მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გათუღდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის - გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის დასაბუთება მეტად საპასუხისმგებლოა, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების უმართებულობის შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიების შედეგად შესაძლებელია მხარეს მიაღგეს ზიანი.

განსახილველ შემთხვევაში ხ.კ-იას წარმომადგენელი ა.უ-მე სასამართლოს წინაშე შეამდგომლობს რა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - გ. დ-მის კუთვნილ, ქ. ბათუმში, ... ქ. #16-ში მდებარე 20.75 კვ.მ უძრავ ნივთზე ყადაღის დადების თაობაზე, კასატორი ყადაღის დადების აუცილებელ წინაპირობად უთითებს მხოლოდ შემდეგ გარემოებაზე, მისთვის არაოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ ნ. ც-მემ, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას გ. დ-მის კუთვნილ სადავო ფართში, განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნულ უძრავ ნივთზე ამონაწერის მომზადების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ხ.კ-იას განცხადებისა და მასზე დართული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების საფუძველი არ იკვეთება, რაც შეეხება საჯარო რეესტრისათვის ნ.ც-მის მიმართვის ფაქტს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის და აღნიშნული დაწესებულებისათვის მხოლოდ ამონაწერის მომზადების თხოვნის შესამე პირის მიმართვა არ ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების დასაბუთებულ წინაპირობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ხ.კ-იას წარმომადგენელ ვ.ლ-იას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 191-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ხ. კ-იას წარმომადგენელ ვ. ლ-იას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის სახით გ. დ-მის კუთვნილ ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე 20.75 კვ.მ უძრავ ნივთზე ყადაღის დადების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

განჩინება

#ას-880-828-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით მ. მ-ოვას სარჩელი ლ. მ-ოვის მიმართ მამის დანაშთი ქონების მესაკუთრედ ცნობისა და სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღა მოეხსნა ლ. მ-ოვის სახელზე რეგისტრირებულ ბინას, ქ. თბილისში, ... პირველი ჩიხის, სახლი #13-ს. სარეგისტრაციო ზონა - თბილისი 01, სექტორი - 19, კვარტალი - 23, ნაკვეთი - 021/009, დაზუსტებული ფართობი - 3100.00 კვ.მ მესაკუთრე - ლ. მ-ოვი, პირადი ნომერი:

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ოვამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2010 წლის 8 თებერვალს მ. მ-ოვას წარმომადგენელმა გ. ნ-შვილმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქუჩის I ჩიხის #13-ში განთავსებული სახლთმფლობელობის #9 შენობაში განთავსებული მოძრავი ნივთების დაყადაღება იმ საფუძვლით, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას, მის მფლობელობაში არსებული ნივთებით ისარგებლოს და, ამასთან, არსებობს საფრთხე მათი შესაძლო განადგურების გამო, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გაძნელდეს გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებით მ. მ-ოვას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2010 წლის 18 თებერვალს მ. მ-ოვას წარმომადგენელმა გ. ნ-შვილმა საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით მ. მ-ოვას წარმომადგენელ გ. ნ-შვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გადმოეზაგნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში განცხადება წარმომადგენდა სარჩელის უზრუნველყოფას, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან მიიჩნია, რომ განცხადება წარმომადგენდა არა სარჩელის, არამედ - გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესით. ამდენად, დავის საგნის არსიდან გამომდინარე და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი რომც დაკმაყოფილებულიყო, სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულებას ხელი არ შეეშლებოდა, შესაბამისად, მ. მ-ოვას საჩივარი პალატამ არ დააკმაყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა მ. მ-ოვას საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა და გაუქმდა ამავე სასამართლოს 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფა - ყადაღა მოეხსნა ლ. მ-ოვის სახელზე რეგისტრირებულ ბინას, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

დადგენილია, რომ 2010 წლის 8 თებერვალს მ. მ-ოვას წარმომადგენელმა გ. ნ-შვილმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქუჩის I ჩიხის #13-ში განთავსებული სახლთმფლობელობის #9 შენობაში განთავსებული მოძრავი ნივთების დაყადაღება იმ საფუძვლით, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას, მის მფლობელობაში არსებული ნივთებით ისარგებლოს და, ამასთან, არსებობს საფრთხე მათი შესაძლო განადგურების გამო; მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გაძნელდეს გადაწყვეტილების აღსრულება.

ასევე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებით მ. მ-ოვას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ განცხადება წარმოადგენდა არა სარჩელის, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. მ-ოვას სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დავის არსიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ არსებობდა ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამოც მოსალოდნელი იყო გადაწყვეტილების აღსრულების გართულება ან შეუძლებლობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით, განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინებით დარჩა ძალაში. აღნიშნული კი თავისთავად გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. მ-ოვას საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ოვას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე

განჩინება

#ას-1068-1000-10

25 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა, ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, ზიანის ანაზღაურება, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ს-ძის მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის, სააგარაკე სახლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. კ-იას, ნოტარიუს ც. ბ-ძისა და საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ბორჯომის რაიონის სახელმწიფო რეგისტრატურის მიმართ საჯარო რეესტრის უკანონო ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით.

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - დაბა ბაკურიანში, ... ქ.#29-ში მდებარე ნ. კ-იას კუთვნილი მიწის ნაკვეთი გამოთხოვილ იქნა ი. ს-ძის უკანონო მფლობელობიდან; მოპასუხეს დაევალა უძრავი ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა; დანარჩენ ნაწილში ნ. კ-იას სარჩელი და ი. ს-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 მაისის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის განჩინებით ნ. კ-იას საკასაციო საჩივრის საფუძველზე ზემოხსენებული განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

2010 წლის 17 ივნისს ნ. კ-იამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ი. ს-ძის სახელზე რიცხული, დაბა ბაკურიანში, ... ქ.#39-ში მდებარე მიწის ნაკვეთის დაყადაღება, რადგან არსებობს საშიშროება, რომ ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ი.ს-ძე გაასხვისებს სადავო ნივთს და გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით ნ. კ-იას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დაბა ბაკურიანში, ... ქ.#39-ში მდებარე, ი. ს-ძის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთს დაედო ყადაღა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში არსებობს დასაბუთებული ვარაუდი სააპელაციო საჩივრის (სარჩელის) სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას ი. ს-ძის მიერ მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ, რაც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. ს-ძის წარმომადგენელმა მ. ს-ძემ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სადავო უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება შემდეგი საფუძველით:

სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ განმცხადებელს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სათანადოდ არ დაუსაბუთებია.

სასამართლოს არ შეუფასებია ის გარემოება, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებამდე ი.ს-ძე უფლებამოსილი იყო, დაუბრკოლებლად გაესხვისებინა სადავო ქონება, რაც მას არ განუხორციელებია.

სააპელაციო პალატამ უგულვებელყო კერძო საჩივრის ავტორის ინტერესები, რადგან სადავო მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადებით ი.ს-ძეს მოესპო აღნიშნულ უძრავ ნივთზე განლაგებული სახლის გაქირავების შესაძლებლობა და მიადგა სულ მცირე - 3000 აშშ დოლარის ზიანი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ს-ძის წარმომადგენელ მ. ს-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონ-

ნისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის - მოსარჩელისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ ნ. კ-ის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ი. ს-ძის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადების აუცილებლობა მხარეს სათანადოდ არ დაუსაბუთებია და მიზანშეწონილად მიიჩნევს სადავო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ვინაიდან ი. ს-ძის მიერ სადავო უძრავი ნივთის გასხვისება ნ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ობიექტურად ხელს შეუშლის მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

კერძო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ი. ს-ძეს შეეზღუდა სადავო ნაკვეთზე არსებული სახლის გასხვისებასთან ერთად მისი გაქირავების შესაძლებლობაც, რითაც მას გარკვეული ზიანი ადგება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ი. ს-ძე უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მოითხოვოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ს-ძის წარმომადგენელ მ. ს-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სასამართლო გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განჩინება

#ას-757-708-2010

17 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

განმცხადებლის მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 აპრილს ა. ს-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე მ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვა მის მიერ სარემონტო სამუშაოებზე გაწეული საფასურის - 17 793 ლარის ანაზღაურება.

თავის მხრივ, მ. გ-შვილმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა ა. ს-მისათვის, მიუღებელი სარგებლის სახით, ბინით სარგებლობის საფასურის დაკისრება 6400 ლარის ოდენობით.

მ. გ-შვილმა ა. ს-მის სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ ა. ს-მე 2003 წლის ივნისში თვითნებურად შეიჭრა და 2008 წლის 6 ოქტომბრამდე ცხოვრობდა თავისი ძმის კუთვნილ ბინაში, სადაც, მისი თანხმობის გარეშე, ჩაატარა სარემონტო სამუშაოები.

ა. ს-მემ მ. გ-შვილის სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ბინის ქირის მოთხოვნის უფლება, თუ დაადასტურებდა ა. ს-მის მიერ სადავო ბინით სარგებლობის პერიოდში მის მიერ ბინის დაქირავებისა და ბინის ქირის გადახდის ფაქტს. ამას გარდა, ა. ს-მის განმარტებით, მ. გ-შვილი აღნიშნული პერიოდისათვის სადავო საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე არ იყო და, შესაბამისად, არც ბინის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება გააჩნდა, აღნიშნული უფლება მან 2008 წლის 5 ივნისს მოიპოვა, ანუ მას შემდეგ, რაც იგი საჯარო რეესტრში სადავო ბინის მესაკუთრედ აღირიცხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ს-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. გ-შვილს ა. ს-მის სასარგებლოდ დაეკისრა 9393 ლარის გადახდა, ა. ს-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 6400 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში; მ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

მ. გ-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ა. ს-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით მ. გ-შვილისა და ა. ს-მის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო ბინაში, რომელიც კარკასულ მდგომარეობაში იყო, ა. ს-მემ ჩაატარა მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები, რაც მ. გ-შვილს სადავოდ არ გაუხდია, თუმცა იგი არ დაეთანხმა ა. ს-მის მიერ წარმოდგენილი 05.09.2008წ. აუდიტორიული დასკვნით გასზადვრულ ღირებულებას, რომლის საპირისპიროდ წარმოადგინა 7.08.2009წ. ექსპერტიზის დასკვნა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული დასკვნა მასზე, რომ სადავო ბინაში ა. ს-მე თვითნებურად არ შეჭრილა და იგი აღნიშნულ ბინაში საცხოვრებლად შევიდა ადმინისტრაციული ორგანოს - გლდან-ნამალადევის რაიონის გამგეობის ზეპირი მითითების საფუძველზე, შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ს-მე სადავო ბინას კანონიერი საფუძვლის გარეშე ფლობდა, თუმცა იგი კეთილსინდისიერი იყო აღნიშნული ფაქტის მიმართ, რადგან მიიჩნევდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირსიტყვიერი ნებართვა ბინის ფლობისა და ამ ბინით სარგებლობის მართლზომიერი საშუალება იყო.

სადავო ბინაზე ა. ს-მის მიერ გაწეულ სამშენებლო-სარემონტო ხარჯებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქმეზე წარმოდგენილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საექსპერტო დასკვნიდან სარწმუნოა და უნდა გაზიარებულიყო ის დასკვნა, რომელიც მოთხოვნის წარმოშობის მომენტთან უფრო ახლოს იდგა. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი იყო 2008 წლის 5 სექტემბრისა და 2009 წლის 7 აგვისტოს საექსპერტო დასკვნები, ხოლო ა. ს-მის უფლება, შესრულებული სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების თაობაზე წარმოიშვა 2008 წლის 6 ოქტომბერს, ანუ პოლიციის მიერ სადავო საცხოვრებელი ბინიდან მისი გამოსახლების მომენტიდან. ამასთან, მ. გ-შვილის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა ასახავდა მხოლოდ უშუალოდ სადავო ბინის სარემონტო ხარჯებს და მასში სასამართლოს მიერ გაზიარებული დასკვნისაგან განსხვავებით მოცემული არ იყო ა. ს-მის წილი იმ საერთო ხარჯებში, რაც კორპუსის მცხოვრებლებმა გაიღეს ე.წ. "შავი კარკასის" მდგომარეობაში მყოფი კორპუსის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.3 მუხლის მი-

ხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, თუ რატომ იზიარებდა ერთ მტკიცებულებას, ხოლო მეორეს არა, სათანადოდ იყო დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ს-ძის სარჩელთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლი, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ და ასევე სწორად მოახდინა ა. ს-ძის მიერ სადავო ბინაზე კეთილსინდისიერი მფლობელობისას გაღებული აუცილებელი ხარჯებიდან ამ ნივთის მფლობელობით მიღებული სარგებლის გამოქვითვა და სწორად დააკისრა მ. გ-შვილს მის სასარგებლოდ 9393 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რომლითაც მ. გ-შვილი ბინაში ცხოვრების ღირებულების ანაზღაურებას ითხოვდა, როგორც მიუღებელ სარგებელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლიდან გამომდინარე, უსაფუძვლო იყო, ამასთან სასამართლომ განმარტა, რომ შეგებებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაექვემდებარა სადავო ბინაზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ღირებულებიდან გაქვითვას, როგორც ა. ს-ძის მიერ მიღებული სარგებელი, რაც თავის მხრივ გახდა საფუძველი პირვანდელი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოწინააღმდეგე მხარე სადავო ბინაში შესახლდა ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი მითითების საფუძველზე და, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია იგი კეთილსინდისიერ მფლობელად. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად გაიზიარა 2008 წლის 5 სექტემბერს გაცემული აუდიტის დასკვნა, რაც გახდა მიზეზი ხარჯების ოდენობის არასწორი განსაზღვრისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა დავის მორიგების გზით დამთავრების შესახებ დაკმაყოფილდა, დამტკიცდა მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. მ. გ-შვილი გადაუხდის ა. ს-ძეს სადავო ბინისათვის გაწეული ხარჯებისათვის 5000 ლარს, მიმდინარე წლის - 2010 წლის 15 დეკემბრამდე (ქ. თბილისი, ... მე-4^ა მ/რ, კორპუსი 10, ბინა 66);

2. ყადაღის მოხსნა მოხდება თანხის გადაცემისთანავე;

3. იმ შემთხვევაში, თუ მორიგების პირობა ნებაყოფლობით არ შესრულდება, მოწინააღმდეგე მხარეს რჩება უფლება, მოახდინოს მორიგების პირობის იძულებითი აღსრულება;

4. მოხსნილი კარი და უნიტაზი (რომელიც სადარბაზოშია) უბრუნდება ა. ს-ძეს.

2010 წლის 14 დეკემბერს მ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების - მ. გ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებაზე (მდებარე ქ. თბილისში, ... IV 2 მ/რ-ის, მე-10 კორპუსში, ბინა #66, წილობრივი მონაცემები - 47,41 კვ.მ) დადებული ყადაღის გაუქმება. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა თანხის გადაცემის თაობაზე 2010 წლის 14 დეკემბერს ა. ს-ძესა და მ. გ-შვილს შორის სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულების ასლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით, ა. ს-ძის მოთხოვნის საფუძველზე ყადაღა დაედო მ. გ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებას (მდებარე ქ. თბილისში, ... IV 2 მ/რ-ის, მე-10 კორპუსში, ბინა #66, წი-

ლობრივი მონაცემები - 47,41 კვ.მ). აღნიშნული დავის საკასაციო წესით განხილვისას 2010 წლის 12 ნოემბერს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ. მხარეთა აღნიშნული შუამდგომლობა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა. მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამდე მ. გ-შვილის მიერ მხარეთა შორის მორიგების აქტით შეთანხმებული თანხის გადახდა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი, 2010 წლის 14 დეკემბერს ა. ს-ძესა და მ. გ-შვილს შორის თანხის გადაცემის თაობაზე სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულების ასლით დასტურდება მ. გ-შვილის მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების - მ. გ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისში, ... IV უ მ/რ-ის, მე-10 კორპუსის, ბინა #66-ს, წილობრივი მონაცემები - 47,41 კვ.მ) დაყადაღების, კანონით გათვალისწინებული, ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 199¹ მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღა მოეხსნას მ. გ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებას (მდებარე ქ. თბილისში, ... IV უ მ/რ-ის, მე-10 კორპუსში, ბინა #66, წილობრივი მონაცემები - 47,41 კვ.მ).

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-487-798-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის საგანი: სესხის თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის და ზიანის ანაზღაურება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 15 სექტემბერს მ. ქ-იანმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის გ. ხ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2008 წლის 22 აპრილს იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ხ-ძეს ასესხა 5000 აშშ დოლარი, ყოველთვიურად 4% დარიცხვით, სამი თვის ვადით. სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქუთაისში. მიუხედავად სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლისა, გ. ხ-ძე არ ასრულებს ვალდებულებას.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის ძირითადი თანხის - 5000 აშშ დოლარის დაკისრება 4%-ის დარიცხვით და ყოველთვიურად 3%-ის, ანუ 168 დოლარის დაკისრება, ასევე, იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაცია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მას მ. ქ-იანისგან არ უსესხია 5000 აშშ დოლარი და არც იპოთეკით დაუტვირთავს ბინა. მოპასუხემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი იპოთეკის ხელშეკრულება ყალბია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ქ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ხ-მეს მ. ქ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის - 5000 აშშ დოლარის, სამი თვის პროცენტის - 600 აშშ დოლარის, მიყენებული ზიანის ყოველთვიურად 3%-ის ანუ 150 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახადა, ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე. სასამართლომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დაადგინა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სესხის თანხის გადაცემა მოხდა არა დოლარის, არამედ ევროს სახით. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურდა გ. ხ-მის ქონების დატვირთვა იპოთეკით მ. ქ-იანის სასარგებლოდ. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ იპოთეკის ხელშეკრულება არის ყალბი. აღნიშნული ხელშეკრულების სისწორე დადასტურდა ექსპერტის დასკვნით. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ ვალდებულება არ შესრულდა მოხდა კრედიტორის მიზეზით, რადგან მან მოთხოვნის მიუხედავად არ გადასცა შინაურული ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტმა მიუთითა, რომ სასამართლომ მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა საჯარო რეესტრიდან საცხოვრებელი ბინის რეგისტრაციის განცხადებისა და გადახდის ქვითრების გამოთხოვის შესახებ, რათა დადგენილიყო ხელმოწერის სიყალბე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უპასუხოდ დატოვა და ექსპერტიზაზე გადააგზავნა მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულება, რის გამოც ექსპერტიზის დასკვნა არასწორია. მოცემულ შემთხვევაში არსებობდა არამართო სასამართლოში წარდგენილი რეესტრის ჩანაწერის გაყალბების მტკიცებულებები, არამედ შეტანილი იყო სასამართლომდე საჩივარიც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში რეესტრის ჩანაწერთა სიყალბის შესახებ. მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ პირველად ისესხა 800 ევრო და ეს თანხა შედიოდა 3155 ევროს ანგარიშში. მოსამართლემ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არ გამოითხოვა მოსარჩელესთან არსებული 800 ევროს ხელწერილი. არასწორად შეაფასა წარდგენილი აუდიოკასეტა მაშინ, როცა მასში ნათლად ირკვევა მხარეებს შორის შეთანხმება არა დოლარზე, არამედ - ევროზე. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი, რომლითაც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხის და რაოდენობის ნივთი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს გადახდა უნდა დაეკისრებინა ევროთი და არა დოლარით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის განჩინებით გ. ხ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 8 აპრილს 12.00 საათზე. 2009 წლის 8 აპრილს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ხ-მემ და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის. აპელანტმა წარმოადგინა ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად, მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის განცხადება და სხდომა გადაიდო 2009 წლის 22 აპრილამდე. 2009 წლის 22 აპრილს აპელანტმა კვლავ წარადგინა განცხადება სხდომის გადადების შესახებ და ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება და სტენოკარდია. სასამართლომ საქმის განხილვა გადადო 2009 წლის 29 აპრილისთვის. 2009 წლის 28 აპრილს გ. ხ-მემ კვლავ წარადგინა განცხადება საქმის განხილვის გადადების თხოვნით და ცნობა, რომლითაც გ. ხ-მეს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა სტომატოლოგიურ კლინიკაში. სასამართლო აპელანტის განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ არ დააკმაყოფილა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით გ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ხ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებით უტყუარად დასტურდება მისი ავადმყოფობა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი, რადგან არსებობდა დაუძლეველი ძალა, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოში მხარის გამოცხადებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 8 აპრილს 12.00 საათზე. 2009 წლის 8 აპრილს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ხ-ძემ და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის. აპელანტმა წარადგინა ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის განცხადება და სხდომა გადაიდო 2009 წლის 22 აპრილამდე. 2009 წლის 22 აპრილს აპელანტმა კვლავ წარადგინა განცხადება სხდომის გადადების შესახებ და ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება და სტენოკარდია. სასამართლომ საქმის განხილვა გადადო 2009 წლის 29 აპრილისთვის. 2009 წლის 28 აპრილს გ. ხ-ძემ კვლავ წარადგინა განცხადება საქმის განხილვის გადადების თხოვნით და ცნობა შპს "პრიმა დენტიდან", რომლითაც გ. ხ-ძეს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა სტომატოლოგიურ კლინიკაში. აღნიშნული ცნობა სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მასში პირდაპირ არ იყო მითითებული გ. ხ-ძის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა და მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზეზები

განჩინება

ას-227-216-2010

22 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „დ. ი-მ“ (დირექტორი გ. ნ-შვილი) მოპასუხეების: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შპს „ა.-ა-სა“ და ნოტარიუს ქ. ჩ-ძის, მესამე პირების: დ. თ-შვილისა და ი. მ-ძის მიმართ რეესტრის ამონაწერის, კრების ოქმებისა და წესდების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 იანვრის განჩინებით აღნიშნული სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადმოეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის 2005 წლის 25 მარტის ამონაწერის ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალება, ნოტარიუს ქ. ჩ-ძის მიერ დამოწმებული შპს „ა.-ა-ს“ 2005 წლის 18 მარტის რედაქციით დარეგისტრირებული წესდების ბათილად ცნობა. ნოტარიუს ქ. ჩ-ძის სანოტარო აქტით დამოწმებული შპს „ა.-ა-ს“ 2005 წლის 1 მარტის კრების ოქმის ბათილად ცნობა; შპს ა.-ა-ს“ საწესდებო კაპიტალში შპს „ა-ს“ მიერ ი. მ-ძისა და დ. თ-შვილისათვის წილის დათმობების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა შპს „დ.-ი-ს“ 2004 წლის 5 სექტემბრის #6 კრების ოქმის ამონაწერის ბათილად ცნობა.

2007 წლის 16 ივლისს მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე შპს „ა.-ა-ს“ მიმართ და მოითხოვა რეესტრის 2005 წლის 25 მარტის ამონაწერის ბათილად ცნობა ... გამზ. #44-ში მდებარე 619 კვ.მ-ის (ცენტრალურ შესასვლელთან მარცხენა მხარეს) შპს „ა.-ა-ს“ საკუთრების გადაცემის ნაწილში და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შპს „დ.-ი-ს“ საკუთრებაში აღნიშნული ფართის დაბრუნების გზით შპს „ა.-ა-ს“ 2005 წლის 18 მარტის წესდების (არსებული რედაქციის) და შპს „დ.-ი-ს“ 2004 წლის 5 სექტემბრის კრების #6 ოქმის ამონაწერის, როგორც ყალბისა და უკანონოს ბათილად ცნობა.

2008 წლის 29 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ საბოლოოდ დააზუსტა მოთხოვნები და მოითხოვა: შპს „დ.-ი-ს“ 2004 წლის 5 სექტემბრის #6 კრების ოქმის ამონაწერის ბათილად ცნობა; შპს „ა.-ა-ს“ 2005 წლის 1 მარტის კრების ოქმის (დამოწმებული სანოტარო აქტით #1-680 2005 წლის 4 მარტის ნოტარიუს ქ. ჩ-ძის მიერ) ბათილად ცნობა, ასევე მოითხოვა 2005 წლის 25 მარტის საჯარო რეესტრის ამონაწერის შპს „ა.-ა-ს“ ... 44-ში მდებარე ნაგებობის ცენტრალური შესასვლელიდან მარცხენა მხარეს 619 კვ.მ-ის საკუთრების ნაწილში ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა 2004 წლის 17 აგვისტოს გაცემული ამონაწერის მიხედვით. შპს „დ.-ი-სათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 306 293 აშშ დოლარის ოდენობით (გამოწვეული შპს „ა.-ა-ს“ დირექტორის - ი. მ-ძის დანაშაულებრივი საქმიანობით - როგორც ანაცდენი ზიანი) შპს „ლ.-გ-ს“ გამოსახლება ქ. თბილისში, ... გამზირი #44-დან და გამონთავისუფლებული სადავო უძრავი ქონების მოსარჩელისათვის გადაცემა, აგრეთვე, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოპასუხე შპს „ა.-ა-სათვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „დ.-ი-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი შპს „დ.-ი-ს“ 2004 წლის 5 სექტემბრის #6 კრების ოქმის ამონაწერი, ბათილად იქნა ცნობილი შპს „ა.-ა-ს“ 2005 წლის 1 მარტის კრების ოქმი დამოწმებული #1-680 სანოტარო აქტით 2005 წლის 4 მარტს ნოტარიუს ქ. ჩ-ძის მიერ, აღდგენილ იქნა მოსარჩელე შპს „დ.-ი-ს“ საკუთრების უფლება ქ.თბილისში, ... გამზირის #44-ში მდებარე უძრავი ქონება. მოპასუხე შპს „ა.-ა-ს“ დაეკისრა 18597 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელე შპს „დ.-ი-ს“ სასარგებლოდ, მოპასუხე შპს „ა.-ა-ს“ დაეკისრა ყოველთვიურად 8600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შპს „დ.-ი-ს“ სასარგებლოდ 2008 წლის იანვრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შპს „ლ.-გ-ს“ მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა.-ა-მ“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

მოპასუხე მხარემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ კრების ოქმის გაუქმება ნიშნავს იმას, რომ შპს „ა.-ა.“ ვალდებული იქნება, თავიდან მოიწვიოს დამფუძნებელთა კრება, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, შედეგი არ შეიცვლება, გარდა ამისა, თ. რ-ძემ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარეს გ.ნ-შვილსა და მის წარმომადგენელს წერილობითი უარი აქვთ ნათქვამი სარჩელზე, რომელიც შეეხებოდა შპს „ა.-ა-ს“ რეგისტრაციის გაუქმებას. ამდენად, მოპასუხე მხარემ მოითხოვა სარჩელს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „ა.-ა-ს“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს "დ.-ი-ს" სარჩელი მოპასუხე შპს "ა.-ა-სთვის" 18.597 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს "ა.-ა-ს" მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, ვინაიდან მოპასუხე შპს "ა.-ა-ს" მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შპს "დ.-ი-მ", როგორც შპს "ა.-ა-ს" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მითითებულ შპს-ში შესატანის სახით შეიტანა სადავო უძრავი ქონება. აქედან გამომდინარე, შპს "დ.-ი-სათვის" სადავო უძრავი ქონების დაბრუნება ეწინააღმდეგება იმ დროისათვის მოქმედი "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის #3.3 მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, შესატანის უკან დაბრუნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისთვის საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება უნდა დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს "ა.-ა-ს" მოსაზრება და განმარტა, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს გააჩნიათ პრეიუდიციული მნიშვნელობა და ისინი ხელმეორედ დადგენას და დადასტურებას არ საჭიროებენ, შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ ასეთი ფაქტები სადავოდ გახადონ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ შპს "დ.-ი-ს" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 619 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში შპს "ა.-ა-ს" საკუთრებად აღირიცხა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს "ა.-ა-ს" მიერ მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს "დ.-ი-მ", როგორც შპს "ა.-ა-ს" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მითითებულ შპს-ში შესატანის სახით შეიტანა სადავო უძრავი ქონება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შპს "ა.-ა-ს" წესდება არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ შპს "დ.-ი-მ", როგორც შპს "ა.-ა-ს" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მითითებულ შპს-ში შესატანის სახით შეიტანა სადავო უძრავი ქონება, გარდა ამისა, სადავო უძრავი ქონება არ აღრიცხულა შპს "ა.-ა-ს" საკუთრებად საჯარო რეესტრში ან ტექნიკურიზაციის ბიუროში. ამდენად, სადავო უძრავი ქონებით შენატანი განხორციელებულად ვერ ჩაითვლება. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებლად მიიჩნია შპს "ა.-ა-ს" მითითება სასამართლოს მიერ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის #3.3 მუხლის დარღვევის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს "ა.-ა-ს" მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი ი. მ-მე (ფიზიკური პირი), ამიტომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც სწორედ მას უნდა დაეკისროს და არა შპს "ა.-ა-ს", რადგან ამ უკანასკნელს დანაშაული არ ჩაუდენია. პალატამ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ი. მ-მემ ჩაიდინა, როგორც შპს "ა.-ა-ს" დირექტორმა და არა როგორც ფიზიკურმა პირმა. იგი მოქმედებდა საზოგადოების სახელით და მის მიერ დოკუმენტების გაყალბების მეშვეობით, სწორედ შპს "ა.-ა-ს" საკუთრებად აღირიცხა სადავო უძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენდა შპს "დ.-ი-ს" საკუთრებას. აქედან გამომდინარე, მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა შპს "დ.-ი-სათვის" სადავო უძრავი ქონების დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა შპს "ა.-ა-ს" მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ვალდებული იყო შეეწყვიტა მის წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმის წარმოება. მითითებული ნორმის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. განსახილველ შემთხვევაში არსებობს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ადმინისტრაციულ საქმეზე შპს „ა.-ა-ს“ დამფუძნებლის და სს „დ.-ი-ს“ წარმომადგენლის გ. ნ-შვილის სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ იქნა შპს „დ.-ი-ს“ სარჩელი მოპასუხეების შპს „ა.-ა-ს“ შპს „ლ. გ-ს“ მიმართ კრების ოქმის ბათილად ცნობის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, ზიანის ანაზღაურების და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ა.-ა-ს“ მოსაზრება, იმის თაობაზე, შპს „დ.-ი-ს“ დირექტორი ნ. ნ-შვილი არ იყო უფლებამოსილი სასამართლოში წარმოდგინა მითითებული საზოგადოება, ვინაიდან იგი კანონით დადგენილი წესით არ იყო დანიშნული ამ საზოგადოების დირექტორად. პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 11 სექტემბრის #17202\006-5\4-3256 შპს ბრძანებით და სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „დ.-ი-ს“ დირექტორად დანიშნულია და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია ნ. ნ-შვილი. აღნიშნულ გარემოებათა საწინააღმდეგო მტკიცებულებები კი აპელანტს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ა.-ა-ს“ მოსაზრება მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინების დაუსაბუთებლობის თაობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ, ჯერ ერთი, აპელანტმა ვერ დააზუსტა, თუ კონკრეტულად რომელი მტკიცებულებების მიღებაზე ეთქვა უარი 2008 წლის 14 ივლისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებების დადასტურებაა შესაძლებელი ამ მტკიცებულებებით. პალატამ მიუთითა, რომ 2008 წლის 8 მაისის შესაგებელზე დართული მტკიცებულებებით მოპასუხე შპს „ა.-ა-ს“ სურდა სასამართლოსათვის დაედასტურებინა, რომ არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. 2008 წლის 9 ივლისის მთავარ სხდომაზე სასამართლომ განიხილა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მასალები და არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოგვიანებით, კერძოდ, 2008 წლის 24 სექტემბერს მოპასუხე შპს „ა.-ა-მ“ სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობა ახალი მტკიცებულებების მიღების შესახებ. ამ მტკიცებულებების მიღება-არმიღების თაობაზე სასამართლოს რაიმე განჩინება არ მიუღია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აპელანტი ასაჩივრებს მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებას, შესაბამისად, ამ დროისათვის სასამართლო ვერ იმსჯელებდა 2008 წლის 24 სექტემბერს წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, რომელთა გაუთვალისწინებლობის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივლისის, 14 ივლისის, 19 სექტემბრის და 19 ოქტომბრის საოქმო განჩინებები კანონიერია და მათი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტის მოსაზრებები გასაჩივრებული საოქმო განჩინებების დაუსაბუთებლობის თაობაზე გასაზიარებელიც რომ იყოს, ეს ვერ გახდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი, რომლითაც მოპასუხე შპს „ა.-ა-ს“ დაეკისრა 18597 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადახდა მოსარჩელე შპს „დ.-ი-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

პალატამ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ შპს „დ.-ი-ს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - არასაცხოვრებელი 619 კვ.მ (მდებარე ქ.თბილისში, ... გამზირის #44-ში, ცენტრალური შესასვლელიდან მარცხენა მხარეს) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში შპს „ა.-ა-ს“ საკუთრებად აღირიცხა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, რითაც შპს „დ.-ი-ს“ მიადგა მატერიალური ზიანი 18597 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე განაჩენით დადგენილია, რომ 18597 აშშ დოლარი წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების ღირებულებას, რომელიც დაკარგა მოსარჩელემ ამ ქონების მოპასუხის მიერ უკანონოდ მითვისებით. პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლი და მიუთითა, რომ აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ქართული სამოქალაქო სამართალი უპირატესობას ანიჭებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ ნატურით რესტიტუციას. ფულადი კომპენსაცია კრედიტორს იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები.

აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდა მისი კუთვნილი სადავო უძრავი ქონება, ანუ ზიანის ანაზღაურება მოხდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, მოსარჩელისათვის დამატებით ფულადი კომპენსაციის - 18597 აშშ დოლარის გადაცემა უკანონოა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა.-ა-ს“ დირექტორმა გ. ბ.-მემ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორმა განმარტა, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მოსარჩელე მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, კერძოდ, 2008 წლის 26 აგვისტოს გარდაიცვალა შპს „დ.-ი-ს“ დირექტორი გ. ნ.-შვილი, რომელიც შესაბამისად საქმეში წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეს. 2008 წლის 19 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა გარდაცვლილი გ. ნ.-შვილის შვილი ნ. ნ.-შვილი, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა საგადასახადო ინსპექციის ბრძანება და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელთა თანახმად შპს „დ.-ი-ს“ მონაცემებში შევიდა ცვლილება - დირექტორებიდან გათავისუფლდა გ. ნ.-შვილი და მის მაგივრად დაინიშნა ნ. ნ.-შვილი. სასამართლომ არ გამოიკვლია ის ფაქტი, ნამდვილად არის თუ არა ნ. ნ.-შვილი აღნიშნული შპს-ს დირექტორი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუძლებელი იყო საკუთრების ჩამორთმევა და მოსარჩელისათვის მიკუთვნება მხოლოდ იმ არგუმენტებზე დაყრდნობით, რომ საჯარო რეესტრში წარდგენილი მრავალი დოკუმენტიდან კრების ოქმი იყო ყალბი. კასატორის განმარტებით, ოქმი არ ყოფილა ყალბი, ის მიღებულ იქნა შპს „ა.-ა-ს“ დამფუძნებელთა კრებაზე და მასში უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხის გარდა განხილული და მიღებულ იქნა ისეთი საკითხებიც, რომლებიც სასამართლომ გაყალბებულად გამოაცხადა.

კასატორი მიუთითებს, რომ არასწორია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ შპს „ა.-ა-ს“ წესდება არ შეიცავს მითითებას, რომ შპს „დ.-ი-მ“, როგორც ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მითითებულ შპს-ში შესატანის სახით შეიტანა სადავო უძრავი ქონება. საქმეში არსებობს შპს „კავკასიზინესაუდიტის“ 1996 წლის 3 ოქტომბრის აუდიტორული დასკვნა, რომელიც შპს „კავკასიზინესაუდიტის“ შეუკვეთა შპს „დ.-ი-მ“ და რომლითაც შეფასებულ იქნა მისი კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილი, რომლის თანახმადაც აღნიშნული უძრავი ქონების ღირებულება შეფასებულ იქნა შპს „დ.-ი-ს“ მიერ შპს „ა.-ა-ს“ შექმნასთან დაკავშირებით მისი საწესდებო კაპიტალში შეტანის მიზნით. ამავე დროს შპს „ა.-ა-ს“ 1996 წლის წესდებაში, რომელსაც ხელს აწერს შპს „დ.-ი-ს“ დირექტორი გ. ნ.-შვილი, აღნიშნულია, რომ შპს „დ.-ი“ არის შპს „ა.-ა-ს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომლის წილი საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 16597 აშშ დოლარით, შესაბამისად - 15%-ით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ შპს „ა.-ა-ს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს 2007 წლის და 2004 წლის განაჩენებით დადგენილია, რომ შპს „დ.-ი-ს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - არასაცხოვრებელი 619 კვ.მ (მდებარე ქ. თბილისში, ... გამზირის #44-ში, ცენტრალური შესასვლელიდან მარცხენა მხარეს) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში შპს „ა.-ა-ს“ საკუთრებად აღირიცხა ყალბი დოკუმენტების (შპს „დ.-ი-ს“

პარტნიორთა 2004 წლის 5 სექტემბრის #6 კრების ოქმის ამონაწერი, შპს "ა.-ა-ს" პარტნიორთა 2005 წლის 1 მარტის კრების ოქმი) საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ფაქტებთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი (გაუქმებულია 24.09.2010. #3619, რაც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.) და მიიჩნია ზემოაღნიშნული პარტნიორთა კრების ოქმების არაკანონიერების ფაქტი პრეიუდიციულ ფაქტად განსახილველ საქმეში.

კასატორი შპს "ა.-ა-ს" წარმომადგენელი უთითებს, რომ შპს "დ.-ი-ს", როგორც ერთ-ერთ დამფუძნებელს, შპს "ა.-ა-ში" 2005 წლამდე შეტანილი ჰქონდა შესატანის სახით ქ. თბილისში, ... გამზირის #44-ში მდებარე 619 კვ.მ მიწის ნაკვეთი, (სადავო ოქმებით მიღებულ გადაწყვეტილებამდე), რომლის დასადასტურებლად უთითებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას სადავო ქონების შპს "ა.-ა-ს" საწესდებო კაპიტალში შენატანის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს არა აქვთ მიღებული აღნიშნული მტკიცებულებები და, შესაბამისად, არც მსჯელობენ და იკვლევენ მათ.

სააპელაციო სასამართლო მსჯელობს ამ მტკიცებულებებზე მხოლოდ სსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტში და ასკვნის, რომ ამ მტკიცებულებების მიღების ან არმიღების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის არარსებობას არ მოჰყვა არანაირი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები პირველი ინსტანციის სასამართლოში კანცელარიის მეშვეობით პაექრობის შუა ეტაპზე წარდგენილ იქნა შპს "ა.-ა-ს" წარმომადგენლის მიერ. მტკიცებულებათა მიღება-არმიღების, არ შეფასების ან არასათანადო შეფასების თაობაზე პროცესუალურ დარღვევებს მნიშვნელობა გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროცესუალურ დარღვევის შედეგად იქნა გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილება (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებულ მტკიცებულებებს შესაძლოა, გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების შედეგზე, მაგრამ მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს მტკიცებულებების წარდგენასთან ან გამოთხოვასთან დაკავშირებული პროცესუალური კანონით დადგენილი შეზღუდვები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაცვით მთავარ სხდომაზე მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ ისეთ ობიექტურ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მიუთითებენ სათანადო ეტაპზე მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზზე (ამავე მუხლის მე-3 ნაწილი). სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია ახალ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე მითითება, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 382 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებისა.

კასატორი ვერ უთითებს ამ მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზზე, ხოლო მის მიერ მითითებული შუამდგომლობები საქმის წარმოების შეწყვეტისა და საქმეთა გაერთიანების თაობაზე, რომლებიც აღმრული ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, არ წარმოადგენს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზს, მიუხედავად იმისა, თუ მივიჩნევთ, რომ ეს მტკიცებულებები არსებობდა გასაერთიანებელ საქმეში.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სადავო ოქმების ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს.

ამასთან, კასატორი ვერ უთითებს შპს "ლ. გ-სთან" საიჯარო ქირის მიღების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტები. დადგენილად არის მიჩნეული, რომ მოპასუხის ყოველთვიური შემოსავალი სადავო ფართის იჯარით გაცემის შედეგად შეადგენს 8765 აშშ დოლარს და იჯარის ხელშეკრულება ძალაშია 2006 წლის 1 ნოემბრიდან 5 წლის ვადით. პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლს (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გვ. 5, 11). აღნიშნული მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებელ შემოსავლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც მიიღებდა კრედიტორი და არა იმ შემოსავალს, რომელსაც

იღებდა ვალდებულების დამრღვევი პირი. კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მან შე-
უწყვიტა შპს "ლ. გ-ს" იჯარის ხელშეკრულება, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი
მნიშვნელობა არა აქვს. კასატორი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იჯარის ხელშეკრულება მას ჰქონდა
დადებული შპს "ლ. გ-სთან" და ქირის ოდენობა შეადგენდა 8600 აშშ დოლარს. ამდენად, იმ
შემთხვევაში, თუ შპს "ა.-ა-ს" მიერ არ იქნებოდა დარღვეული შპს "დ.-ი-ის" უფლებები,
არსებობს იმის ვარაუდი, რომ ეს უკანასკნელი მიიღებდა ამ შემოსავალს, რომლის საწინააღმდე-
გოდ კასატორი არ უთითებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპე-
ლაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა
სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედა-
ვება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია.
კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ
პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის
განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სა-
მართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადავო ურთიერთობის
ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს სადავო ქონების შენატანის სახით
განკარგვის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაზე და სადავო ოქმების კანონიერებზე. ამდენად,
საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო
საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ
მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილე-
ბას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ა.-ა-ს" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009
წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება

სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-62-60-2010

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა, ამხანაგობის
თავმჯდომარედ აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ხ-იანმა, კ. მ-ოვმა, ბ. ხ-ოვმა, ლ. შ-შვილმა და თ. მ-იანმა სარჩელი აღძრეს სასა-
მართლოში ე. ფ-ევას მიმართ ქ.თბილისში, ... ქ#3-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
"ნ-ის" 2008 წლის 14 ივლისის კრების ოქმის ბათილად ცნობისა და ამხანაგობის თავმჯდომარედ

ლ. შ-შვილის აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ.თბილისში, ... ქ#3-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" 2008 წლის 14 ივლისის კრების ოქმი ყალბია, ვინაიდან რეალურად მითითებული კრება არ ჩატარებულა და ლ.შ-შვილი ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობიდან უკანონოდ იქნა გადარჩეული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ი". ამავე სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის განჩინებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად მოპასუხის მხარეზე ჩაებნენ ლ.პ-ეცი, ზ.ფ-ავა, გ.გ-ოვა, ზ.დ-შვილი, ლ.კ-შვილი, ნ.ჩ-ელი, გ.ბ-ური, ნ.ბ-ძე, თ.ხ-ია, ი.გ-ია, ლ.ც-შვილი და მ.კი-ძე, ხოლო 2009 წლის 30 აპრილის განჩინებებით არასათანადო მოსარჩელე - კ. მ-ოვი შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - ი. მ-ოვით. ასევე, შეწყდა საქმის წარმოება ბ. ხ-ოვის სარჩელის გამო ე. ფ-ევასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" მიმართ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" 2008 წლის 14 ივლისის #8 კრების ოქმი და ლ. შ-შვილი აღდგენილ იქნა ამხანაგობის თავმჯდომარედ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-მა" და ე. ფ-ევამ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ე. ფ-ევასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ე.ფ-ევასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 5 ნოემბერს, რის შესახებ ეცნობათ მხარეებს. საქმის განხილვაზე გამოცხადდნენ მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარე ს. ხ-იანი, ლ. შ-შვილი, ლ. შ-შვილისა და თ. მ-იანის წარმომადგენელი გ.ნ-შვილი. სასამართლო პროცესი გადაიდო 2009 წლის 7 დეკემბრისათვის, რის შესახებ სხდომაზე გამოცხადებულ პირებს ჩამოერთვათ ხელწერილი, ხოლო გამოუცხადებელ პირებს გაეგზავნათ სასამართლო უწყებები, რომლებიც მათ კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაჰბარდათ. სასამართლოს მიერ დადგენილ დროს გამოცხადდნენ ს. ხ-იანი, ლ. შ-შვილი, თ. მ-შვილი, გ. ნ-შვილი, მესამე პირები - ლ. პ-ეცი და ზ. ფ-ავა, ხოლო აპელანტი მხარე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობა. ლ. შ-შვილისა და თ. მ-შვილის წარმომადგენელმა გ. ნ-შვილმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 229-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების პროცესულურ-სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" თავმჯდომარე ე. ფ-ევამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლო სხდომაზე ე. ფ-ევას გამოუცხადებლობა განპირობებული იყო სპატიო მიზეზით - სასამართლო სხდომის დღეს, 2009 წლის 7 დეკემბერს იგი გახდა ცუდად, აწუხებდა მწვავე ტკივილები, რის გამოც მან ვერ შესძლო საქმის განხილვაზე გამოცხადება. ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის მიუხედავად, მისი მდგომარეობა იმდენად არ გაუმჯობესებულა, რომ ფეხზე დგომა და გადაადგილება შესძლებოდა. კერძო საჩივარს დაერთო ექიმ შ. ს-იას მიერ 2009 წლის 6 დეკემბერს გაცემული სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმად ე. ფ-ევას დაუდგინდა გავა-წელის მწვავე რადიკულიტი და დაენიშნა მედიკამენტოზური მკურნალობა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

სააპელაციო პალატის 2009 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ე.ფ-ევასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 5 ნოემბერს, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო კი გადაინიშნა 2009 წლის 7 დეკემბრისათვის.

საქმის განხილვის გადადების შესახებ ორივე მხარეს ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, თუმცა 2009 წლის 7 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე ე.ფ-ევა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ი" არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სააპელაციო პალატას არ აცნობეს.

ლ.შ-შვილისა და თ.მ-შვილის წარმომადგენელმა გ.ნ-შვილმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" თავმჯდომარე ე. ფ-ევას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლი, რომლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. კანონის ხსენებული დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო უფლებამოსილია, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი სატელეფონო აქტით დასტურდება, რომ აპელანტი ე.ფ-ევას 2009 წლის 7 დეკემბრის სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობა კანონის მოთხოვნათ დაცვით, თუმცა აპელანტი არც საქმის განხილვაზე გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სააპელაციო პალატისათვის არ უცნობებია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კანონიერია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ იგი საქმის განხილვაზე საპატიო მიზეზით - ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა. აღნიშნული არგუმენტის დასადასტურებლად ე.ფ-ევამ მიუთითა კერძო საჩივარზე დართულ ექიმ შ.ს-იას მიერ 2009 წლის 6 დეკემბერს გაცემულ სამედიცინო ცნობაზე, რომლის თანახმად ე. ფ-ევას დაენიშნა მედიკამენტები გავა-წელის მწვავე რადიკულიტის სამკურნალოდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალოს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, კერძოდ, ამ დოკუმენტიდან არ ირკვევა, წარმოადგენს თუ არა ექიმი შ. ს-ია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს; ცნობა გაცემულია და ასახავს ე. ფ-ევას ჯანმრთელობის მდგომარეობას 2009 წლის 6 დეკემბრისათვის, მაშინ, როცა მხარე მიუთითებს, რომ შეუძლოდ გახდა 2009 წლის 7 დეკემბერს; მითითებული მტკიცებულება არ ადასტურებს 2009 წლის 7 დეკემბერს, სასამართლო სხდომის დღეს ე. ფ-ევას ჯანმრთელობის ისეთ მდგომარეობას, რამაც მისი სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ნ-ის" თავმჯდომარე ე. ფ-ევას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო უწყების ჩაბარება. განუხილველად დატოვება მხარის გამოუცხადებლობის გამო
განჩინება**

#ას-1093-1357-09

25 მარტი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-ძის წარმომადგენელმა ლ. გ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. ს-ს და ან. ს-ოვების მიმართ და მოითხოვა მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლება. მან მიუთითა, რომ 2004 წლის 4 ივლისიდან ის არის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე. მოპასუხეებმა აღნიშნული ბინა დაიკავეს უკანონოდ და, მოსარჩელის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არ ათავისუფლდნენ. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხეების გამოსახლება ევრ მოხერხდა პოლიციის მეშვეობითაც, ვინაიდან პოლიციას მათ წარუდგინეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი დ. ს-ძის მიმართ ყალბი მინდობილობის საფუძველზე ს-ოვების ბინის ნასყიდობით მიღებული 5500 აშშ დოლარის მითვისების თაობაზე, რაც პოლიციის მიერ მართლზომიერი მფლობელობის საფუძველად იქნა მიჩნეული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით მ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. ს-ოვმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ა. ს-ოვის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ს-ოვმა. მან მიუთითა, რომ მას უწყება სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ არ ჩაჰბარებია და, შესაბამისად, მოწვეული არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით. უწყების ჩასაბარებლად მისულ კურიერს სახლში არავინ დახვდა და უწყება არავის ჩაჰბარებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. ს-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ მას უწყება არ ჩაჰბარებია და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად მისი სააპელაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

ამავე კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ჰბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისა-

მართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაპზარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ა. ს-ოვს სხდომის დღის შესახებ უწყება გაეგზავნა ორჯერ, მის მიერ მითითებულ მისამართზე. შეტყობინების ბარათით ირკვევა, რომ ადრესატს აღნიშნულ მისამართზე უწყება არ ჰპარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხარის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლად, რაც სააპელაციო სასამართლოს აძლევდა უფლებას, გამოუცხადებელი მხარის მიმართ გამოეტანა განუხილველად დატოვების განჩინება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეები სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყვნენ კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ს-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ოქტომბრის საოქმო განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-484-453-10

1 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ვ. დემე და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით ვ. დემეს განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის განჩინებით ხარვეზის შესავსებად განმცხადებელს განესაზღვრა ვადა - 4 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ასევე განემარტა, რომ, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, სასამართლო მის განცხადებას განუხილველად დატოვებდა.

2010 წლის 26 მარტს ვ. დ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების მიზნით და მოითხოვა მისი განცხადების წარმოებაში მიღება და განხილვა. განცხადებას დაურთო დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ იგი არის ინვალიდი და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულად, თუ რომელ გადაწყვეტილებას ხდის მხარე სადავოდ, რომელს - ახალი საფუძვლით, ანუ კონკრეტულად რას მიიჩნევს მხარე ახლად აღმოჩენილ გარემოებად; მხარემ ასევე უნდა მიუთითოს ამ ახალი გარემოების შესახებ, თუ როდის გახდა მისთვის ცნობილი და უნდა წარუდგინოს სასამართლოს ახალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

კანონის აღნიშნული მოთხოვნები ვ. დ-მეს განემარტა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის ხარვეზის განჩინებაში, თუმცა მან ხარვეზი არ შეავსო ანუ სააპელაციო სასამართლოში არ იქნა წარმოდგენილი განცხადება ზემოთმითითებული მოთხოვნების დაცვით, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ ვ. დ-მის განცხადება დაუშვებელია და იგი უნდა დარჩეს განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. დ-მემ და აღნიშნა, რომ მან რამდენჯერმე შეიტანა საჩივარი 2007 წლის 13 ნოემბრის უკანონო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. მან სასამართლოში წარმოადგინა ახალი მტკიცებულებები, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ იგნორირება გაუკეთა მის მიერ წარმოდგენილ მასალებს და უკანონოდ დატოვა განუხილველად მისი განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ვ. დ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, თუ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ პასუხობს ამვე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. სასამართლო ავალეს განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას, ხოლო, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება განცხადება აღარ დაიშვება.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ვ. დ-მის მიერ წარდგენილი განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ არ შეიცავდა მითითებას, კონკრეტულად თუ რომელ გადაწყვეტილებას ხდიდა იგი სადავოდ, რომელს - ახალი საფუძვლით, ანუ კონკრეტულად რას მიიჩნევდა მხარე ახლად აღმოჩენილ გარემოებად, მხარეს ასევე უნდა მიეთითებინა, ეს ახალი გარემოება თუ როდის გახდა მისთვის ცნობილი და უნდა წარედგინა სასამართლოსათვის ახალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, განმცხადებლის მიერ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის განჩინებით ხარვეზის შესავსებად განმცხადებელს განესაზღვრა ვადა - 4 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ასევე განემარტა, რომ, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, სასამართლო მის განცხადებას განუხილველად დატოვებდა. მიუხედავად ამისა, მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, კერძოდ, მან წარადგინა ცნობა სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან სიაში მისი ყოფნისა და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ, თუმცა ხარვეზი არ შეავსო იმ ნაწილში, რითაც დაევალა განცხადების შინაარსის ჩამოყალიბება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის, 422-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 426-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ამ კოდექსის 422-ე-423-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წინამძღვრები და, თუ მხარეს არ შეეძლო, ამ საფუძვლების წამოყენება პირველი ინსტანციის, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. ამასთან, განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ამ გარემოებათა თაობაზე მხარისათვის შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ვ. დ-მემ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად მისი სააპელაციო საჩივარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. დ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის განუხილველად დატოვება მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო. სასამართლო პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-508-477-2010 5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებისა და საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ა-შვილის, დ. თ-შვილის, ზ. გ-მის, ო. ო-იანის, ქ. დ-იას, ქ. ჭ-ელის, მ. დ-იანის, ვ. გ-მის, ს. ო-ოვის, რ. კ-მის, რ. მ-მის უფლებამონაცვლე ბ. მ-მის, მ. მ-შვილის, ზ. ბ-ავასა და ზ. რ-შვილის მიმართ საარბიტრაჟო შეთანხმებებისა და სესხის ზეპირი ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით და მიუთითა, რომ სადავო გარიგებები არის კაბალური, ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, დადებულია მოტყუებით, ნდობის ბოროტად გამოყენებით, შეცდომით და სათანადო ფორმის დაუცველად.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს დაუსაბუთებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ა-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ნ. ა-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინებით ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განხილვის შესახებ მხარეებს ეცნობათ კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა ნ. ა-შვილი დანიშნულ დროს სასამართლოში არ გამოცხადდა. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის 2010 წლის 19 აპრილის განცხადება საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე იმ საფუძველით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გონივრული ვადით. მოცემულ შემთხვევაში ნ. ა-შვილმა სასამართლოს აცნობა რა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე (რაც დასტურდება მის მიერ სასამართლო კანცელარიის მეშვეობით წარმოდგენილი განცხადებით, რომელსაც დართული აქვს უცხოურ ენაზე შედგენილი დოკუმენტი), პალატამ მიიჩნია, რომ მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, კერძოდ, აპელანტის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე დართულ უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტში იკითხება მხოლოდ აპელანტის სახელი და გვარი "ნ. ა-შვილი" და სასამართლოსათვის უცნობია დოკუმენტში მითითებული შინაარსი, რის გამოც ვერ დასტურდება აპელანტის მიერ განცხადებაში მოყვანილი გარემოების - საელჩოში მიმდინარე გასაუბრების რეალობა. აქედან გა-

მომდინარე, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით განსაზღვრული საპატიო მიზეზი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 229-ე მუხლების, 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარეთა - ზ. რ-შვილის, დ. თ-შვილის, ქ. ჭ-ელის, ზ. გ-ძის, ს. ო-ოვისა და მ. დ-იანის შუამდგომლობა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სხდომაზე ასევე არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარეები - ქ. დ-ია, ზ. ბ-ავა, ო. ო-იანი, რ. კ-ძე, მ. მ-შვილი, ვ. გ-ძე, ბ. მ-ძე და ქ. ა-შვილი, რის გამოც მათ მიმართ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევა არც ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ა-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ნ. ა-შვილი სადავო სხდომაზე საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, რის შესახებაც წინასწარ აცნობა სასამართლოს. პალატამ არასწორად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლსა და 216-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ვინაიდან საქმის განხილვის დანიშვნის დროისათვის აპელანტმა მიიღო მიწვევა სხვა ქვეყნის საელჩოდან. აღნიშნული დოკუმენტი დაერთო განცხადებას, თუმცა სასამართლომ იგი ფორმალური მიზეზით - უცხო ენაზე შესრულების გამო, არასწორად არ გაიზიარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი: ნ. ა-შვილს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მას 2010 წლის 20 აპრილის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ნ. ა-შვილს სასამართლო პროცესზე თავისი გამოუცხადებლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის არსებობა არ დაუდასტურებია, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 20 აპრილის სხდომაზე ნ. ა-შვილის გამოუცხადებლობა საპატიოდ არასწორად არ ჩათვალა,

რადგან არ გაიზიარა აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებანი სააპელაციო საჩივრის განხილვის დროისათვის სხვა ქვეყნის საელჩოს მიერ აპელანტის მიწვევის თაობაზე. ფაქტობრივად, ნ. ა-შვილის 2010 წლის 19 აპრილის განცხადებაზე დართული დოკუმენტებიდან და არც საქმეში წარმოდგენილი სხვა რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ნ. ა-შვილს 2010 წლის 20 აპრილს სააპელაციო სასამართლოში გამოცხადება ობიექტური მიზეზით არ შეეძლო, ვინაიდან მხარის მიერ მითითებული მიწვევა ვრცელდება 2010 წლის 5-18 მაისზე, რაც 20 აპრილს მხარის სასამართლოში გამოცხადებაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი კი ადგენს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე, აფხაზური. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოში საქმის წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, რაც იმას გულისმობს, რომ მხარეები ვალდებული არიან, მათთვის მნიშვნელოვანი გარემოებები დაადასტურონ ქართულად შედგენილ მტკიცებულებათა წარდგენის გზით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად მიუთითა ამ გარემოებაზე. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასახელებული მტკიცებულებებით დანიშნულ დროზე სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება.

ამდენად, კანონიერია სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-697-653-2010 22 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით, ნ. თ-ძის სარჩელი მოპასუხე ა. თ-ძის მიმართ მეუღლეთა თანასაკუთრებიდან კუთვნილი წილის კომპენსაციის გადახდის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა - ა. თ-ძეს ნ. თ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა თანასაკუთრებიდან კომპენსაციის სახით კუთვნილი წილის - 30000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. თ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით ა. თ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმის განხილვა დაიწყო 2010 წლის 2 ივნისს 15:00 საათზე, რის შეახებაც კანონით დადგენილი წესით ეცნობათ მხარეებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივნისის განჩინებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ა. თ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. თ-ძის წარმომადგენელმა ბ. ბ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველზე, რომ 2010 წლის 2 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ა. თ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვის დროისათვის, მონაწილეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სხვა საქმის განხილვაში და ფიზიკურად ვერ შეძლებდა სასამართლო სხდომაზე დასწრებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ა. თ-ძის წარმომადგენლის - ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო სასამართლო სხდომაზე და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაჰბარდა სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, სასამართლო გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საჩივარს განუხილველად დატოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტ ა. თ-ძესა და მის წარმომადგენელ ბ. ბ-შვილს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ უწყებები სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, კერძოდ, უწყებები ჩაჰბარდათ მათი ოჯახის წევრებს 2010 წლის 29 აპრილს, მაგრამ არც თავად აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან და არც რაიმე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ ან საქმის განხილვის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ბ. ბ-შვილი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 2 ივნისს, 15-00 საათზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ა. თ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვის დროისათვის, იგი მონაწილეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სხვა საქმის განხილვაში და ფიზიკურად ვერ შეძლებდა სასამართლო სხდომაზე დასწრებას, რის გამოც მოითხოვა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ მითითებული გარემოება ვერ მიიჩნევა სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად და, შესაბამისად, იგი ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ვალდებული იყო, სასამართლოსათვის წინასწარ ეცნობებინა

თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ (სსკ-ის 241-ე მუხლი), მით უფრო, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნის თაობაზე მას ეცნობა ჯერ კიდევ 2010 წლის 29 აპრილს, ანუ სხდომამდე ერთი თვით ადრე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელს არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლოში არ წარმოდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს იგი მონაწილეობას იღებდა სხვა სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვაში.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად, და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. თ-მის წარმომადგენლის - ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივნისის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის განუხილველად დატოვება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-774-724-2010

27 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის და მოსალოდნელი ხარჯების ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 3 თებერვალს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ტ-შვილმა (კანონიერ წარმომადგენლები: ხ. ტ-შვილი, ზ. ტ-შვილი) მოპასუხეების - შპს "კ. მ-სა" და ი. კ-ოვის მიმართ პლასტიკური ოპერაციებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სარჩელში მითითებულია, რომ ნ. ტ-შვილმა 2003 წლის 21 ნოემბერს მიიღო თერმული დამწვრობა. მკურნალობა ჩაუტარდა ქ. გორის რაიონულ საავადმყოფოში. დამწვრობის შედეგად მას ქვედა ყბაზე, ნიკაპსა და ყელზე დარჩა ნაწიბურები, რომლის აღმოსაფხვრელად მიმართეს ესთეტიკური და რეკონსტრუქციული პლასტიკური ქირურგიის კლინიკას "კ. მ-ს", სადაც მოსარჩელის მკურნალობა დაიწყო პროფესორმა ი. კ-ოვმა. 2004 წლის 11 მაისს ი. კ-ოვმა ნ. ტ-შვილს ჩაუტარა პლასტიკური ოპერაცია, რომლის შემდგომ პაციენტს ჰქონდა გართულებები. აღნიშნული ოპერაციის შემდეგ ი. კ-ოვმა პაციენტის მშობლების გაფრთხილების გარეშე ჩაატარა კიდევ სამი ოპერაცია. მის მიერ ჩატარებული ოპერაციები არადაამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და პაციენტს დარჩა დამწვრობის შემდგომი ნაწიბურები, რომლებსაც დაემატა ნაწიბურები ხელებსა და მუცლის არეზე. 2004 წლის 10 ნოემბერს ნ. ტ-შვილს სხვა ექიმის მიერ ჩაუტარდა მე-5 ოპერაცია, რომელიც შედეგიანი აღმოჩნდა. ოპერაციებზე არ იყო არასრულწლოვანი პაციენტის კანონიერ წარმომადგენლების წერილობითი თანხმობა. მოსარჩელემ მოითხოვა მიყენებული ფიზიკური ზიანის - 300 000 აშშ დოლარის, მორალური ზიანის - 650 000 აშშ დოლარის, მატერიალური ზიანის - 188 702 ლარისა და მოსალოდნელი ხარჯის - 70 000 ევროს მოპასუხეებისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ტ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შპს "კ. მ-ს" ნ. ტ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 4772 ლარისა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 30 000 აშშ დოლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "კ. მ-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტი მიუთითებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში პაციენტს მიადგა არა ზიანი, რაც დასტურდებოდა ექსპერტის დასკვნით და შესაბამისი ექსპერტების დაკითხვით, არამედ დადგა ოპერაციის ინდივიდუალური შედეგი, რომელიც არ იყო გამოწვეული ექიმის მცდარი სამედიცინო ქმედებით. აპელანტი ასევე მიუთითებდა, რომ არასრულწლოვანი პაციენტის კანონიერ წარმომადგენლების წერილობითი თანხმობის შემთხვევაშიც ოპერაცია იგივე შედეგით დამთავრდებოდა.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა ნ. ტ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. აპელანტი მიუთითებდა, რომ წერილობითი თანხმობა აუცილებელი იყო ქმედუნარო ან გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის განსახორციელებლად. აპელანტი ასევე მიუთითებდა, რომ სასამართლომ არ იმსჯელა ი. კ-ოვის მიერ ნ. ტ-შვილის სხეულზე მიყენებული დეფექტების შესახებ, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელი იყო ექიმის მიერ გაწეული მკურნალობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მაისის განჩინებით შპს "კ. მ-ისა" და ნ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ტ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - შპს "კ. მ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 4472 ლარის, 30 000 აშშ დოლარისა და მოსალოდნელი ხარჯის - 70 000 ევროს გადახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მკურნალი ექიმის მოქმედება იყო ბრალეული მისი მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, რამაც ასახვა ჰპოვა შედეგზე. მკურნალმა ექიმმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ნ. ტ-შვილისათვის პლასტიკურ-კოსმეტიკური ოპერაციის ჩატარების შესახებ და ვერ შეძლო ნაკლის აღმოფხვრა ორი დამატებითი ოპერაციის ჩატარების მიუხედავად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. კ-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა შპს "კ. მ-მ", რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის განჩინებით ი. კ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ი. კ-ოვს რაიმე ვალდებულების შესრულება არ დაჰკისრებია და გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ არ ყოფილა მიღებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით შპს "კ. მ-ის" სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2010 წლის 7 ივლისს, 16.00 საათზე.

2010 წლის 7 ივლისს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი შპს "კ. მ". თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინებით შპს "კ. მ-ს" სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაჰბარდა მის ადმინისტრატორს. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომლის თანახმად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან/და პირს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტი გაფრთხილებული იყო სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე. მიუხედავად ამისა იგი არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე და არც გამო-

უცხადებლობის მიზეზი უცნობებია სასამართლოსთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 229-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს "კ. მ-მ", რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მესამე პირის - ი. კ-ოვის წარმომადგენელმა პ. ს-იამ სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, აპელანტმა არ იცოდა სასამართლო სხდომის დრო, აღნიშნულის შესამოწმებლად მან დარეკა შპს "კ. მ-ს" წარმომადგენლთან, რომელმაც განმარტა, რომ სხდომის შესახებ არც მისთვის და არც დირექტორისათვის არ იყო ცნობილი. კერძო საჩივარში მითითებულია, რომ სასამართლოში წარმოდგენილი უწყება, შესაძლოა, მართლაც იყო ხელმოწერილი და ბეჭედდასმული აპელანტის თანამშრომლის მიერ, რაც ფორმალურად სასამართლოს აძლევდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესაძლებლობას, თუმცა სასამართლო უწყება არც შპს "კ. მ-ს" დირექტორს და არც მის წარმომადგენელს პირადად არ ჩაჰბარებიათ, ხოლო უწყების ჩამბარებელმა თანამშრომელმა არ შეატყობინა დირექტორს და მის წარმომადგენელს სხდომის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "კ. მ-ს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის სხდომაზე მოწვევის შესახებ უწყება აპელანტის - შპს "კ. მ-ს" მიერ მითითებულ მისამართზე 2010 წლის 7 ივლისს ჩაჰბარდა მის ადმინისტრატორს, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით და შპს "კ. მ-ს" ბეჭდით. მართალია, შპს-ის დირექტორი, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9.3 მუხლის თანახმად, საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებისადმი გაგზავნილი კორესპონდენცია პირადად მას უნდა ჩაჰბარდეს. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 4.4 მუხლის თანახმად, მეწარმე სუბიექტის მიერ განცხადებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ ვერ ასაბუთებს გამოუცხადებლობის საპატიოობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი სწორად არის დატოვებული განუხილველად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "კ. მ-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის განუხილველად დატოვება გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-956-899-10

14 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-მემ სარჩელით მიმართა შუახვევის მაგისტრატ სასამართლოს ო. მ-მის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

შუახვევის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. მ-მის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო. ამავე სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

აღნიშნული გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ გაასაჩივრა ა. მ-მემ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სხდომის დღის შესახებ მხარეებს უწყება გაეგზავნათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და განემარტათ გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, კერძოდ, სასამართლო პროცესის შესახებ უწყება ა. მ-მეს ჩაჰბარდა პირადად 2010 წლის 15 ივლისს.

დადგენილია, რომ აპელანტს ა. მ-მეს გამოუცხადებლობის მიზეზი არ უცნობებია სასამართლოსათვის.

პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რომელსაც შეტყობინება სხდომაზე მოწვევის შესახებ გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით და არც გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე რაიმე შეტყობინება არ შემოსულა..

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. მ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, 2010 წლის 27 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა 2 საათის დაგვიანებით. ამის მიზეზი იყო ის, რომ გარდაიცვალა მისი ბიძაშვილი გ. მ-მე და სწორედ იმ დილით, 27 ივლისს, გადაასვენეს მიცვალებული ქ. ბათუმიდან სოფ. ...-ში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლო გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სხდომის დღის შესახებ მხარეებს უწყება გაეგზავნათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და განემარტათ გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე. კერძოდ, სასამართლო პროცესის შესახებ უწყება ა. მ-მეს ჩაჰბარდა პირადად 2010 წლის 15 ივლისს, აპელანტს გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 215-მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადე-

ბისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტურ გარემოებები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო საჩივარში არ არის მითითებული იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომლის გამოც გასაჩივრებული განჩინება შეიძლება გაუქმდეს. კერძო საჩივრის ავტორი არ უთითებს იმ გარემოებაზე, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს საპატიო მიზეზად. მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ, შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზამლეის თემის რწმუნებულის ცნობას საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ცნობიდან ირკვევა, რომ გ. მ-ის გადმოსვენება და დაკრძალვა, რომელსაც ესწრებოდა ა. მ-მე მოხდა 2010 წლის 27 ივლისს, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ 2010 წლის 27 ივლისის სხდომის დღის თაობაზე ა. მ-მე ინფორმირებული იყო 15 ივლისს, მას ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეჩინა მეტი კეთილსინდისიერება, გულისხმიერება და გ. მ-ის დაკრძალვამდე ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის თაობაზე, რაც მას არ გაუკეთებია.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსარჩელის გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-867-816-2010 29 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შპს "ა-მ" მოწინააღმდეგე მხარის - შპს "ს. რ-ს" მიმართ და მოითხოვა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გადახდის ბრძანების მიღება, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარისათვის თავის სასარგებლოდ 17 103.80 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადახდის ბრძანების საფუძველზე შპს "ს. რ-ს" შპს "ა-ს" სასარგებლოდ დაეკისრა როგორც ძირითადი თანხის - 11 166.76 ლარის, ასევე დარიცხული საურავის - 5 937.04 ლარის გადახდა.

შპს "ს. რ-ს" შესაგებლის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით ზემომითითებული გადახდის ბრძანება გააუქმა და დაადგინა შპს "ა-ს" განცხადების საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით შპს "ა-ს" სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს "ს. რ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 17 103.80 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ს. რ-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2009 წლის 17 ივნისს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება შპს "ა-ს" გამოუცხადებლობის გამო, რომლითაც გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შპს "ა-ს" სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინებით, შპს "ა-ს" საჩივრის განხილვის შედეგად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ა-მ".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით შპს "ა-ს" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინებით შპს "ს. რ-ს" სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შპს "ს. რ-ს" სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნული იყო 2010 წლის 7 ივლისს, 11.00 საათზე, რის შესახებაც შპს "ს. რ-ს" წარმომადგენელს ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მიუხედავად ამისა, იგი დანიშნულ დროს სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. მოწინააღმდეგე მხარე შპს "ა-მ" აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, არსებობს თუ არა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები. უწინარესად სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მიწვეული იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. მიწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაჰპარდა სამოქალაქო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, სასამართლო გამოცხადებული მხარის (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე) შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო საჩივარს განუხილველად დატოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ აპელანტისათვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულა აპელანტის წარმომადგენელი, იმავდროულად, მას გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია, ხოლო აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "ს. რ-ს" სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს "ს. რ-მ" (წარმომადგენელი დ. ა-იანი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, 2010 წლის 3 ივლისს, გახდა ცუდად. ამის გამო ოჯახის წევრებმა იგი გადაიყვანეს შპს "ნ-ს" კლინიკაში, სადაც პაციენტს დაუსვეს ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციის, მწვავე ბრონხიტის დიაგნოზი. ექიმმა ავადმყოფს დაუნიშნა ექვსდღიანი წოლითი რეჟიმი, რასაც ადასტურებს სამკურნალო დაწესებულება შპს "ნ-ს" 2010 წლის 9 ივლისის #739 ცნობა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა მას საშუალებას არ აძლევდა გამოცხადებულიყო სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის სხდომაზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას არც ის შეეძლო, რომ გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე სასამართლოსათვის ეცნობებინა. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით (რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის) მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში განაპირობებს სარჩელის (სააპელაციო საჩივარი) განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ს. რ-ს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში შპს "ს. რ-ს" სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანხმდა, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში სრულიად ასაბუთებს შპს "ს. რ-ს" სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებას.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით შპს "ს. რ." სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერებას და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივარს თან ერთვის შპს "ნ-ს" 2010 წლის 9 ივლისის #739 ცნობა. დასახელებული ცნობით ირკვევა, რომ 2010 წლის 3 ივლისიდან 2010 წლის 9 ივლისამდე დროის მონაკვეთში შპს "ს. რ-ს" წარმომადგენელი დ. ა-იანი, რომელიც მოცემულ საქმეზე ახორციელებდა და ამჟამადც ახორციელებს შპს "ს. რ-ს" წარმომადგენლობას, გადიოდა ამბულატორიულ მკურნალობას დიაგნოზით: ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია, მწვავე ბრონქიტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებ მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებ-

ლია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება - შპს "ნ-ს" 2010 წლის 9 ივლისის #739 ცნობა - არ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე. ამდენად, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძველად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. შპს "ნ-ს" მიერ გაცემულ ავადმყოფობის ცნობაში სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შეუძლებლობის შესახებ მითითებული არ არის. ამასთან, ასეთი დასკვნის საფუძველს არც ცნობაში ასახული დიაგნოზი იძლევა. გარდა ამისა, ცნობას ხელს არ აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ აპელანტის წარმომადგენელს ავადმყოფობის შესახებ თავის დროზე, ანუ სხდომამდე არ უცნობებია სასამართლოსათვის, რისი ვალდებულებაც მას ჰქონდა სსსკ-ის 241-ე მუხლის მიხედვით და შეეძლო კიდევ აღნიშნულის გაკეთება, ვინაიდან იგი ამბულატორიულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 2010 წლის 3 ივლისიდან, სააპელაციო სასამართლოს სხდომა კი დანიშნული იყო ამავე წლის 7 ივლისს. ამდენად, კერძო საჩივარში მითითებული მოტივი მხარისა და მისი წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ არ ექვემდებარება გაზიარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ს. რ-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო საქმის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-953-896-2010 9 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მ. გ-ელის მიმართ და მოითხოვა აღიარებულიყო, რომ მისი ოჯახის მიერ 1995 წელს ფაქტობრივად შეძენილია ქ. ბათუმში, ... ქ.#59-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც დღეის მდგომარეობით მოპასუხის

სახელზე ირიცხება; დავალდებულიყო მ. გ-ელი, მითითებული ბინა აღერიცხა მოსარჩელის საკუთრებად, ასევე, მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ც-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ც-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აგვისტოს განჩინებით ნ. ც-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 19 აგვისტოს დანიშნულ სასამართლო სხდომის შესახებ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ გაფრთხილებულნი და ინფორმირებულნი გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ, ნ. ც-მის მიერ, ფაქტის მეშვეობით გამოგზავნილი შუამდგომლობა, ავადმყოფობის გამო სხდომის გადადების თაობაზე, რის დასადასტურებლადაც თან დაურთო სამედიცინო ცნობა, არ გაიზიარა და არ მიიჩნია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ც-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 აგვისტოს ჩანიშნული სხდომის დაწყებამდე, სასამართლოს, კანონის შესაბამისად, შეატყობინა ავადმყოფობის შესახებ და იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, თუმცა აღნიშნულის დამდასტურებლად მის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა სასამართლომ საპატიო მიზეზად არ მიიჩნია და მისი გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ც-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აგვისტოს განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ც-მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 აგვისტოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ინფორმირებულები იყვნენ სასამართლო სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში სრულიად ასაბუთებს ნ. ც-მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებას.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით ნ. ც-მე სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერებას და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, აპელანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, კერძოდ, ავადმყოფობის გამო, რის დასადასტურებლადაც მის მიერ წარმოდგენილი იყო აჭარის ა/რ ქობულეთის ზავშეთა საავადმყოფოს ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც, ნ. ც-მე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციის გამო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება - აჭარის ა/რ ქობულეთის ზავშეთა საავადმყოფოს ექიმის მიერ

გაცემული ცნობა, არ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 აგვისტოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოობას, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე. ამდენად, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძველად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოუცხადების შეუძლებლობაზე. აჭარის ა/რ ქობულეთის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმის მიერ გაცემულ ავადმყოფობის ცნობაში სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შეუძლებლობის შესახებ მითითებული არ არის. ამასთან, ასეთი დასკვნის საფუძველს არც ცნობაში ასახული დიაგნოზი იძლევა. გარდა ამისა, ცნობას ხელს არ აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირი. ამდენად, კერძო საჩივარში მითითებული მოტივი ნ. ც-ძის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ, არ ექვემდებარება გაზიარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა ნ. ც-ძის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა და არ მიიჩნია იგი მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად, და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ც-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აგვისტოს განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის განუხილველად დატოვება მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

ას-1020-956-2010 20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: კომლის წევრობის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ქ-ავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ქ-იასა და ნ. ქ-იას მიმართ მოპასუხეთა კომლის წევრობის გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელის მამა ო. ქ-ავა წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე კომლის უფროსს. 1993 წლის 10 ნოემბერს იგი გარდაიცვალა. მოპასუხეებმა ისარგებლეს იმით, რომ ჯ.ქ-ავა დროებით სხვა ადგილას ცხოვრობდა და უკანონოდ აღირიცხენ სადავო კომლის წევრებად.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ კომლში მათი რესგიტრაცია მოხდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ჯ. ქ-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ჯ.ქ-ავას სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2010 წლის 21 სექტემბერს, 12 საათზე, რის შესახებაც როგორც აპელანტსა და მის წარმომადგენელ მ.ჭ-იას, ისე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელ თ.ჯ-იას ეცნობათ კანონის მოთხოვნათა დაცვით სატელეფონო უწყების საშუალებით. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დადგენილ დროს საქმის განხილვაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე ჯ. ქ-ავამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: აპელანტი ვერ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში, რადგან არ ჰქონდა ავადმყოფი დედის დატოვების შესაძლებლობა. ამასთან, მხარე იმყოფება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, წარმომადგენლის მომსახურებით სარგებლობდა მხოლოდ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას და სააპელაციო სასამართლოში დამოუკიდებლად თავის უფლებებს ვერ დაიცავდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ქ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მოდავე მხარეები, რომელთაც საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდათ, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სასამართლოს აცნობეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ეფუძნება ვარაუდს, რომ მხარეებმა დავის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგეს ან პროცესზე გამოცხადებასთან დაკავშირებული საპროცესო მოვალეობის არასაპატიოდ შეუსრულებლობით უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მხარეებს 2010 წლის 21 სექტემბერს ჯ. ქ-ავას სააპელაციო საჩივრის განხილვის დაინიშნვის თაობაზე სასამართლო სატელეფონო უწყებები კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩაჰბარდათ, რაც მათ სადავოდ არ გაუხდიათ.

აღნიშნულის მიუხედავად, მხარეები საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ. ამ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებით სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჯ. ქ-ავას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ იგი სასამართლოს მიერ დაინიშნულ დროს საქმის განხილვაზე ვერ გამოცხადდა დედის ავადმყოფობის გამო, ასევე მას დამოუკიდებლად, წარმომადგენლის გარეშე საკუთარი უფლებების დაცვა არ შეეძლო, ვინაიდან აღნიშნული გარემოებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სათანადოდ დადასტურებული არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ჟ. ქ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-1024-960-2010 20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. მ-შვილის მიმართ საერთო ორი შვილის სარჩენად ალიმენტის - თითოეულზე 100 ლარისა და დამატებითი ხარჯების - 50 ლარის დაკისრების, ასევე საერთო ქონების გაყოფის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, ალიმენტის სახით ყოველთვიურად 100-100 ლარის გადახდის ნაწილში ცნო, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. მ-შვილს დაეკისრა 1999 წლის 27 სექტემბერს დაბადებული სოფიო მ-შვილისა და 2001 წლის 9 მარტს დაბადებული ა. მ-შვილის სასარგებლოდ ალიმენტის - თითოეულისათვის 100 ლარისა და დამატებითი ხარჯების - 50 ლარის ანაზღაურება 2010 წლის 14 იანვრიდან მათ სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დამატებითი ხარჯების დაკისრების ნაწილში გ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: L

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნული იყო 2010 წლის 29 სექტემბერს, 10 საათზე, რის შესახებაც 2010 წლის 29 ივლისის სასამართლო სხდომის შემდეგ ხელწერილით გაფრთხილებულ იქნა აპელანტის წარმომადგენელი მ. ნ-ია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტს სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, თუმცა დანიშნულ დროს იგი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის, 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების, 372-ე მუხლის, 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად პალატამ მიიჩნია, რომ, აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს, არსებობს თუ არა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები. უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო საქმის განხილვაზე, ასევე, მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

ამასთან, სასამართლო გამოცხადებული მხარის (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის) შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო საჩივარს განუხილველად დატოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ აპელანტისათვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტი 2010 წლის 29 სექტემბერს, 10 საათზე დანიშნული სხდომის შესახებ კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო, მასვე განემარტა გამოუცხადებლობის შედეგები. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლო სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა. ამასთან, აპელანტს სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ არ უცნობებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე განუხილველად უნდა დარჩეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. მ-შვილის წარმომადგენელმა მ. ნ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: მ. ნ-ია მოცემულ დავაში წარმომადგენდა გ.მ-შვილის ინტერესებს და სადავო სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, კერძოდ, 2010 წლის 29 სექტემბერს, დილით ადრე მიიღო საყოფაცხოვრებო ტრავმა, რაც დასტურდება შპს "სამედიცინო ფირმა ვალეოს" მიერ გაცემული ცნობით. მ. ნ-იას დაუდგინდა ტვინის შერყევა და დაენიშნა მკურნალობა წოლითი რეჟიმით. შესაბამისად, მ.ნ-იას არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეეტყობინებინა სასამართლოსათვის თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. ნ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და აპელანტს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მას 2010 წლის 29 სექტემბერის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აპელანტი სასამართლო პროცესზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, აპელანტის წარმომადგენელ მ. ნ-იას ავადმყოფობის გამო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოების (ავადმყოფობის გამო მ.ნ-იას სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა და ამის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის შეუძლებლობის) დადასტურების შემთხვევაშიც მითითებული გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, რადგან საქმის განხილვაზე წარმომადგენლის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის შეტყობინების შეუძლებლობა არ გამოირიცხავს თავად აპელანტ გ. მ-შვილის ვალდებულებას, გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე და საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება. აღნიშნული საპროცესო მოვალეობა გ.მ-შვილს არ შეუსრულებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი სავსებით სწორად დარჩა განუხილველად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. ნ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის განუხილველად დატოვება მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-1040-975-2010 21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 3 თებერვალს გორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ბ. ლ-ძემ მოპასუხე შპს "... კლინიკის" მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მისი კუთვნილი ნივთების გამოთხოვა.

სარჩელის თანახმად, ბ. ლ-ძე წარმოადგენს შპს "... პოლიკლინიკის" დამფუძნებელ პარტნიორს 40%-იანი წილობრივი მონაწილეობით. შპს-ს დირექტორის #6 ბრძანებით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ 2009 წლის 5 ოქტომბერს გატეხა ბ. ლ-ძის სამუშაო ოთახი, სადაც ინახებოდა მოსარჩელის კუთვნილი 4 940 ლარის ღირებულების 78 დასახელების ნივთი. ეს ნივთები გატანილ იქნა ოთახიდან. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, ბ. ლ-ძისათვის კუთვნილი ნივთები არ დაუბრუნებიათ.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ბ. ლ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ სარჩელში დასახელებული ნივთები წარმოადგენდა ბ. ლ-ძის საკუთრებას და რომ სწორედ ეს ნივთები იმყოფებოდა მოპასუხე საზოგადოების მფლობელობაში. რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელში ჩამოთვლილი ნივთების მოპასუხის მიერ ფლობის დადასტურების შემთხვევაშიც, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რამდენადაც მოსარჩელემ ვერ მოახდინა იმ ნივთების ინდივიდუალიზება, რომლის ვინდიცირებასაც იგი მოითხოვდა და ვერ დაადასტურა საკუთრების უფლება მათზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ლ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ბ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად, აპელანტს სხდომის თაობაზე ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აპელანტი დანიშნულ დროს სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. მოწინააღმდეგე მხარემ - შპს "... პოლიკლინიკის" წარმომადგენელმა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის (რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას) შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, არსებობს თუ არა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები. უწინარესად სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, სასამართლო გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო საჩივარს განუხილველად დატოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ აპელანტისათვის სასამართლო სხდომაზე თარიღის შეტყობინების მიუხედავად, იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები, კერძოდ: საქმეზე დგინდებოდა, რომ ბ. ლ-მე კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო 2010 წლის 29 სექტემბრის სხდომის შესახებ; მასვე განემარტა გამოუცხადებლობის შედეგები, მაგრამ სხდომაზე იგი არ გამოცხადებულა და არც სასამართლოსათვის უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზები; აპელანტის მოიწინააღმდეგე მხარე მოითხოვდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ბ. ლ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა განპირობებული იყო საქართველოში მისი არყოფნით. მითითებულ დროს იგი გერმანიაში იმყოფებოდა. ამის დასადასტურებლად კერძო საჩივარს თან ერთვის ბილეთის ორი ასლი, აგრეთვე, ელექტრონული ბილეთი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ლ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით ბ. ლ-მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა, რომელიც კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილვაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის სხდომის თაობაზე აპელანტ ბ. ლ-მეს ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. კერძოდ, სასამართლო უწყება 2010 წლის 29 ივლისს ჩაბარდა აპელანტის მეუღლეს - მ. გ-შვილს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74.1 მუხლის მიხედვით, მიიჩნევა უწყების აპელანტისათვის ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანხმავს, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში სრულიად ასაბუთებს ბ. ლ-მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის გა-

ნახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მითითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა - სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, საქართველოში არყოფნით. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის სხდომის დროისა და ადგილის შესახებ აპელანტს ეცნობა ჯერ კიდევ 2010 წლის 29 ივლისს, ანუ სასამართლო სხდომამდე ორი თვით ადრე. აქედან გამომდინარე, აპელანტს საკმარისი დრო ჰქონდა, რომ თავიდან აეცილებინა მისთვის არასასურველი პროცესუალური შედეგი - სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ გამგზავრება არ წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, თუ ეს არ არის გამოწვეული ავადმყოფობით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით. გარდა ამისა, აპელანტი ვალდებული იყო წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსათვის მისი საზღვარგარეთ გამგზავრებისა და დანიშნულ დროს სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. ამასთან, მოეთხოვა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება, რაც მას არ გაუკეთებია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აპელანტს შეეძლო საქმე ეწარმოებინა წარმომადგენლის მეშვეობით, რაც ასევე არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ლ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-1051-985-2010

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს "... ბანკმა" სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების მ. ზ-შვილის, ზ. შ-შვილის და სხვათა მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოპასუხე მ. ზ-შვილმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა მას და სს "... ბანკს" შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებისა და სანოტარო აქტების ბათილად ცნობა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს "... ბანკის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე, არ დაკმაყოფილდა მ. ზ-შვილის შეგებებული სარჩელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "... ბანკმა", მოითხოვა მისი გაუქმება თავისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით სს "... ბანკის" სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დაინიშნა საქმის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 7 ივლისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე მხარეს - ზ. შ-შვილს კანონით დადგენილი წესით არ ჩაპბარდა სასამართლო უწყება სხდომის დღის თაობაზე, საქმის განხილვა გადაიდო 2010 წლის 15 სექტემბერს, 14:00 საათზე, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებულ იქნენ ხელწერილით, რომლითაც განემარტათ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბერს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სს "... ბანკის" სააპელაციო საჩივარი, საოქმო განჩინებით, დარჩა განუხილველად.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს "... ბანკის" წარმომადგენელმა ც. ხ-ულმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ 2010 წლის 15 სექტემბერს, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დღეს, სასამართლო სხდომაზე დროულად მისი გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო განპირობებული, კერძოდ, სს "... ბანკის" კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც იურიდიულ დეპარტამენტს ემსახურება და რომლითაც კონკრეტულ შემთხვევაში მგზავრობდნენ ბანკის წარმომადგენლები დაზიანდა, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის (საცობის) გამო, მათ გაუძნელდათ სათადარიგო ტრანსპორტის გამოყენებით დროულად გამოცხადება სასამართლო სხდომაზე. ამასთან, მოსამართლის აპარატის გაფრთხილება სატელეფონო საშუალებით ვერ განახორციელეს, ვინაიდან სატელეფონო კვანძი ხანგრძლივად იყო დაკავებული. ამდენად, ეს იყო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვლენა, რომელმაც ხელი შეუშალა სასამართლოში დანიშნულ დროს გამოცხადებაში (სსსკ-ის 233.1 "ბ" ქვეპუნქტი), რის გამოც მოითხოვეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ სს "... ბანკის" წარმომადგენელ ც. ხ-ულის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შე-

სამღებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო სასამართლო სხდომაზე და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. ამასთან, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, თუ დაადგენს, რომ სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ სხდომის დღის შესახებ მხარეები გაფრთხილებულნი იყვნენ კანონით დადგენილი წესით, კერძოდ 2010 წლის 7 ივლისის სხდომის ოქმით დგინდება, რომ საქმის განხილვა გადაიდო 2010 წლის 15 სექტემბერს, 14.00 საათზე, რაზეც ხელწერილი ჩამოერთვათ მხარეებს და დაერთო საქმეს, მაგრამ სს "... ბანკის" წარმომადგენლები (ც. ხ-ული, რ. თ-შვილი) სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან და არც რაიმე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ ან საქმის განხილვის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 15 სექტემბერს, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დღეს, ისინი სასამართლო სხდომაზე დროულად ვერ გამოცხადდნენ საპატიო მიზეზით, კერძოდ, სს "... ბანკის" კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც იურიდიულ დეპარტამენტს ემსახურება და რომლითაც კონკრეტულ შემთხვევაში მგზავრობდნენ ბანკის წარმომადგენლები დაზიანდა, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის (საცობის) გამო, მათ გაუძნელდათ სათადარიგო ტრანსპორტის გამოყენებით დროულად გამოცხადება სასამართლო სხდომაზე. ამასთან, მოსამართლის აპარატის გაფრთხილება სატელეფონო საშუალებით ვერ განახორციელეს, ვინაიდან სატელეფონო კვანძი ხანგრძლივად იყო დაკავებული. ამდენად, ეს იყო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვლენა, რომელმაც ხელი შეუშალათ სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის (სსსკ-ის 233.1 "ბ" ქვეპუნქტი), რის გამოც მოითხოვეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორთა მიერ მითითებული გარემოება ვერ მიიჩნევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ის გარემოება, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტება იმის თაობაზე, რომ სასამართლო პროცესზე დროულად გამოუცხადებლობა გადატვირთული და შეფერხებული სატრანსპორტო მოძრაობამ გამოიწვია, საკასაციო სასამართლოს მიერ, მითითებული მუხლების შესაბამისად, ვერ მიიჩნევა შემაფერხებელ გარემოებად და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად. ამასთან, მხარემ წინასწარ უნდა გაითვალისწინოს ყველა შემაფერხებელი გარემოება, იმ პროცესუალური შედეგების თავიდან ასაცილებლად, რაც მოჰყვება მის გამოუცხადებლობას,

მით უფრო, რომ საქმის განხილვის გადადების ხელწერილით, მხარეებს განემარტათ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად, და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს "... ბანკის" წარმომადგენლის - ც. ხ-ულის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-336-313-2010

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ნატურით დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ. ზ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მენაშენეთა ამხანაგობა "მ-ის" მიმართ 2008 წლის 4 მარტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი ძირითადი თანხის - 93035 აშშ დოლარისა და აღნიშნული თანხის 5%-ის - 4651,75 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: მხარეთა შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა ნასყიდობის საგნის ღირებულება, თუმცა ამხანაგობამ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და უძრავი ნივთი მოსარჩელის საკუთრებად საჯარო რეესტრი არ აღრიცხა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ამხანაგობა "მ-ი" აპირებდა რა სადავო ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მოსარჩელემ უძრავი ნივთის რეგისტრაციაზე გაურკვეველი მიზეზით უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ამხანაგობა "მ-ს" დაეკისრა 2008 წლის 4 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის გადახდილი ძირითადი თანხის - 93035 აშშ დოლარის, ასევე, ძირითად თანხაზე დარიცხული 5%-ის - 4651,75 აშშ დოლარის გადახდა ნ. მ. ზ-ის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგობა "მ-მა" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებით ამხანაგობა "მ-ის" თავმჯდომარის - ა. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2010 წლის 9 მარტს 12 საათზე დანიშნული იყო ამხანაგობა "მ-ის" თავმჯდომარე ა. ტ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვა. დანიშნულ დროს სასამართლო

სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი ლ. წ-აია, სასამართლო სხდომის გახსნის შემდგომ პალატა კიდეც 15 წუთის განმავლობაში ელოდა გამოუცხადებელ მხარეს. ასევე, საქმის მასალებით პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 10 თებერვალს აპელანტი ამხანაგობა "მ-ის" თავმჯდომარე ა. ტ-ს 2010 წლის 9 მარტს, 12.00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 387-ე მუხლებით, 229-ე მუხლის მეორე ნაწილით, 275-ე, 276-ე მუხლებით და მიუთითა, რომ სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ არ გამოცხადდება აპელანტი (მისი წარმომადგენელი), აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოებები.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ, რადგან 2010 წლის 9 მარტის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის - ამხანაგობა "მ-ის" თავმჯდომარე ა. ტ-ში, რომელსაც სასამართლოს სხდომის დღის შესახებ ეცნობა კანონით დადგენილი წესით და მისი გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის უცნობია, შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ამხანაგობა "მ-ის" წარმომადგენელმა ლ. წ-აიამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველზე: სააპელაციო პალატამ არასწორად დატოვა განუხილველად ამხანაგობა "მ-ის" სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან აპელანტს სასამართლო უწყება ჩაბარდა დაგვიანებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 233-ე მუხლების დარღვევით. ამდენად, მისი გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე უნდა ჩაითვალოს საპატიოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ამხანაგობა "მ-ის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის.

ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, ხოლო 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო და ადგილი კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ეცნობა, არ გამოცხადდება სასამართლო პროცესზე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე არ იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში ამხანაგობა "მ-ის" სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო 2010 წლის 9 მარტს, 12.00 საათზე, რის შესახებ აპელანტი ამხანაგობის დირექტორ ა. ტ-შს ეცნობა სასამართლო სატელეფონო შეტყობინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მხარეები, მათი წარმომადგენლები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეკემით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაიკრება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.

მითითებული ნორმა უფლებას ანიჭებს სასამართლოს, თავად გადაწყვიტოს, თუ რა საშუალებით შეატყობინოს მხარეს სასამართლოში საქმის განხილვის დრო და ადგილი, მათ შორის, კანონით ვალისწინებს მხარის დაბარებას სატელეფონო კავშირის მეშვეობით, რა დროსაც უნდა შესდგეს და საქმეს დაერთოს შესაბამისი აქტი.

განსახილველ შემთხვევაში კანონის აღნიშნული მოთხოვნა დაცულია, ამდენად, დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ მას სააპელაციო სასამართლოში საქმის 2010 წლის

9 მარტს განხილვის თაობაზე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ ეცნობა. ამასთან, მხარეს არ დაუკონკრეტებია, თუ რაში გამოიხატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის დარღვევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა, რის გამოც სააპელაციო პალატას გასაჩივრებული განჩინება სამართლებრივად დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ამხანაგობა "მ-ის" წარმომადგენელ ლ.წ-აიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გასაჩივრების ვადა**

განჩინება

#ას-341-317-2010

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 დეკემბერს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ი. დ-მემ მოპასუხე გ. ხ-შვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2009 წლის 10 ოქტომბერს მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ი. დ-მისა და გ. ხ-შვილის ავტომანქანები. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, მოძრაობის წესები დაარღვია გ. ხ-შვილმა. ამ უკანასკნელმა ხელწერილით იკისრა ვალდებულება, სრულად აენაზღაურებინა ზიანი, კერძოდ, გადაეხადა ი. დ-მის კუთვნილი ავტომანქანის ღირებულება 5500 აშშ დოლარის ოდენობით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ გ. ხ-შვილის არ ასრულებდა ვალდებულებას.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. ხ-შვილს დაეკისრა 5500 აშშ დოლარის გადახდა ი. დ-მის სასარგებლოდ. სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილი გ. ხ-შვილს ჩაჰბარდა 2009 წლის 11 დეკემბერს, მას წერილობითი პასუხის წარმოსადგენად განსაზღვრული ჰქონდა 10 დღე. ამ ვადაში მოპასუხეს წერილობითი პასუხი არ წარუდგენია და არც საპროცესო ვადის გაგრძელებაზე უშუამდგომლია. აღნიშნული გარემოება სასამართლომ მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველად.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა გ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ იყო ავად, რის გამოც ვერ შეძლო წერილობითი პასუხის წარმოდგენა. აღნიშნულის დასადასტურებლად გ. ხ-შვილმა წარადგინა ცნობა 2009 წლის 18 დეკემბრიდან 2010 წლის 14 იანვრამდე მისი ავადმყოფობის შესახებ.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით გ. ხ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 დე-

კემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ცნობა ადასტურებდა გ. ხ-შვილის ავადმყოფობას 2009 წლის 18 დეკემბრიდან 2010 წლის 14 იანვრამდე პერიოდში, ხოლო სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილი მოპასუხეს ჩაჰბარდა 2010 წლის 11 დეკემბერს, აღნიშნულიდან გამომდინარე, გზავნილის ჩაბარებიდან ექიმისათვის მიმართვამდე გ. ხ-შვილს ჰქონდა დრო წერილობითი პასუხის წარმოსადგენად. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ავადმყოფობის ცნობა არ ადასტურებდა მოპასუხის ავადმყოფობის გამო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად შესაგებლის წარუდგენლობის შეუძლებლობას.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. აპელანტი მიუთითებდა, რომ წერილობითი შესაგებლის წარუდგენლობა მოხდა მისი ავადმყოფობის გამო, რასაც ადასტურებდა შესაბამისი ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებით გ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების ასლი გ. ხ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 9 თებერვალს. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 24 თებერვალს, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა საპროცესო ვადის დასასრული და გასაჩივრების ბოლო დღედ არასწორად მიიჩნია 23 თებერვალი. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი ვადა იწყება იმ მოვლენის დადგომის მეორე დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 10 თებერვლიდან და მიმატებოდა კიდევ 14 დღე, რისი გათვალისწინებითაც საპროცესო ვადა მთავრდებოდა 24 თებერვალს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინების ასლი გ. ხ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 9 თებერვალს.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა, რომ 2010 წლის 24 თებერვალს, როდესაც მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა, გასაჩივრების ვადა გასული არ იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 10 თებერვალს და დასრულდა 2010 წლის 23 თებერვალს. აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2010 წლის 24 თებერვალს, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი ასევე ადგენს, რომ, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო. უწყების ჩაბარება
განჩინება**

#ას-391-364-2010 7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ე. თ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. პ-ძისა და ჯ. ვ-ძის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების, ზიანის ანაზღაურებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონზე რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 29 აგვისტოს მოსარჩელემ მოპასუხეებს 6 თვის ვადით ასესხა 60000 აშშ დოლარი ყოველთვიურად 8%-ის დარიცხვით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ჯ. ვ-ძის კუთვნილი ქ. ბათუმში, ქ. #128-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მოპასუხეებმა ზემოხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად არ შეასრულეს.

მოპასუხეებმა სარჩელი ძირითადი სესხის ნაწილში ცნეს, ხოლო დარიცხული პროცენტის - 27 000 აშშ დოლარის ნაწილში მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ვინაიდან აღნიშნული თანხა რეალურად დარიცხულ ოდენობას არ შეესაბამება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ჯ. ვ-ძესა და თ. პ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი თანხის - 60000 აშშ დოლარის, დარიცხული სარგებლის - 27000 აშშ დოლარის, სულ - 87000 აშშ დოლარის ანაზღაურება, დავალიანების გადახდევინების მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა ქ. ბათუმში, ქ. #128-ში მდებარე, ჯ. ვ-ძის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. პ-ძემ და ჯ. ვ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 მარტის განჩინებით ჯ. ვ-ძისა და თ. პ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ჯ. ვ-ძისა და თ. პ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2010 წლის 12 მარტს, რის შესახებ სასამართლო უწყება 2010 წლის 24 თებერვალს ჩაჰბარდა სსიპ იურიდიულ ბიურო "წ-ძე-ხ-შვილის" თანამშრომელს აპელანტთა წარმომადგენელ ი. ჯ-ძისათვის გადასაცემად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილისა და 70-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის დრო და ადგილი აპელანტებსა და მათ წარმომადგენლებს კანონის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო სხდომამდე 12 დღით ადრე ეცნობათ. სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს აპელანტები პროცესზე არ გამოცხადდნენ. 2010 წლის 10 მარტს მათმა წარმომადგენელმა ი. ჯ-ძემ იშუამდგომლა პროცესის გადადების თაობაზე და განმარტა, რომ ვეღარ დაიცავს აპელანტთა უფლებებს სასამართლოში, ვინაიდან დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, რის შესახებაც მხარეებს აცნობა რამდენიმე დღით ადრე. ჯ. ვ-ძე არ იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო თ. პ-ძე ვერ მოახერხებს საქმის განხილამდე ახალი ადვოკატის აყვანას. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ 2010 წლის 12 მარტის პროცესზე გამოცხადდა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი დ. ჭ-ია, ხოლო აპელანტები სასამართლოში არ გამოცხადებულან. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლით, 275-ე მუხლის "გ" პუნქტით და მიიჩნია, რომ მოცემული სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს

განუხილველად, ხოლო ი.ჯ-მის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან აპელანტებმა საქმის განხილვის გადადების მოტივად მითითებული გარემოების შესახებ შეიტყვეს 2010 წლის 15 თებერვლიდან, როდესაც ი.ჯ-მე დაინიშნა ზემოხსენებული სამინისტროს იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე და აცნობა აღნიშნული აპელანტებს. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, თ.პ-მესა და ჯ.ვ-მეს საკმარისი და გონივრული ვადა ჰქონდათ ახალი წარმომადგენლის დასანიშნად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ჯ. ვ-მემ და თ. პ-მემ შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, ი.ჯ-მე უფლებამოსილი იყო, ნებისმიერ სტადიაზე უარი ეთქვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე. სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ აპელანტებმა ი.ჯ-მის სამინისტროში დანიშვნის თაობაზე იმავე დღეს - 2010 წლის 15 თებერვალს შეიტყვეს. რეალურად აღნიშნული მათთვის ცნობილი გახდა სადავო სასამართლო პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე, რაც მითითებულია კიდეც ი.ჯ-მის შუამდგომლობაში. 2010 წლის 12 მარტს აპელანტი ჯ.ვ-მე საქართველოში არ იმყოფებოდა, რაც დასტურდება მის პასპორტში განხორციელებული ჩანაწერით, ხოლო თ.პ-მემ საცხოვრებელი ადგილი რამდენჯერმე შეიცვალა, რის გამოც მისთვის რაიმე კორესპოდენციის ჩაბარება გართულებულია და გარკვეულ დროს საჭიროებს. სასამართლომ დაარღვია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ვ-მისა და თ. პ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში 2010 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები - ჯ. ვ-მე და თ. პ-მე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ აპელანტებს 2010 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომის შესახებ ამავე წლის 24 თებერვალს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობათ, კერძოდ, სასამართლო უწყება გაეგზავნა მათ წარმომადგენელ ი. ჯ-მეს და ჩაბარდა სსიპ იურიდიულ ბიურ "წ-მე-ხ-შვილის" თანამშრომელს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით - სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილი კი ადგენს, რომ მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ზემოხსენებული კანონის დანაწესის შინაარსი ცხადყოფს, რომ სასამართლო უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთი მათგანის, მათ შორის, წარმომადგენლის სამუშაო ადგილზე მყოფ თანამდებობის პირს, რომელიც თავისი ხელმოწერით დაადასტურებს სასამართლო უწყების მიღებას და ადრესატისათვის მისი გადაცემის ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უწყების მხარისა და მისი წარმომადგენლის მიერ მიღების თარიღად მიიჩნევა ზემოხსენებული თანამდებობის პირის მიერ უწყების მიღების თარიღი.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში 2010 წლის 24 თებერვალს აპელანტთა წარმომადგენელ ი.ჯ-ძის სამუშაო ადგილზე სსიპ იურიდიული ბიურო "წ-მე-ხ-შვილის" თანამშრომლისათვის 2010 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომის შესახებ სასამართლო უწყების ჩაბარება ი.ჯ-ძის, თ.პ-ძისა და ჯ.ვ-ძისათვის ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ 2010 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების საფუძველს არ წარმოადგენდა ი.ჯ-ძის შუამდგომლობა მის მიერ აპელანტთა უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, წარმომადგენელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს, თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს, შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

კანონის მითითებული დანაწესი შესაძლებლობას აძლევს წარმომადგენელს, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს მხარის ინტერესთა დაცვაზე და ვალდებულებას აკისრებს მას, გონივრულ ვადაში აცნობოს აღნიშნულის თაობაზე როგორც თავად მხარეს, ისე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორებმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით, ვერ დაადასტურეს, რომ ი.ჯ-ძეს მათთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დროულად არ უცნობებია, შესაბამისად, დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ თ.პ-ძესა და ჯ.ვ-ძეს 2010 წლის 15 თებერვლიდან (ი.ჯ-ძის მიერ სამინისტროში მუშაობის დაწყებიდან) 2010 წლის 12 მარტამდე (სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვამდე) საკმარისი დრო ჰქონდათ სასამართლო პროცესისათვის მოსამზადებლად, მათ შორის, ახალი წარმომადგენლის წარმოსადგენად.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ვერც ჯ.ვ-ძის არგუმენტი, რომ 2010 წლის 12 მარტს იგი იმყოფებოდა საქართველოს ფარლებს გარეთ, ვინაიდან მას, როგორც აპელანტის სტატუსით საქმის განხილვაში მონაწილე სუბიექტს, უნდა უზრუნველყო სასამართლო პროცესში თავისი მონაწილეობა პირადად ან საჭიროებისას - წარმომადგენლის მეშვეობით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტები სასამართლო პროცესამდე არ დაინტერესებულან, გაიზიარა თუ არა სააპელაციო პალატამ ი.ჯ-ძის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ, შესაბამისად, არც საქმის განხილვაზე თავისი გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები არ გაუთვალისწინებიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორებს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების იურიდიული საფუძველების არსებობა არ დაუსაბუთებიათ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. კ-მისა და ჯ. ვ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-740-693-2010 30 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მოსამართლე პ. ქათამაძე

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "ვ-ის" დირექტორის - ზ. ც-მის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განჩინებაზე.

პალატამ გა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი მოპასუხე შპს "ვ-ის" მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს "ვ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 42250 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ვ-ის" დირექტორმა ზ. ც-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. ც-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ შპს "ვ-ის" დირექტორის - ზ. ც-მის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას, სხვა წინაპირობებთან ერთად, არკვევს შეტანილია თუ არა კერძო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ შპს "ვ-ის" დირექტორს - ზ. ც-მეს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 22 ივნისს, ხოლო კერძო საჩივარი კი მან შეიტანა 2010 წლის 7 ივლისს, ე.ი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით, ვინაიდან კერძო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, იყო 2010 წლის 4 ივლისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს "ვ-ის" დირექტორის - ზ. ც-მის კერძო საჩივარი დაუშვებელია და იგი უნდა დარჩეს განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე, 401-ე, 416-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "ვ-ის" დირექტორის ზ. ც-მის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-473-443-2010

4 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ქონებიდან წილის ამორიცხვა, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განჩინებით სარჩელის აღძვრამდე მის უზრუნველსაყოფად შეჩერდა ი. მ-ილის საკუთრებაში არსებული, ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე უძრავი ქონების (219.35კვ.მ) აუქციონზე რეალიზაცია.

2009 წლის 26 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ი. და ნ. მ-ილებმა მოპასუხეების - ი. მ-ილისა და ე. ბ-ოვას მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე, ი. მ-ილის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ნ. მ-ილის წილის ამორიცხვა, რაც შეადგენდა მთლიანი უძრავი ქონების 1/2-ს და ი. მ-ილის წილის ამორიცხვა, რაც შეადგენდა მთლიანი ქონების 1/2-ის 1/12-ს.

მოპასუხე ი. მ-ილმა სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ნ. ც-მე და ზ. გ-იანი საქმეში ჩაებნენ მესამე პირებად მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ნ. მ-ილს საპროცესო წარმომადგენლად დაენიშნა ახლო ნათესავი (ბიცოლა) ი. მ-ილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ილისა და ნ. მ-ილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე, 219.35კვ.მ-ის საცხოვრებელი სახლი, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 1988 წლის 1 ნოემბრის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე წარმოადგენს მოპასუხე ი. მ-ილის საკუთრებას; ეს სახლი სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ი. მ-ილის მიერ დაიტვირთა იპოთეკით. იპოთეკარებს წარმოადგენენ მოპასუხე ე. ბ-ოვა, აგრეთვე, მესამე პირები - ზ. გ-იანი და ნ. ც-მე; ი. მ-ილმა არაჯეროვნად შეასრულა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, რის გამოც მუდმომოქმედმა კერძო არბიტრაჟმა "კ-მ" 2009 წლის 6 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა ე. ბ-ოვას პრეტენზია და დაადგინა, რომ პრეტენდენტის მოთხოვნის ნებაყოფლობით დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ღონისძიებების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში საჯარო აუქციონის წესით რეალიზებული ყოფილიყო მოპასუხე ი. მ-ილის საკუთრებაში არსებული, ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე უძრავი ქონება; დასახელებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება არ მოხდა, რის გამოც დაიწყო სააღსრულებო წარმოება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით; აღნიშნულ პროცესში შესაბამისი აქტით ყადაღა დაედო ი. მ-ილის საკუთრებაში რიცხულ, ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე, იპოთეკით დატვირთულ საცხოვრებელ სახლს; ამასთან, დაიწყო მისი აუქციონის წესით რეალიზაცია, რაც შეჩერდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის #55/უზ-09 განჩინებით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე ი. მ-ილის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ვინაიდან იგი არის მოპასუხე ი. მ-ილის მეუღლე 1959 წლიდან, სადავო ქონების ღირებულება მა-

თი ერთად ცხოვრების განმავლობაში გაიზარდა, ამიტომ იგი წარმოადგენს ამ ქონების 1/2-ის 1/12-ის მესაკუთრეს და აღნიშნული წილი უნდა გათავისუფლდეს ყადაღისაგან. ამასთან, დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

სადავო ქონება ია. მ-ილმა მიიღო მემკვიდრეობით, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენდა თავის ინდივიდუალურ საკუთრებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას. ამავე კოდექსის 1163-ე მუხლის მიხედვით, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ი. მ-ილმა ვერ წარადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე მისი წილი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მეუღლეთა საკუთრების უფლება დასტურდება მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იცავს შემძენის ინტერესებს და მიუთითებს, რომ შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამავე კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მხარის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმება გარიგებას. ამდენად, საქალაქო სასამართლომ ამ კუთხითაც ი. მ-ილის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

რაც შეეხებოდა ნ. მ-ილის სარჩელის მოთხოვნას, მისი დაუკმაყოფილებლობა საქალაქო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდრო გახსნის დღიდან. 1422-ე მუხლიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღება შეუძლია ქმედუნარიან პირს, ხოლო ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. 1450-ე მუხლით იმპერატიულადაა განსაზღვრული, რომ სამკვიდროს მიღება და მასზე უარის თქმა შეიძლება სადავოდ გახდეს 2 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ სამკვიდრო გაიხსნა 1985 წელს და სამკვიდროში შემავალი ქონება - ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი - მემკვიდრეობით მიიღო მოპასუხე ია. მ-ილმა. როგორც თავად მოსარჩელები განმარტავდნენ, იმ პერიოდისათვის, მართალია, ნ. მ-ილი იყო არასრულწლოვანი, მაგრამ მას ჰყავდა კანონიერი წარმომადგენელი, დედა გ. მ-ილი, რომელსაც ი. მ-ილის მიერ სამკვიდროს მიღება სადავოდ არ გაუხდია. სარჩელშივე იყო აღნიშნული, რომ ნ. მ-ილი და მისი კანონიერი წარმომადგენელი - დედა გ. მ-ილი ფაქტობრივად ცხოვრობდნენ ამავე სახლში და მათთვის თავიდანვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ი. მ-ილის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე. ნ. მ-ილმა სამკვიდროდან წილის გამოყოფა მოითხოვა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქონებას დაედო ყადაღა და მიექცა აღსასრულებლად. ამასთან, ნ. მ-ილმა ისე მოითხოვა ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე ი. მ-ილის საკუთრებაში რიცხული ქონებიდან 1/2-ის ამორიცხვა, რომ მას ამ დრომდე სადავოდ არ გაუხდია არც ი. მ-ილის სახელზე 1985 წელს გაცემული სამკვიდრო მოწმობა და არც საჯარო რეესტრის ჩანაწერი, მაშინ როდესაც, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. და ნ. მ-ილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. და ნ. მ-ილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 16 თებერვალს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები - ნ. და ი. მ-ილები, რომლებიც სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებულნი იყვნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. რაიმე კანონშესაბამისი მტკიცებულება სხდომაზე გამოუცხადებლობის სა-

პატიო მიზეზის შესახებ გამოუცხადებელმა მხარეებმა სასამართლოში ვერ წარადგინეს. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოწინააღმდეგე მხარის ე. ბ-ოვას წარმომადგენელმა შ. ბ-შვილმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, აგრეთვე, ი. და ნ. მ-ილების სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუ არ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, სააპელაციო სასამართლომ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინეს ია., ი. და ნ. მ-ილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორთა მითითებით, სასამართლოსათვის ცნობილი იყო ი. და ნ. მ-ილების გამოუცხადებლობის მიზეზი. ამასთან, სასამართლო სხდომის დაწყებამდე წარდგენილი იყო ცნობა ი. მ-ილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, თუმცა მათ შესახებ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის ნამსჯელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის განჩინებით ი. და ნ. მ-ილების საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის, ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. საპატიო მიზეზად ითვლება მხარის ავადმყოფობა, რაც დადასტურებული უნდა იქნას სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებით, შპს "ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03-ის" 2010 წლის 14 თებერვლის გამოძახების ბარათით, დასტურდება, რომ ი. მ-ილს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება ბინაზე, რა დროსაც მას დაუფიქსირდა დიაგნოზი - ასტ. ჰიპერტენზია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამედიცინო ცნობაში ასახული გარემოება ვერ მიიჩნეოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებად, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ 2010 წლის 16 თებერვალს ი. მ-ილმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

რამდენადაც საჩივრის ავტორმა ვერ წარადგინა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული სამედიცინო ცნობა, რომლითაც დადასტურდებოდა 2010 წლის 16 თებერვალს მისი ავადმყოფობისა და გადაადგილების შეუძლებლობის ფაქტი, ამასთან, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა გარემოებები, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

რაც შეეხებოდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ი. მ-ილის საჩივარს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა, რაც იმით დაასაბუთა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ია. მ-ილის უფლებები არ შელახულა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოვიდა მის სასარგებლოდ და მოსარჩელეთა საწინააღმდეგოდ. აქვე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 187.2 მუხლებზე, რომელთა თანახმად, თუ სარჩელის (საჩივრის) მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.

2010 წლის 30 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე გამოიტანა დამატებითი განჩინება, რომლითაც ია. მ-ილის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. და ნ. მ-ილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორები განმარტავენ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა. გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით (ნ. მ-ილს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი); ბ. სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს. მოცემულ შემთხვევაში დროულად იქნა წარდგენილი შესაბამისი ინფორმაცია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შემოწმებულიყო, იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. კანონის ამ ნორმის მოთხოვნა სასამართლოს არ შეუსრულებია, რასაც შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

ი. მ-ილმა საკასაციო სასამართლოში ასევე იშუამდგომლა ნ. მ-ილისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ნ. მ-ილს საპროცესო წარმომადგენელი არც ერთ ინსტანციაში არ ჰყოლია, თავად ი. მ-ილი კი ასაკისა და ავადმყოფობის გამო ამას ვერ ახერხებს და ვერც შემდგომში შეძლებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნ. მ-ილის ნაწილში წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ი. მ-ილს გაუგრძელდა ამავე სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განჩინებით დანიშნული ხარვეზის შევსების ვადა სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარსადგენად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინებით ი. მ-ილის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული ამ უკანასკნელის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 თებერვლის სხდომაზე მოწვევის შესახებ ი. და ნ. მ-ილებს უწყება გაეგზავნათ სააპელაციო საჩივარში მათ მიერ მითითებულ მისამართზე - ბათუმი, ... ქ. #46. საქმეში განთავსებული შეტყობინების ბარათზე უწყების მიმდებარე მითითებულია ოჯახის წევრი - გ. მ-ილი. ასეთი შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე, უწყება მიიჩნევა ი. და ნ. მ-ილებისათვის ჩაბარებულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებას - სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც მითითებული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პირობა არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის თაობაზე. აღნიშნული ნორმის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ასეთი გარემოების არსებობა საქმის მასალებით მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. აღნიშნულს არ ადასტურებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო-

ტანამდე სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შპს "ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03-ის" გამოძახების ბარათი, რომელშიც საუბარია ი. მ-ილისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძველად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. შპს "ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03-ის" გამოძახების ბარათში აღნიშნული შეუძლებლობის შესახებ მითითებული არ ყოფილა, იგი არც შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი პირის მიერ დამოწმებულია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ამ საფუძველთაგან სრულიად მართებულად არ მიიჩნია მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა საპატიოდ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, შემოწმებინა, იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასეთი შემოწმების აუცილებლობას უკავშირებს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხე) გამოუცხადებლობას (230.2 და 387.3 მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387.1 მუხლიდან გამომდინარე, საქმის ზეპირ განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ასეთ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის არსებით იურიდიულ მხარეზე.

რაც შეეხება შუამდგომლობას ნ. მ-ილისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. საქმის მასალების თანახმად, მოცემულ საქმეზე ასეთი საპროცესო წარმომადგენელი უკვე დანიშნულია, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ნ. მ-ილს საპროცესო წარმომადგენლად დაენიშნა ახლო ნათესავი - ი. მ-ილი. შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორის (ი. მ-ილი) განმარტება იმის შესახებ, რომ ნ. მ-ილს საპროცესო წარმომადგენელი არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ ჰყოლია და არც ამ ეტაპზე ჰყავს, არასწორია. გარდა ამისა, დაუსაბუთებელია ი. მ-ილის შუამდგომლობა იმ საპატიო გარემოებების არსებობის თვალსაზრისითაც, თუ რატომ გახდა შეუძლებელი საქმის წარმოების ამ ეტაპზე მის მიერ საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელება და წარმოიშვა სხვა საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის აუცილებლობა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი მოითხოვს შესაბამისი პირობების არსებობას საპროცესო წარმომადგენლის დასანიშნად და სასამართლოს არ ავალდებულებს, ქმედუუნარო მოსარჩელეს უპირობოდ დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი. მოცემულ ეტაპზე აღნიშნული პირობების არსებობა შუამდგომლობის ავტორის მიერ ასევე არ არის დასაბუთებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

შუამდგომლობა ნ. მ-ილისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე
შესაგებლის შეტანა**

განჩინება

#ას-169-161-10

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა. ა-ოვმა მოპასუხე ვ. ი-აიას მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ა-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 5209 ლარისა და 70 თეთრის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ი-აიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ა. ა-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, აპელანტ ვ. ი-აიას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო პასუხის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

2009 წლის 26 ოქტომბერს ა. ა-ოვმა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით ა. ა-ოვის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს განჩინებით ა. ა-ოვს ვ. ი-აიას სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა 10 დღე. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, გზავნილზე დართული მიმართვით გაფრთხილებულ იქნა სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ა. ა-ოვს სააპელაციო პასუხის წარმოდგენის 10-დღიანი ვადა ამოეწურა 2009 წლის 11 სექტემბერს. მას სააპელაციო პასუხი სასამართლოში არ წარმოდგენია.

სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო, პალატამ დადგენილად მიიჩნია აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ ა. ა-ოვის ბინა დღეს არსებულ მდგომარეობამდე თავად ბინის მესაკუთრემ მიიყვანა. ვ. ი-აიას ა. ა-ოვისთვის ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით არ მიუყენებია და, შესაბამისად, არც მიზეზობრივი კავშირი არსებობდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 992-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობები ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად.

2009 წლის 26 ოქტომბერს მოწინააღმდეგე მხარის ა. ა-ოვის წარმომადგენელმა ნ. ფ-ძემ საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. საჩივრის ავტორმა მოითხოვა 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება. საჩივრის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული გარემოებები ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. ამასთან, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას და არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სავალდებულო წინაპირობა.

საჩივრის ავტორის მითითებით, მას არ ჩაჰბარებია სააპელაციო საჩივარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რაც გახდა შესაგებლის დროულად წარუდგენლობის მიზეზი. რაც შეეხება ა.

ა-ოვისავის სააპელაციო საჩივრის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებას, ის ვერ ჩაითვლება კანონშესაბამისად, ვინაიდან მან არ იცის ქართული ენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით ა. ა-ოვის წარმომადგენელ ნ. ფ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებებს და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ადგენს სააპელაციო საჩივრის მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელია, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ეწინააღმდეგებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ ა. ა-ოვმა არ იცის ქართული ენა, რის გამოც მისთვის გზავნილის ჩაბარება ვერ ჩაითვლება კანონშესაბამისად. საქმეში არსებული მასალები მიუთითებს იმაზე, რომ ა. ა-ოვი თავისუფლად ფლობს ქართულ ენას.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ა-ოვმა. მან განმარტა, რომ სასამართლომ მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233¹ მუხლის არასწორი ინტერპრეტირება. კასატორის აზრით, საქმის მასალებში არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გვამლევს წარმოდგენას მოწინააღმდეგე მხარის პოზიციაზე. აღნიშნული შესაძლებლობებს აძლევს სასამართლოს, შეაფასოს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, ამართლებს თუ არა მოთხოვნას. მიუხედავად შესაგებლის წარდგენის ვალდებულებისა, კანონმდებელი გამოდის ზოგადი სამართლებრივი პრინციპიდან, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო ორივე მხარის პოზიციას სრულყოფილად ვერ აჯერებს, რადგან სარჩელის წარდგენისას მოპასუხის პოზიცია ზოგჯერ საერთოდ უცნობია.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარში ერთმნიშვნელოვნად იყო განმარტებული, რომ აპელანტის საჩივარში მითითებული გარემოება, რომ ა. ა-ოვმა ბინა თვითონ დააზიანა, არ შეიძლება იურიდიულად ამართლებდეს აპელანტის მოთხოვნას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი მიუთითებს, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ვ. ი-აიას მოქმედება იმაში მდგომარეობდა, რომ, წყალგაყვანილობის სისტემა ტექნიკურად გამართული არ იყო, რითაც ზიანი მიადგა ა. ა-ოვს. სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ვ. ი-აიას ა. ა-ოვისათვის ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით არ მიუყენებია, არასწორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სასამართლომ მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233¹ მუხლის არასწორი ინტერპრეტირება. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს საქმის მასალებში არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გვამლევს წარმოდგენას მოწინააღმდეგე მხარის პოზიციაზე. აღნიშნული შესაძლებლობებს აძლევს სასამართლოს შეაფასოს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, ამართლებს თუ არა მოთხოვნას.

პალატა თვლის, რომ კასატორის ზემოთ მითითებული მოსაზრება არ გამომდინარეობს კანონის განმარტებიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობის არსებობისას, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, არ ხდება გამოუცხადებელი მხარის არგუმენტების განხილვა- შეფასება. სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სარჩელის ან სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 230-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. სხვა ფაქტორების მხედველობაში მიღების უფლება სასამართლოს არ გააჩნია. იგი არ გამომდინარეობს არც ერთი საპროცესო ნორმიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მხედველობაში მიიღოს საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტები სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში. განსახილველ სააპელაციო საჩივარში მითითებულია სარჩელის უარყოფელი გარემოებები და ეს გარემოებანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამტკიცებულად ითვლება. ასეთ დროს შეუძლებელია, არ დააკმაყოფილო მხარის მოთხოვნა იმ საფუძვლით,

რომ მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში მითითებულია ამ მხარის პოზიციის ამსახველი არგუმენტები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა კანონით დადგენილ ვადაში შესაგებლის სასამართლოში შეუტანლობის გამო. შესაგებელს გააჩნია თავისი ფორმა, შინაარსი და წარდგენის ვადა, რომელიც განსაზღვრულია სსკ-ის 201-ე მუხლით. შესაგებელში მითითებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს წერილობითი ფორმა და წარდგენილი იყოს განსაზღვრულ ვადაში, რათა მხარეს მიეცეს საშუალება, სათანადოდ მოემზადოს და დაიცვას თავი სასამართლო პროცესზე. სსკ-ის 232¹ მუხლი ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, კერძოდ, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში მოპასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მხარეთა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა, შესაგებლის წარმოუდგენლობა, საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად გათვალისწინებული ვადის დარღვევა იწვევს პროცესის გაჭიანურებასა და ხარჯების გაზრდას. საქმის განხილვის დაჩქარება კი მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საქმეთა დროულად განხილვა და გადაწყვეტა. მოპასუხემ დროულად უნდა შეასრულოს საპროცესო მოქმედებები, რისი უზრუნველყოფაც ხდება სწორედ კოდექსის 232¹ მუხლის საშუალებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს არ ადგენს ამ ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე გასარკვევია არსებობს თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წესებში ნორმა, რომელიც განსაზღვრავს შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს.

ასეთი ნორმა არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით არსებობს ნორმა, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები. თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმა ვერ გავრცელდება შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაზე.

შესაბამისად 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარმოუდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ - ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. სასამართლოს გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში (სარჩელში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გაამართლებს მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების ცნობა-არცნობასთან და ფაქტობრივი გარემოებების არსებობასთან არის დაკავშირებული. 387-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლო მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რაც მიუთითებს, რომ ასეთი სახის ღონისძიებები სააპელაციო სასამართლოს ბუნებიდან გამომდინარე მიუღებელი არ არის.

მოცემულ შემთხვევაში კანონში არ არის ბუნდოვანი დებულებები, რომლებიც დაზუსტებას და შევსებას, მისი იურიდიული ბუნების ანალიზს საჭიროებს. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ანალიზი

არ პასუხობს კანონის საფუძველზე დავის გადაწყვეტის ფუნქციებს და იძენს მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტის ფუნქციას. კანონის ინტერპრეტაცია კანონის ტექსტს უნდა ემყარებოდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს, კანონის ტექსტის საფუძველზე დაადგინოს კანონის აზრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ყველა სამართლებრივი წინაპირობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას, კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი პირობაა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებების არ არსებობა, რომლებიც გათვალისწინებულია კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით მითითებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ, თუ ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა შესაგებლის წარმოდგენაში, ან, თუ მოპასუხეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. გარდა ამ ორი გარემოებისა, სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია, რომ საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, ან სხვა განსაკუთრებით ობიექტური გარემოება, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ამასთან, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ საპატიო მიზეზის განმარტება ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის. შესაბამისად 232¹ და 201-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული საპატიო მიზეზის განმარტება უნდა მოხდეს 215-ე მუხლი მე-3 ნაწილის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, იმ საპატიო მიზეზებს, რომელთა გამოც მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა არ გამოიწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას წარმოადგენს: დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა შესაგებლის წარმოდგენაში; თუ მოპასუხეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; მხარის ავადმყოფობა; ახლო ნათესავის გარდაცვალება; სხვა განსაკუთრებით ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შესაგებლის წარდგენას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საპატიოდ არ მიიჩნია კასატორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელთა საფუძველზეც იგი ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი ა. ა-იანს სასამართლოს წინაშე არ დაუყენებია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. უფრო მეტიც, მის მიერ მიღებულია და ქართულად ხელმოწერილია სასამართლოდან მიღებული კორესპონდენციები. ეს საკითხი არ წამოჭრილა არც ნოტარიუსთან რწმუნებულების დადასტურების დროს და არც სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დროს. პალატა თვლის, რომ აღნიშნული არგუმენტი მხარეს მოხმობილი აქვს მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით და მას რეალური საფუძველი არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზეც, რომ კასატორის მიმართ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნები. პალატა თვლის, რომ არც მე-4 მუხლი დარღვეულია. მხარეს სრული უფლება ჰქონდა წარედგინა შესაგებელი სასამართლოში, რაც მან არ შეასრულია. კანონი კი ასეთ შემთხვევას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას უკავშირებს, რაც გამოიყენა კიდევ სასამართლომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ა-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინება.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე
შესაგებლის შეტანის შედეგები**

განჩინება

#ას-357-333-2010

4 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და სახელფასო დავალიანების აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ბ-მემ საქართველოს ერთიანი სარტანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სახელფასო დავალიანების აღდგენის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა, როგორც ნ. ბ-მემ, ასევე საქართველოს ერთიანმა სარტანსპორტო ადმინისტრაციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განჩინებით ნ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო 2009 წლის 29 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს ერთიანი ადმინისტრაციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 26 ივნისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ბ-მემ. ასევე საჩივარი შეიტანა 2009 წლის 29 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით ნ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის განჩინებით ნ. ბ-მის საჩივარი, ასევე არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განჩინებით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ნ. ბ-მეს დაევალა, საქართველოს ერთიანი სარტანსპორტო ადმინისტრაციის სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა სააპელაციო პასუხი, ამასთან განემარტა, რომ სააპელაციო პასუხის წარმოდგენლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მის წინააღმდეგ გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე დადგენილია, რომ ნ. ბ-მეს ჩაჰბარდა 2009 წლის 4 მაისის განჩინების ასლი, საქართველოს ერთიანი სარტანსპორტო ადმინისტრაციის სააპელაციო საჩივარი და შესაგებლის ფორმა 2009 წლის 5 მარტს. ამდენად, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე გზავნილის ჩაბარებასთან ერთად გაფრთხილებულ იქნა სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში შესაგებლის წარმოდგენლობის შედეგებთან - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ასევე დადგენილია, რომ ნ. ბ-მის მიერ სააპელაციო პასუხი არ ყოფილა წარმოდგენილი, გარდა ამისა, მას სააპელაციო პასუხის წარუდგენლობისათვის საპატიო გარემოებებზეც არ მიუთითებია. ამდენად, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. მას დადგენილი წესით ჩაჰბარდა სააპელაციო საჩივრის ასლი და, ასევე იქნა გაფრთხილებული შესაგებლის წარუდგენლობის შედეგებზე, რაც თვითონაც არ გაუხდია სადავოდ.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. ბ-მემ. მან მიუთითა, რომ 2009 წლის 16 თებერვალს აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა დადგენილი წესით სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო საჩივარი წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარემაც - საქართველოს ერთიანმა სარტანსპორტო ადმინისტრაციამ, რის გამოც მას უნდა წარმოედგინა შესაგებელი, წინააღმდეგ

შემთხვევაში მის მიმართ გამოიტანდნენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. შესაგებლის წარმოდგენასთან დაკავშირებით ის გაფრთხილებული არ ყოფილა და ვერც წარმოდგენდა, თუ მის წარმოდგენლობის გამო სასამართლო არაფრად ჩააგდებდა მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა კანონით დადგენილ ვადაში შესაგებლის სასამართლოში შეუტანლობის გამო. შესაგებელს გააჩნია თავისი ფორმა, შინაარსი და წარდგენის ვადა, რომელიც განსაზღვრულია სსკ-ის 201-ე მუხლით. შესაგებელში მითითებული უნდა იყოს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს წერილობითი ფორმა და წარდგენილი იყოს განსაზღვრულ ვადაში, რათა მხარეს მიეცეს საშუალება სათანადოდ მოემზადოს და დაიცვას თავი სასამართლო პროცესზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლი ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, კერძოდ, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დაკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მხარეთა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა, შესაგებლის წარმოდგენლობა, საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად გათვალისწინებული ვადის დარღვევა იწვევს პროცესის გაჭიანურებასა და ხარჯების გაზრდას. საქმის განხილვის დაჩქარება კი მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქმეთა დროულად განხილვა და გადაწყვეტა. მოპასუხემ დროულად უნდა შეასრულოს საპროცესო მოქმედებები, რისი უზრუნველყოფაც ხდება სწორედ კოდექსის 232¹ მუხლის საშუალებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს არ ადგენს ამ ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე გასარკვევია არსებობს თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წესებში ნორმა, რომელიც განსაზღვრავს შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს.

ასეთი ნორმა არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით არსებობს ნორმა, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები. თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმას ვერ გავავრცელებთ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაზე.

შესაბამისად, 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარმოდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმციასაც ეფუძნება. სასამართლოს გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში (სარჩელში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გაამართლებენ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება

სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების ცნობა-არცნობასთან და ფაქტობრივი გარემოებების არსებობასთან არის დაკავშირებული. 387-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი სახის ღონისძიებები, სააპელაციო სასამართლოს ბუნებიდან გამომდინარე, მიუღებელი არ არის.

მოცემულ შემთხვევაში კანონში არ არის ბუნდოვანი დებულებები, რომლებიც დაზუსტებას და შევსებას, მისი იურიდიული ბუნების ანალიზს საჭიროებს. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ანალიზი პასუხობს კანონის საფუძველზე დავის გადაწყვეტის ფუნქციებს და იძენს მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტის ფუნქციას. კანონის ინტერპრეტაცია კანონის ტექსტს უნდა ემყარებოდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს კანონის ტექსტის საფუძველზე დაადგინოს კანონის აზრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ყველა სამართლებრივი წინაპირობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას, კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი პირობაა, რომ არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულის კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით მითითებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ, თუ ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა შესაგებლის წარმოდგენაში, ან თუ მოპასუხეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. გარდა ამ ორი გარემოებისა, სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია, რომ საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, ან სხვა განსაკუთრებით ობიექტური გარემოება, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ამასთან, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ საპატიო მიზეზის განმარტება ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის. შესაბამისად, 232¹ და 201-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული საპატიო მიზეზის განმარტება უნდა მოხდეს 215-ე მუხლი მე-3 ნაწილის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, იმ საპატიო მიზეზებს, რომელთა გამოც მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა არ გამოიწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას წარმოადგენენ: დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა შესაგებლის წარმოდგენაში; თუ მოპასუხეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; მხარის ავადმყოფობა; ახლო ნათესავის გარდაცვალება; სხვა განსაკუთრებით ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შესაგებლის წარდგენას.

ნ. ბ-მე ვერც დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარში და ვერც საკასაციო საჩივარში ვერ უთითებს იმ საპატიო მიზეზებს, რომელთა არსებობა, ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. საკასაციო საჩივრის ძირითადი ნაწილი დათმობილი სასამართლოს, მოსამართლეთა და სხვადასხვა პირთა ქმედებების შეფასებებს. ერთადერთი მიზეზი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი არის კასატორის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ იგი გაფრთხილებული არ იყო შესაგებლის წარმოდგენის აუცილებლობაზე და არც მისი წარმოუდგენლობის შედეგებზე. პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მოყვანილი ეს არგუმენტი არ შეესაბამება საქმეში არსებულ გარემოებებს, რის გამოც იგი არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 4 მარტს განჩინებით წარმოებაში მიიღო საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის სააპელაციო საჩივარი. იმავე განჩინებით ნ. ბ-მეს დაევალა, 7 დღის ვადაში წარედგინა წერილობითი შესაგებელი. განჩინებაში მითითებულია შესაგებლის წარუდგენლობის შედეგებიც. გზავნილი, რომლითაც გაიგზავნა მითითებული განჩინება სხვა მასალებთან ერთად, კასატორს ჩაბარებული აქვს პირადად. შესაგებელი კი შეტანილია განჩინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული გარემოებანი მიუთითებს, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ არსებობდა და შეუძლებელია, იგი გაზიარებულ იქნეს საკასაციო პალატის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გამოტანის დაუშვებლობა**

განჩინება

#ას-653-614-2010

30 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 22 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. დ-მემ მოპასუხე ა. ნ-მის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარის დაკისრება, აგრეთვე, ამ თანხის გადახდის მიზნით ა. ნ-მის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხე ა. ნ-მის გამოუცხადებლობის გამო, ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ნოემბრის საოქმო განჩინებით, ა. ნ-მის (წარმომადგენელი თ. ც-მე) საჩივრის განხილვის შედეგად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დადგინდა ნ. დ-მის სარჩელის არსებითი განხილვა.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე ა. ნ-მემ სარჩელი ცნო 22 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში. დანარჩენ ნაწილში მან სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხე ა. ნ-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის გადახდა; დავალიანების დაფარვის მიზნით დადგინდა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, ა. ნ-მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... ქ. #15-ში მდებარე ბინა #34-ის აუქციონზე სარეალიზაციოდ მიქცევა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 9 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ნ-მემ, რომელმაც მოითხოვა მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ნ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება ა. ნ-მისათვის ნ. დ-მის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარიდან 6 500 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში; სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც ა. ნ-მეს ნ. დ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 23 500 აშშ დოლარის გადახდა, არ დაკმაყოფილდა; ასევე, არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის საოქმო განჩინების გაუქმების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 5 მარტს გამართულ პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი ა. ნ-მე; აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარის - ნ. დ-მის წარმომადგენელი ა. ხ-შვილი; ნ. დ-მის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი ცნო ნაწილობრივ,

კერძოდ, 6 500 აშშ დოლარის ნაწილში და იშუამდგომლა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

2010 წლის 2 მარტს ა. ნ-ძეს ტელეფონის საშუალებით პირადად ეცნობა სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის სხდომის თაობაზე და განემარტა გამოუცხადებლობის შედეგები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ; არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ მოიპოვებოდა არც ერთი ზემომითითებული გარემოება, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად, შეუძლებელს გახდიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი - ა. ნ-ძე (წარმომადგენელი ა. ც-ძე), რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა. ამასთან, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი ცნო 6 500 აშშ დოლარის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და მას ნ. დ-ძის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 23 500 აშშ დოლარი (30 000 - 6 500 = 23 500). დანარჩენ ნაწილში კი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა ა. ნ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოცემული საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სხდომის გადადება. ასეთი შუამდგომლობის წარდგენა განპირობებული იყო იმით, რომ ა. ნ-ძე დავას აწარმოებდა წარმომადგენლის მეშვეობით, ეს უკანასკნელი კი იყო ავად და გადიოდა მკურნალობის კურსს. სასამართლო პროცესის დაწყებამდე საჩივრის ავტორი ასევე დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს, რომელსაც აცნობა, რომ გამოგზავნილი ჰქონდა განცხადება სხდომის გადადების მოთხოვნით. სასამართლომ მითითებული გარემოებები არ გაითვალისწინა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინებით ა. ნ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტი იმის შესახებ, რომ მან სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოს აცნობა სხდომამდე ორი დღით ადრე, რამდენადაც აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა. საჩივრის ავტორი, მხოლოდ 2010 წლის 5 მარტს, სხდომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე, ტელეფონით დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა, რომ მისი წარმომადგენელი იყო ავად, წერილობითი განცხადება კი სხდომის გადადების თაობაზე სასამართლოში შევიდა მხოლოდ 2010 წლის 9 მარტს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცნობა, რომელიც საჩივრის ავტორმა სასამართლოში წარადგინა, არც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ იყო გაცემული და არც უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი. ამასთან, იგი სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე არ მიუთითებდა. ამდენად, დასახელებულ ცნობას მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნდა, თუმცა შეფასების შემთხვევაშიც კი, ამ საბუთით მხოლოდ იმის დადგენა შეიძლებოდა, რომ თ. ც-ძეს 2010 წლის 20 თებერვალს ჩაუტარდა ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, რაც ვერ ადასტურებდა 2010 წლის 5 მარტს თ. ც-ძის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო დავისადმი მისი ინტერესის არარსებობის გა-

მო, რადგან ამ მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ნ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი საჩივრის დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მან სასამართლოს აცნობა სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი - წარმომადგენლის ავადმყოფობა და უარი არ განუცხადებია საპროცესო თანამშრომლობაზე, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი მხარის მიმართ დამსჯელ ღონისძიებას და მისი აპელანტის მიმართ გავრცელება არამართებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტი ა. ნ-ძე და მისი წარმომადგენელი თ. ც-ძე კანონით დადგენილი წესით მიწვეული იყვნენ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში. კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოში მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, მისი წარმომადგენლის ავადმყოფობით. აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია ქ. ბათუმის კლინიკური რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმის - თ. ხ-იას მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, თ. ც-ძე 2010 წლის 20 თებერვალს იმყოფებოდა ექიმთან და ჩაუტარდა ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ცნობა არ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოობას. კერძოდ, საპატიო მიზეზის დეფინიციას განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ასეთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ავადმყოფობა წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს. ამასთან, ასეთი გარემოების არსებობა უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტის წარმომადგენლის თ. ც-ძის ავადმყოფობის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილი ექმის ცნობა არ პასუხობს 215.3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, იგი არაა ხელმოწერილი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, მასში არაა მითითებული სასამართლო პროცესზე მხარის წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობაზე და ამასთან, ასეთი დასკვნის საფუძველს არც ცნობაში ასახული დიაგნოზი იძლევა. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული ავადმყოფობის ცნობა კანონის მოთხოვნათა დაცვითაც რომ იყოს შედგენილი, იგი მაინც ვერ ადასტურებს 2010 წლის 5 მარტის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობას, ვინაიდან ამ ცნობით ირკვევა, რომ მხარის წარმომადგენელმა ექიმს მიმართა 2010 წლის 20 თებერვალს და ჩაუტარდა ერთჯერადი გამოკვლევა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია, თუ რატომ ვერ შეძლებდა 2010 წლის 20 თებერვალს გამოკვლევაზე მისული პირი, ორი კვირის შემდეგ აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**7. პროცესზე გამოცხადების
შეუძლებლობა და შედეგები**

**სასამართლოში პროცესზე მხარის
გამოცხადების შეუძლებლობა**

განჩინება

#ას-1104-1368-09 21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 ნოემბერს ე. კ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - გ. ლ-ძისა და ზ. ჭ-ძის მიმართ და მოითხოვა 2003 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა თბილისში, ... ქუჩაზე, საცხოვრებელ #1 ბინაზე ქირის თანხის დაკისრება 21 625 ლარის ოდენობით, აღნიშნული ბინის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მოპასუხე ზ. ჭ-ძის გამოსახლება სადავო ბინიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტლებით ე. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინებით ე. კ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2009 წლის 7 ივლისს, 16:00 საათზე;

2009 წლის 2 ივლისს აპელანტის წარმომადგენელმა მ. ს-მემ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის გადადების მოთხოვნით საზღვარგარეთ ყოფნის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის სხდომაზე სასამართლომ განიხილა აღნიშნული შუამდგომლობა, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელიც დაეთანხმა და საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 22 სექტემბერს, 12:00 საათზე.

ე. კ-ძის წარმომადგენელმა 2009 წლის 8 სექტემბერს ხელმეორედ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის გადადების მოთხოვნით, რაც ასევე დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 13 ოქტომბერს 15:00 საათზე.

2009 წლის 2 ოქტომბერს ე. კ-ძის წარმომადგენელმა მ. ს-მემ კვლავ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, მოითხოვა საქმის განხილვის გადადება სხვა დროსთვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის - ზ. ჭ-ძის წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა ე. კ-ძის წარმომადგენლის შუამდგომლობას საქმის განხილვის მორიგი გადადების თაობაზე და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ე. კ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. კ-ძის წარმომადგენელმა - მ. ს-ირმა განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ე. კ-ძის წარმომადგენელ მ. ს-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტ ე. კ-ძის წარმომადგენელმა მ. ს-ძემ არაერთხელ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის გადადების შესახებ მოთხოვნით, რომელიც არაერთხელ იქნა დაკმაყოფილებული სასამართლოს მიერ.

დადგენილია, რომ მოპასუხე მხარემ 2009 წლის 13 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე სასამართლო სხდომაზე სააპელაციო საჩივრის ავტორის კვლავ გამოუცხადებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნასა და მის არგუმენტაციაზე, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტი საქმის გადადების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობებით ცდილობდა საქმის განხილვის გაჭიანურებას და საქმეში მონაწილეობისაგან თავის არიდებას, ვინაიდან დადგენილია, რომ აპელანტის წარმომადგენელს არცერთ შუამდგომლობაზე არ წარმოუდგენია მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 2009 წლის 13 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე დაგეგმილი ჰქონდა გამოცხადება, მაგრამ გარდაცვლილი მამის წლისთავი, ებრაული კალენდრის მიხედვით, შედგებოდა 2009 წლის 17 ოქტომბერს, რის გამოც ვერ შეძლო სასამართლო პროცესზე გამოცხადება. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება ვერ მიიჩნევა მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად და, შესაბამისად, იგი ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის გასაჩივრებული განჩინება კა-

ნონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. კ-მის წარმომადგენელ მ. ს-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-12-11-2010

1 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-კომ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ს-იანის მიმართ მოპასუხის მიერ ვ. გ-კოს კუთვნილი ნივთების მითვისებით მიყენებული ზიანის - 1701 ლარის, სატელეფონო დავალიანების - 122,74 ლარისა და მორალური ზიანის - 30000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და 2008 წლის 8 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილებით განქორწინდნენ. მოპასუხემ თვითნებურად წაიღო მოსარჩელის კუთვნილი ნივთები და მიაყენა მას მატერიალური ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ვ.გ-კოს სარჩელი 61.37 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ვ. გ-კომ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. გ-კოს სააპელაციო საჩივრის განხილვის დრო მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ეცნობა, თუმცა საქმის განხილვაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობა. პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 372-ე, 231-ე, 276 და 278-ე მუხლებით, 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ვ. გ-კომ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ვ. გ-კოს სასამართლო უწყება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვრებათა დაცვით არ ჩაჰბარებია და საქმის განხილვის დრო მისთვის ცნობილი არ იყო. შესაძლოა, სასამართლო უწყება გაეგზავნა აპელანტის ადვოკატ გ. შ-იას, მაგრამ ეს უკანასკნელი 2009 წლის 19 ოქტომბერს გარდაიცვალა და სიცოცხლეში მარწმუნებლისათვის არაფერი შეუტყობინებია.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვ. გ-კოს სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა 2009 წლის 10 დეკემბერს. შპს "სკს-ს" შეტყობინების ბარათის თანახმად, აღნიშნულის შესახებ სასამართლო უწყება 2009 წლის 28 ოქტომბერს - ვ. გ-კოს, ხოლო ამავე წლის 27 ოქტომბერს გ. ს-იანს პირადად ჩაბარდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-კოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მოდავე მხარეები, რომელთაც საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდათ, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სასამართლოს არ აცნობეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ეფუძნება ვარაუდს, რომ მხარეებმა დავის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგეს ან პროცესზე გამოცხადებასთან დაკავშირებული საპროცესო მოვალეობის არასაპატიოდ შეუსრულებლობით უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მხარეებს 2009 წლის 10 დეკემბერს ვ. გ-კოს სააპელაციო საჩივრის განხილვის დანიშნვის თაობაზე სასამართლო უწყებები კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩაბარდათ, თუმცა ისინი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ. მხარეებს სასამართლოსათვის არ უცნობებიათ გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე. ამ გარემოებათა სასამართლოებრივი შეფასებით სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. გ-კოს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მას სასამართლო უწყება სააპელაციო საჩივრის თარიღის შეტყობინების შესახებ არ ჩაბარებია, ვინაიდან საქმის მასალებში წარმოდგენილია პირადად ვ. გ-კოს მიერ 2009 წლის 28 ოქტომბერს ხელმოწერილი შპს "სკს-ს" შეტყობინების ბარათი, რომელიც სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებას ადასტურებს.

რაც შეეხება ვ. გ-კოს ინტერესების დამცველის - ადვოკატ გ. შ-იას გარდაცვალების ფაქტს, აღნიშნული გასაჩივრებული განჩინების კანონიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებით ცალსახად დადასტურებულია, რომ მხარეს - ვ. გ-კოს პირადად ჩაბარდა უწყება. ამასთან, კერძო საჩივარზე დართული გარდაცვალების მოწმობის შესაბამისად, გ. შ-ია გარდაიცვალა 2009 წლის 19 ოქტომბერს, ე.ი. სასამართლო უწყების ვ. გ-კოსათვის ჩაბარების მომენტისათვის ადვოკატი უკვე გარდაცვლილი იყო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. გ-კოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე
გამოცხადების შეუძლებლობა**

განჩინება

#ას-1209-1470-09

3 თებერვალი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მოძრავი ნივთების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 11 მაისს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ს-შვილმა მოპასუხე ვ. ნ-შვილის მიმართ მოძრავი ნივთების დაბრუნების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნ. ს-შვილი და ვ. ნ-შვილი 2004 წლის 21 დეკემბრიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე მხარეები განქორწინდნენ, რის შემდეგაც მოსარჩელე არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს მშობლებთან. მოსარჩელის განმარტებით, იგი ითხოვდა იმ საოჯახო ნივთების დაბრუნებას, რომლებიც ქორწინებამდე ეკუთვნოდა ან ქორწინების განმავლობაში აჩუქეს და მოპასუხესთან იმყოფებოდა.

მოპასუხე ვ. ნ-შვილმა იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა მოპასუხე ნ. ს-შვილის მიერ მისი კუთვნილი მოძრავი ნივთების - ოქროს სამკაულების დაბრუნება. ვ. ნ-შვილი შეგებებულ სარჩელში მიუთითებდა, რომ ნ. ს-შვილმა განქორწინების შემდეგ წაიღო მისი კუთვნილი ოქროს ნივთები, რომლებიც არ იყო ნ. ს-შვილის ინდივიდუალური საკუთრება და ასევე არ იყო მეუღლეთა თანასაკუთრება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს დაუბრუნდა მისი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ნივთები, ასევე, მოპასუხეს დავალა ქორწინების განმავლობაში შეძენილი სადავო ნივთების საერთო ღირებულების 1/2-ის - 325 ლარის ანაზღაურება. ვ. ნ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2004 წლის 1 დეკემბრიდან, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ს-შვილის სარჩელი და მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა მის მიერ მითითებული ნივთების მხოლოდ ნაწილი, ხოლო ნაწილი წარმოადგენდა მხარეთა საერთო საკუთრებას, ვინაიდან შეძენილი იყო ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო სახსრებით. რაც შეეხებოდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნას ოქროს ნივთების დაბრუნების თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ნ-შვილმა ვერ წარმოადგინა მოპასუხე ნ. ს-შვილის მფლობელობაში აღნიშნული ნივთების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ნ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. აპელანტის მითითებით, მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მისთვის მიკუთვნებული ნივთები წარმოადგენდა ნ. ს-შვილის ინდივიდუალურ საკუთრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 24 ოქტომბერს 10.00 საათზე.

2009 წლის 24 ოქტომბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტი ვ. ნ-შვილი და მოწინააღმდეგე მხარე ნ. ს-შვილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ვ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეები გაფრთხილებული იყვნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის

შესაბამისად სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე. მიუხედავად ამისა, მხარეები არ გამოცხადდნენ საქმის განხილვაზე და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებიათ სასამართლოსთვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამბრკოლებელი გარემოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ოქტომბრის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ნ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, რისი დამადასტურებელი ცნობაც თან ერთვოდა კერძო საჩივარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ოქტომბრის საოქმო განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 24 ოქტომბერს 10.00 საათზე.

2009 წლის 24 ნოემბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტი ვ. ნ-შვილი და მოწინააღმდეგე მხარე - ნ. ს-შვილი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტი ვ. ნ-შვილს 2009 წლის 24 ოქტომბრის სხდომის თაობაზე ეცნობა კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა აპელანტი არც საქმის განხილვაზე გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის.

საკასაციო სასამართლო ვ. ნ-შვილის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიჩნევის შესახებ ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო ვ. ნ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისათვის. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორს წარმოდგენილი აქვს ცნობა თავისი ავადმყოფობის შესახებ, თუმცა აღნიშნული ცნობა ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან ვ. ნ-შვილის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ თავისი ავადმყოფობის გამო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი სწორად არის დატოვებული განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ვ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ოქტომბრის საოქმო განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა

განჩინება

#ას-1119-1383-09

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით სს "ე. ჯ-იას" სარჩელი ინდ. მეწარმე "თ. კ-მის" მიმართ მოპასუხის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების - 5422,31 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის დაკისრების დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხე ინდ. მეწარმე "თ. კ-მეს" მოსარჩელე სს "ე. ჯ-იას" სასარგებლოდ დაეკისრა მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების - 2522,03 ლარისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 75,66 ლარის ანაზღაურება, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2900,28 ლარისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 87,04 ლარის ანაზღაურების ნაწილში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბერს სს "ე. ჯ-იასა" და ინდ. მეწარმე "თ. კ-მის" სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით 2009 წლის 3 ნოემბერს 11 საათზე დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სს "ე. ჯ-იასა" და ინდ. მეწარმე "თ. კ-მის" სააპელაციო საჩივრები დარჩა განუხილველად სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ინდ. მეწარმე "თ. კ-მემ", რომლითაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლო სხდომის დროისა და დღის შესახებ მისთვის ცნობილი არ ყოფილა, ვინაიდან არც მას და არც მის წარმომადგენელს სასამართლო უწყება არ ჩაჰზარებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ინდ. მეწარმე "თ. კ-მეს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილედეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰზარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ინდ. მეწარმე "თ. კ-მესა" და სს "ე. ჯ-იას" სასამართლო უწყება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, კანონით დადგენილი წესით ეცნობათ, კერძოდ, ინდ. მეწარმე "თ. კ-მესა" და სს "ე. ჯ-იას" სასამართლო უწყება ჩაჰზარდათ 2009 წლის 20 ოქტომბერს, თუმცა სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა და არც რაიმე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ ან საქმის

განხილვის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას მასზედ, რომ უწყება კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰზარებია, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ინდ.მეწარმე "თ. კ-მის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლოში პროცესზე მხარის
გამოცხადების შეუძლებლობა**

განჩინება

#ას-1242-1501-09

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა . . . ფონდის სარჩელი მოპასუხეების, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს, ქ.თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, კინემატოგრაფისტთა კავშირის და ე. შ-იას მიმართ, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების შემდგომში დამზადების ან სხვა უფლებადამრღვევი ქმედებების აკრძალვის, ნაწარმოების "ხელოვანთა ხეივანი თბილისში", "ბულვარის" ან სხვა სახით მოწყობის და დაპატენტებული ლოგოს "ვარსკვლავის" ნებისმიერი სახეშეცვლილი ფორმით გამოყენების აკრძალვის, სადავო საგანზე უფლების მფლობელად მოსარჩელის აღიარების შესახებ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდმა და ნ. ა-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის საოქმო განჩინებით, საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდი და ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტებს საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდს და ნ. ა-შვილს სხდომის დღის შესახებ ეცნობათ წარმომადგენლების მეშვეობით, კერძოდ, 13.10.2009 წლის სასამართლო სხდომაზე სხდომის დღის დრო და თარიღი ეცნობათ სსსკ-ის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, ხელწერილის საშუალებით აპელანტების წარმომადგენლებს - გ. მ-იას და ქ. უ-შვილს, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტებს სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

პალატის განმარტებით, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები - . . . ფონდი და ნ. ა-შვილი, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა, ა. ჩ-მემ იშუამდგომლა სააპელაციო სა-

ჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დატოვებულიყო განუხილველად.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. ა-შვილის და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლებმა გ. მ-იამ და ქ. უ-შვილმა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენლის მითითებით, მოსარჩელე ნ. ა-შვილმა განცხადება სასამართლო სხდომის გადადების მოთხოვნით შეცდომით წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც აღნიშნული იქნა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელ გ. მ-იას გარდაეცვალა მამა და მისი გამოცხადება შეუძლებელი იყო.

კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენელი ასევე განმარტავს რომ ნ. ა-შვილისთვის უცნობი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის დღის შესახებ, ვინაიდან მას 2009 წლის 11 ნოემბერს მას გარდაეცვალა ახლო ნათესავი (მამა) და დროულად ვერ აცნობა მხარეს სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 18 ნოემბერს დანიშნული სხდომის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენლების მითითებით, ა-შვილის წარმომადგენელ გ. მ-იას მამა - მ. მ-ია გარდაიცვალა 2009 წლის 11 ნოემბერს, რომლის დაკრძალვა შედგა 2009 წლის 17 ნოემბერს, ზუგდიდის რ-ნი, სოფ., ხოლო 2009 წლის 12 ნოემბრიდან 2009 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით გ. მ-ია იმყოფებოდა ქ. ზუგდიდში და მისი სტრესული მდგომარეობიდან გამომდინარე თბილისში ჩამოვიდა 2009 წლის 21 ნოემბერს. მართალია, სასამართლოსათვის მოცემული ფაქტი დროულად არ ყოფილა ცნობილი მაგრამ, მათი აზრით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მოცემული გარემოება წარმომადგენდა საპატიო მიზეზს პროცესზე გამოუცხადებლობისა.

რაც შეეხება მოსარჩელის მეორე ადვოკატს - ქ. უ-შვილს, კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენლების მითითებით, ის იმყოფებოდა ავად და ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლოს მიერ დანიშნულ სხდომაზე, ქ. უ-შვილის ავადმყოფობის ფაქტი დასტურდება კერძო საჩივარზე თანდართული სამედიცინო ცნობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ა-შვილის . . . ფონდის წარმომადგენლებმა - გ. მ-იამ და ქ. უ-შვილმა მოითხოვეს გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო კერძო საჩივარს, თანდართულ მტკიცებულებებს და თვლის, რომ ნ. ა-შვილის და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის საოქმო განჩინებით, . . . ფონდი და ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი აპელანტთა პროცესზე გამოუცხადებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები განსაზღვრავს საპროცესო მოქმედების მხარისათვის შეტყობინების წესს. კერძოდ კი 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამასთან, წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ხსდომის დღის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაფრთხილებულ იქნენ ნ. ა-შვილის და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლები გ. მ-ია და ქ. უ-შვილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენელ გ. მ-იას მითითებას, რომ მან ვერ უზრუნველყო აპელანტების გაფრთხილება 18 ნოემბრის სხდომის შესახებ, ვერ მიიღებს მხედველობაში როგორც საპატიო გარემოებას. გ. მ-ია და ქ. უ-შვილი ვალდებულნი იყვნენ, მხარეები გაეფრთხილებინათ სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის დღისა და დროის თაობაზე.

მხარის სასამართლოს პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენლები კერძო საჩივარში აპელირებენ გამოუცხადებლობის ისეთ საპატიო გარემოებებზე, როგორცაა გ. მ-იას მამის გარდაცვალება და ქ. უ-შვილის ავადმყოფობა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, ახლო ნათესავის გარდაცვალება წარმოადგენს პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს აღნიშნულის თაობაზე მხარის წარმომადგენლის მხოლოდ სიტყვიერ მითითებას, ხოლო რაიმე მტკიცებულება, რაც უტყუარად დაადასტურებდა გ. მ-იას მამის გარდაცვალებას, საქმეში წარმოდგენილი არაა.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზარებს ქ. უ-შვილის პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო საფუძველად მითითებულ ავადმყოფობას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღნიშნა, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით. კერძო საჩივარზე მტკიცებულების სახით დართული სამედიცინო ცნობიდან კი არ ირკვევა, თუ ვინ აწერს მას ხელს და არც ავადმყოფობის სიმპტომები იძლევა პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის ვარაუდს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ა-შვილის და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის საოქმო განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

ნას-264-249-2010 12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შელახვით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს ჟურნალ "... " და ჟურნალისტ რ. ა-მის მიმართ პატივისა და ღირსების შელახვით მიყენებული მორალური ზიანის - შპს ჟურნალი "... " 24900 ლარის, ხოლო ჟურნალისტ რ. ა-მისათვის 100 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველზე: შპს ჟურნალ "... " გამოქვეყნდა ზ. ბ-შვილის ინტერვიუ, სადაც ამ უკანასკნელმა მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური მონაცემები გაავრცელა და მას "მოღალატე ცოლი" უწოდა. ნ. მ-მე ზ. ბ-შვილის კანონიერი მეუღლე არასოდეს ყოფილა, შესაბამისად, მას ვერც უღალატებდა. აღნიშნული ცნობების გასაბათილებლად მოსარჩელემ მიმართა მოპასუხეებს, თუმცა მათ სადავო ფაქტების საჯაროდ უარყოფის შესაძლებლობა ნ. მ-მეს არ მისცეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიიჩნიეს, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილიდან გამომდინარე, მათი ბრალეული ქმედება ნ. მ-მესთან მიმართებით ვერ დაასაბუთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 მაისის განჩინებით საქმის წარმოება ჟურნალისტ რ. ა-მის მიმართ შეწყდა მოსარჩელის მიერ ამ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო. ამავე სასამართლოს 2009 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით კი ნ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. მ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებით ნ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლო სხდომაზე მხარეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 387-ე, 231-ე მუხლებით, 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და დაადგინა, რომ 2010 წლის 9 თებერვალს, 13.00 საათზე დანიშნული იყო ნ. მ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა, რაც ნ.მ-მეს 2010 წლის 29 იანვარს სატელეფონო შეტყობინებით, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლო უწყებით ეცნობათ. დანიშნულ დროს სასამართლო სხდომაზე მხარეები არ გამოცხადდნენ. სასამართლო სხდომა გაიხსნა 10 წუთის დაგვიანებით და ამ პერიოდისათვის არც ერთი მხარე #13 დარბაზში არ გამოცხადებულა. სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ პალატა კიდევ 10 წუთის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა მხარეთა გამოცხადებას და შემდეგ განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. მ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ნ. მ-მე 2010 წლის 9 თებერვალს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, კერძოდ, 2010 წლის 1 თებერვალს ზ. ბ-შვილმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის გამოც აპელანტს დაადეს ნაკერები, იგი იყო ცუდად და ჰქონდა თავის ტკივილები, რასაც ადასტურებს 2010 წლის 5 თებერვალს სასწრაფო დახმარების გამომძიებლის ფაქტი. მითითებულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. ამასთან, ზ. ბ-შვილმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა ნ. მ-მის ინვალიდ ქალიშვილს, რომელსაც ასევე დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დამხარება.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

სააპელაციო სასამართლოში ნ. მ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2010 წლის 9 თებერვალს, 13.00 საათისათვის.

საქმის მასალებში წარმოდგენილი აქტით ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ დასტურდება, რომ საქმის განხილვის თაობაზე აპელანტ ნ. მ-მეს 2010 წლის 29 იანვარს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა. შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით ირკვევა, რომ სასამართლო უწყება 2010 წლის 8 იანვარს ჩაჰბარდა შპს ჟურნალ "...".

2010 წლის 9 თებერვალს სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და არც თავიანთი გამოუცხადებლობის თაობაზე სააპელაციო პალატას არ აცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლითა და 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, რომელთა თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამასთან, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა. აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს სააპელაციო საჩივარს, თუკი დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ მხარეთათვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, ისინი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობეს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინებით ნ.მ-მის სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ნ. მ-მე საქმის განხილვაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, რადგან 2010 წლის 1 თებერვალს ზ. ბ-შვილის მიერ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შედეგად იგი გახდა ცუდად, ასევე,

ზ. ბ-შვილმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მის ინვალიდ ქალიშვილ მ. ბ-ძეს. როგორც ნ. მ-ძეს, ისე მ. ბ-ძეს დასჭირდათ სასწრაფო სამინიდიცინო დახმარება.

აღნიშნულ გარემოებათა დასადასტურებლად მხარემ წარმოადგინა ქ.თბილისის სასწრაფო სამედიცინო დამხარების ცენტრის უფროსი ექიმის მიერ ხელმოწერილი სამედიცინო ბარათები, რომელთა თანახმად 2010 წლის 24 იანვარს მ. ბ-ძეს დაესვა "ნევროტულობის" დიაგნოზი, ხოლო 2010 წლის 5 თებერვლის ბარათში აღინიშნა, რომ ნ. მ-ძე უჩივის თავის ტკივილს, უძილობას და მისივე გადმოცემით 4 დღის წინ მიიღო ტრავმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის მიერ მითითებული გარემოებანი საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება და ნ. მ-ძის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ისეთი გარემოება, რომელიც 2010 წლის 9 თებერვლის სასამართლო პროცესზე აპელანტის გამოუცხადებლობასა და მის მიერ აღნიშნულის შესახებ სააპელაციო პალატისათვის შეტყობინებას ობიექტურად შეუძლებელს გახდიდა. კერძო საჩივარზე დართული სამედიცინო ცნობები არ ადასტურებს საქმის განხილვის დღეს აპელანტის ან მისი ოჯახის წევრის ისეთი ავადმყოფობის ფაქტს, რაც მხარეს თავისი საპროცესო მოვალეობის შესრულებაში ხელს შეუშლიდა. ამასთან, ნ. მ-ძის მიერ წარმოდგენილი ძველი თბილისის შს სამმართველოს II განყოფილების უზნის ინსპექტორ გამომძიებლის 2009 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ირკვევა, რომ ნ. მ-ძესა და ზ. ბ-შვილს შორის კონფლიქტი მოხდა 2009 წლის 25 დეკემბერს. მითითებული მტკიცებულება ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 9 თებერვალს ნ. მ-ძეს სასამართლოში გამოცხადება და აღნიშნულის შესახებ მისთვის შეტყობინება არ შეეძლო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-70-67-10

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მარტვილის რაიონულ სასამართლოს მიმართა დ. წ-ძემ გ. კ-ავას, ზ. წ-ძის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერის გაუქმების, საკუთრების უფლების აღიარებისა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ.

მარტვილის რაიონულ სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა გ. კ-ავამ დ. წ-ძის წინააღმდეგ და მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა, რომლითაც კომლის უძრავ-მოძრავი ქონება თ. ს-ავას მიერ დატოვებულ იქნა დ. გ.-ს ძე წ-ძისათვის.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. წ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გაუქმდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურში აწ გარდაცვლილ თ. ს-ავას საკუთრებაში არსებულ საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და ქ. მარტვილში, ... ქ.#15-ში საცხოვრებელი სახლის 5\6-ზე შემდგომში მე-საკუთრედ გ. კ-ავასა და თანამესაკუთრედ ზ. წ-ძის რეესტრაცია; აღიარებულ იქნა დ. წ-ძის საკუთრების უფლება დედამისის - აწ გარდაცვლილ თ.ს-ავას სახელზე რეგისტრირებული ქონების 5\6-ზე და შეტანილ იქნა ცვლილება - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ ჩანაწერში; გ. კ-ავას შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა მისი გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრი შეიტანა გ. კ-ავამ.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ივლისის განჩინებით გ. კ-ავას საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი და ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, აღნიშნულ საქმეზე 2009 წლის 24 დეკემბერს, 14.00 საათზე, დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რაზედაც მხარეები გაფრთხილებულ იქნენ კანონით დადგენილი წესით.

სხდომა გადაიდო 2009 წლის 28 დეკემბერს - 14.00 საათზე, რის თაობაზედაც ეცნობათ მხარეებს ტელეფონის მეშვეობით კანონით დადგენილი წესით.

2009 წლის 28 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი - გ. კ-ავა.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოწინააღმდეგე მხარემ და მისმა წარმომადგენელმა უარი განაცხადეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და საქმის განხილვის გადადებაზე და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის განჩინებით დ. წ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა - აპელანტის გამოუცხადებლობის გამო გ. კ-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, აღნიშნულ საქმეზე 2009 წლის 24 დეკემბერს, 14.00 საათზე, დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რაზედაც მხარეები გაფრთხილებულ იქნენ კანონით დადგენილი წესით. სხდომა გადაიდო 2009 წლის 28 დეკემბერს, 14.00 საათზე, რის თაობაზედაც ეცნობათ მხარეებს ტელეფონის მეშვეობით კანონით დადგენილი წესით. 2009 წლის 28 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი - გ. კ-ავა.

პროცესის დაწყებამდე თანაშემწე სააპელაციო სასამართლოს ტელეფონით დაუკავშირდა გ. კ-ავას გამოუცხადებლობის მიზეზის გასარკვევად, რაზედაც გ. კ-ავამ განაცხადა, რომ იცის დღევანდელი პროცესის თაობაზე, მაგრამ არის მძიმე მდგომარეობაში, ძალიან გაჭირვებული და არ ჰქონდა ქუთაისში ჩამოსასვლელად საჭირო ფული.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტის განმარტება სატელეფონო საუბრისას არ შეიცავს მითითებას იმ კონკრეტულ და დასაბუთებულ გარემოებაზე, რომ რა მძიმე მდგომარეობის გამო ვერ შეძლო 2009 წლის 28 დეკემბერს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, პალატა თვლის, რომ გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის საფუძველი არ არსებობს და, შესაბამისად, სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. კ-ავამ. მან მიუთითა, რომ იგი არის სოციალურად დაუცველი და იღებს შემწეობას - 30 ლარს. პროცესზე ვერ გამოცხადდა უსახსრობის გამო. სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მისი ფინანსური მდგომარეობა და გადაედო საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ გ. კ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მესამე ნაწილის, 229-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე და მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ამავე კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება) დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. საპატიო მიზეზად ითვლება მხარის ავადმყოფობა, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობას.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აპელანტ გ. კ-ავას სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 24 დეკემბერს, 14.00 საათზე, რაზედაც მხარეები გაფრთხილებულ იქნენ კანონით დადგენილი წესით. სხდომა გადაიდო 2009 წლის 28 დეკემბერს, 14.00 საათზე, რის თაობაზედაც ეცნობათ მხარეებს ტელეფონით კანონით დადგენილი წესით. 2009 წლის 28 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი - გ. კ-ავა.

დადგენილია, რომ პროცესის დაწყებამდე თანაშემწე სააპელაციო სასამართლოს ტელეფონით დაუკავშირდა გ. კ-ავას გამოუცხადებლობის მიზეზის გასარკვევად, რაზედაც გ. კ-ავამ განაცხადა, რომ იცის დღევანდელი პროცესის თაობაზე, მაგრამ არის მძიმე მდგომარეობაში, ძალიან გაჭირვებული და არ ჰქონდა ქუთაისში ჩამოსასვლელად საჭირო ფული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ იქნა მითითებული და დადასტურებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა გ. კ-ავას სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. კ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლოში პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-277-262-10

22 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სს „ს. ლ-ს“ მიმართ და მოითხოვა, მოპასუხეს დაკისრებოდა მის მიერ გადახდილი ავტომანქანის ღირებულება - 15 241 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით ა. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ვ. კ-შვილმა. მათ მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინებით ა. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო ის გარემოებანი 2010 წლის 20 იანვარს სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას ღებულობდნენ აპელანტი ა. მ-შვილი და მისი წარმომადგენელი ვ. კ-შვილი. ამავე სხდომაზე განჩინებით განისაზღვრა მომავალი სხდომის თარიღი, რის თაობაზეც ეცნობათ სხდომაზე გამოცხადებულ პირებს, რაც დასტურდება ხელწერილზე მათი ხელმოწერით. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარეს - სს "ს. ლ-ს", 2010 წლის 24 თებერვლის სხდომის დღის შესახებ უწყება ჩაჰბარდა სააპელაციო საზოგადოების დირექტორის ნ. წ-ლის მეუღლე - ზ. წ-ელს. აღნიშნული დადასტურებულია საფოსტო გზავნილით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეები სათანადო წესით იყვნენ გაფრთხილებული სხდომის შესახებ, ხოლო მათ სხდომის გადადების შუამდგომლობით სასამართლოსთვის არ მიუმართავთ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მხარეთა გამოუცხადებლობა ჩათვალა არასაპატიოდ.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ა. მ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ვ. კ-შვილმა.

კერძოს საჩივრის ავტორის, ა. მ-შვილის განმარტებით, 2010 წლის 24 თებერვლის სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მას ავადმყოფობის გამო ფიზიკურად არ შეეძლო მოძრაობა და მკურნალობის სახით დანიშნული ჰქონდა წოლითი რეჟიმი. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ის არის მძიმე ავადმყოფი, აქვს ონკოლოგიური დაავადება, კერძოდ, ტარუჯრედოვანი სარკომა, რის გამოც შეზღუდული აქვს მოძრაობა. მკურნალობა საჭიროებს ხანგრძლივ პროცესს და თან ახლავს პერიოდული გართულებები, რამაც თავი იჩინა 2010 წლის 24 თებერვალს. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა, მტკიცებულების სახით წარმოადგინა ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

რაც შეეხება ა. მ-შვილის წარმომადგენლის-ვ. კ-შვილის გამოუცხადებლობას სასამართლო სხდომაზე, აღნიშნულის თაობაზე კერძო საჩივარში მითითებულია, რომ ეს ფაქტი განპირობებული იყო ფეხის ტრავმით, რის გამოც მას 24 თებერვლისათვის არ შეეძლო გადაადგილება და დანიშნული ჰქონდა წოლითი რეჟიმი. კერძო საჩივარს თან ერთვის აღნიშნულის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა ა. მ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ვ. კ-შვილმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

საკასაციო პალატა იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მხარეები 2010 წლის 24 თებერვლის სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყვნენ ხელწერილით, სადაც მითითებული იყო სხდომის დრო და თარიღი.

კერძო საჩივრის ავტორმა მისი და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიუთითა ავადმყოფობაზე და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც თან ერთვის კერძო საჩივარს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტურ გარემოებები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

ამასთან, ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და პირდაპირ მიუთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის მიერ სასამართლოსათვის მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სამედიცინო ცნობას, საკასაციო პალატა ვერ განიხილავს მისი პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. მართალია, ცნობას ხელს აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, მაგრამ აღნიშნული ცნობით არ დასტურდება ა. მ-შვილის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობა. აღნიშნული ცნობით ა. მ-შვილის წოლითი რეჟიმი მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათისაა. ონკოლოგიური დაავადება დროში განგრძობადი ხანგრძლივი პროცესია და ის გარემოება, რომ მხარე სარკომით დაავადებული პირია, ცალსახად არ წარმოადგენს პროცესზე მისი გამოუცხადებლობის საპატიო საფუძველს. დასახელებული ცნობა არ შეიცავს მითითებას მხარისათვის

გადაადგილების შემზღვეველ გარემოებებზე, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობაზე, მისი მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო პალატა ასევე ვერ მიიღებს მხედველობაში ვ. კ-შვილის ავადმყოფობის დამადასტურებელ ცნობას. მართალია, ცნობაში მითითებულია მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი, მაგრამ არ ირკვევა, რა სტატუსის მქონე პირი აწერს ხელს, არის თუ არა იგი დაწესებულების ხელმძღვანელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელი პირის მიერ გაცემულ ცნობას ანიჭებს გასაზიარებელი მტკიცებულების ძალას. დი-აგნოზიკ არ იძლევა იმის ვარაუდს, რომ მხარეს გადაადგილება არ შეეძლო, რის გამოც ვერ მიიღებდა მონაწილეობას 2010 წლის 24 თებერვლის სასამართლო სხდომაზე. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მხარეს შეეძლო, წინასწარ მიემართა სააპელაციო სასამართლოსთვის, ეცნობებინა პროცესზე გამოუცხადებლობის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის თაობაზე და ამით თავიდან აეცილებინა დამდგარი შედეგი, თუმცა აღნიშნულ მოქმედებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ა. მ-შვილისა და მისი წარმომადგენლის ვ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი და კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. მ-შვილისა და მისი წარმომადგენლის ვ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინება; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობა

განჩინება

#ას-457-771-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: რეგისტრაციის გაუქმება, უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-შვილმა სარჩელი აღძრა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა აბაშის რაიონის სოფ. ...-ში ვ. გ-შვილის სახელზე რიცხული სახლისა და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის გაუქმება, მითითებული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრისათვის საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციის დავალება შემდეგი საფუძვლებით: აბაშის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა მოსარჩელის სახელზე. 2003 წელს მან შიტყო, რომ 1984 წლის ჩანაწერით მისი კომლი გაუქმდა, კომლში ჩაეწერა და სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ უკანონოდ აღირიცხა მოსარჩელის მამა ვ. გ-შვილი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მითითებით, ი. გ-შვილის კომლი კანონიერად გაუქმდა, რადგან იგი იყო კომლის უკანასკნელი წევრი, საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში და სოფელთან კავშირი გაწყვიტა, რის გამოც, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისი კომლი ავტომატურად გაუქმდა.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აბაშის რაიონის სოფ. ...-ის 1983-1985 წლების სა-

კომლო წიგნში ი. გ-შვილის კომლის გაუქმების შესახებ ჩანაწერი გაუქმდა, დანარჩენ ნაწილში კი სასარჩელო მოთხოვნებს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ი. გ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 აპრილის განჩინებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 1 აპრილს, 14.00 საათზე, რის შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ეცნობა აპელანტის წარმომადგენელს. აღნიშნულის მიუხედავად, აპელანტი სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი, მე-3 ნაწილებით, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიიჩნია, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის მიხედვად, მოწინააღმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ მოუთხოვია და საქმის განხილვის გადადებაზე უარი განაცხადა, შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. გ-შვილის წარმომადგენელმა ე. წ-ვამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმევე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნული იყო 2009 წლის 25 მარტს, თუმცა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარების დასტური არ გააჩნდა, ე. წ-ვა დასთანხმდა, სხდომის 2009 წლის 1 აპრილს, 14 საათისათვის გადადებას. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა განუმარტა სასამართლოს, რომ პროცესზე უნდა ჩასულიყო ქ.თბილისიდან და მოითხოვა სხდომის 15 საათზე დანიშვნა, რაზეც სასამართლომ დაარწმუნა, რომ დაგვიანებისათვის მას პრობლემა არ შეექმნებოდა. სასამართლოს მიერ დაინიშნულ დღეს იგი სხდომაზე გამოცხადდა 30 წუთის დაგვიანებით, ვინაიდან გზაში მწყობრიდან გამოვიდა სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც იგი მგზავრობდა. ე. წ-ვამ სცადა ამის შესახებ ეცნობებინა სასამართლოსათვის და დარეკა მისი მარწმუნებლის ყოფილი წარმომადგენლისთვის გაგზავნილ განჩინებაში მითითებულ მოსამართლის თანამემწის ტელეფონის ნომერზე, მაგრამ აღნიშნული ნომერი არასწორი აღმოჩნდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტი გულისხმობს, რომ სასამართლო უწყება სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს სასამართლოსთან დასაკავშირებლად ზუსტ და უტყუარ მონაცემებს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შესრულდა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 1 აპრილს, 14.00 საათზე, რის შესახებ აპელანტის წარმომადგენელ ე. წ-ვას კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ხელწერილი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო 2009 წლის 1 აპრილს, 14.25 საათზე და გაგრძელდა 14.45 საათამდე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ დაინიშნულ დროს არც ი. გ-შვილი და არც მისი წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ უცნობებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-შვილის წარმომადგენელ ე. წ-ვას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასა-

მართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 1 აპრილის სასამართლო სხდომაზე აპელანტი მხარე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი პალატას არ აცნობა, მოწინააღმდეგე მხარემ კი იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აბაშის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელთა ზემოხსენებული შუამდგომლობა საფუძვლიანია და ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი სწორად დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აპელანტის წარმომადგენელი ე. წ-ვა საქმის განხილვისათვის დადგინდეს დროს სასამართლოში საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, რადგან სასამართლომ ვერ უზრუნველყო თავისი საკონტაქტო მონაცემების მხარისათვის მიწოდება და ე. წ-ვამ ვერ შეატყობინა სააპელაციო პალატას ქ.თბილისიდან ქ.ქუთაისში მგზავრობისას სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში. ე. წ-ვას ასეთი მიზეზის არსებობა, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სათანადოდ არ დაუსაბუთებია. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც კერძო საჩივარში დასახელებულ ფაქტებს (სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას, სასამართლოში გამოცხადებას, თუნდაც 30 წუთის დაგვიანებით) დაადასტურებდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-შვილის წარმომადგენელ ე. წ-ვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლოში პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-564-532-10

22 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება, შინაურული ანდერძისა და ქორწინების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. ა-მემ, მოპასუხედ დაასახელა ა. უ-მე და მოითხოვა მისი არასრულწლოვანი შვილის თ. უ-მის აწ გარდაცვლილი ბებიის, ყ. უ-მის მთლიანი ქონების მემკვიდრედ ცნობა, როგორც იდეალური, ასევე, რეალური წილის სახით, ასევე, მოპასუხის მფლობელობაში არსებული, მამკვიდრებლის მიერ დატოვებული მოძრავი ნივთების ნატურით დაბრუნება და მოპასუხის გამოსახლება დანაშთი საცხოვრებელი სახლიდან.

2009 წლის 2 და 9 თებერვალს, თ. ა-მემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ქ.ქუთაისში, ... ქ.#7-ში მდებარე, აწ გარდაცვლილი ჟ. უ-ძის საკუთრებაში რეგისტრირებულ საცხოვრებელ სახლზე, მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის, ა. უ-ძის, მიერ გაწეული სამუშაოების ხარჯის - 800 ლარის ანაზღაურება, ასევე, ჟ. უ-ძის მიერ 2006 წლის 19 ნოემბერს შედგენილი შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - თ. უ-ძე ცნობილ იქნა ბეზისი, ჟ. უ-ძის, დანაშთი უძრავ-მომრავი ქონების მემკვიდრედ ა. უ-ძესთან ერთად და გამოეყო რეალური სამკვიდროს უძრავი და მოძრავი ქონება მდებარე ქ.ქუთაისში, ... ქ.#7-ში თავისი წილის შესაბამისად; ბათილად იქნა ცნობილი ჟ. უ-ძის 2006 წლის 9 ნოემბრის შინაურული ანდერძი, როგორც ფორმის დაუცველად დადებული გარიგება; სარჩელი ქ.ქუთაისში, ... ქ.#7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან ა. უ-ძის გამოსახლებისა და 800 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. უ-ძის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით ა. უ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება თ. ა-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ა. უ-ძის შვილები: კ. უ-ძე და დ. უ-ძე.

2009 წლის 25 დეკემბერს მესამე პირებმა, კ. უ-ძემ და დ. უ-ძე-კ-მემ დამოუკიდებელი სარჩელი წარადგინეს სასამართლოში, მოპასუხედ დაასახელეს თ. ა-ძე და ა. უ-ძე და ქ.ქუთაისში, ... ქ.#7-ში მდებარე, აწ გარდაცვლილი ჟ. უ-ძის დანაშთი უძრავ-მომრავი ქონებაზე მემკვიდრედ ცნობა და აწ გარდაცვლილი მამის, ა. უ-ძის, სამკვიდროდან რეალური წილის გამოყოფა მოითხოვეს, ასევე, მოითხოვეს ჟ. უ-ძის მიერ 2006 წლის 19 ნოემბერს შედგენილი შინაურული ანდერძისა და თ. ა-ძისა და ა. უ-ძის ქორწინების ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის, კ. და დ. უ-ძეების სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თ. უ-ძე, კ. და დ. უ-ძეები ცნობილ იქნენ მემკვიდრეებად უძრავ-მომრავი ქონებაზე მდებარე ქ.ქუთაისში, ... ქ.#7-ში და გამოეყოთ რეალური წილი მათი მამის აწ გარდაცვლილი ა. უ-ძის კუთვნილი სამკვიდრო 1/2-დან; ბათილად იქნა ცნობილი ჟ. უ-ძის 2006 წლის 9 ნოემბრის შინაურული ანდერძი როგორც ფორმის დაუცველად დადებული; კ. და დ. უ-ძეების მოთხოვნა თ. ა-ძისა და ა. უ-ძის ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-ძის წარმომადგენელმა ნ. ზ-მემ და მისი ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა, კერძოდ, მან მოპასუხე ა. უ-ძისათვის დანაშთი ქონების 1/2-ზე უარის თქმა, მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თ. უ-ძის აწ გარდაცვლილი ჟ. უ-ძის დანაშთი ქონების 1/2-ზე მემკვიდრედ ცნობა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინებით თ. ა-ძის წარმომადგენელ ნ. ზ-ძის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

დადგენილია, რომ 2010 წლის 14 მაისს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი და მისი წარმომადგენელი ნ. ზ-ძე, რომელიც სასამართლო სხდომაზე მოწვევისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე იყო გაფრთხილებული. მიუხედავად ამისა, აპელანტი მხარე სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა და არც რაიმე შეტყობინება გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე სასამართლოში არ წარმოუდგენია.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა ა. უ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა, ასევე, მესამე პირების წარმომადგენელმა უარი განაცხადეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, ასევე, საქმის განხილვის გადადებაზე და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტი არ გამოცხადდა სხდომაზე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე, დასახელებული შუამდგომლობა იყო სამართლებრივად საფუძვლიანი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ა-ძის წარმომადგენელმა ნ. ზ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 და 17 მაისს მიმართა შესაბამისი განცხადებებით, რითაც მოითხოვა პროცესზე დაგვიანებული 2 საათის აღდგენა. თუმცა აღნიშნულ განცხადებებზე სააპელაციო სასამართლოს რეაგირება არ მოუხდენია, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის უფლება დაირღვა და

სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლი და აღედგინა საპროცესო ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინებით თ. ა-ძის წარმომადგენელ ნ. ზ-ძის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები განსაზღვრავს საპროცესო მოქმედების მხარისათვის შეტყობინების წესს. კერძოდ კი 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამასთან, წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2010 წლის 14 მაისს დანიშნული პროცესის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით გაფრთხილებულ იქნა თ. ა-ძის წარმომადგენელი ნ. ზ-ძე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მითითებას, რომ მან ვერ უზრუნველყო აპელანტის გაფრთხილება 14 მაისის სხდომის დროის შესახებ, ვერ მიიღებს მხედველობაში, როგორც საპატიო გარემოებას. ნ. ზ-ძე თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებული იყო მხარე გაეფრთხილებინა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის დღისა და დროის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი განმარტავს, რომ მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 და 17 მაისს მიმართა შესაბამისი განცხადებებით, რითაც მოითხოვა პროცესზე დაგვიანებული 2 საათის აღდგენა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო განცხადებას საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე დააკმაყოფილებს იმ შემთხვევაში თუ ცნობს, რომ საპროცესო ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა.

მხარის სასამართლოს პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. შესაბამისად, ნ. ზ-ძის მიერ მითითებული გარემოება რომ ის გეგუთის კოლონიაში მსჯავრდებულთან იმყოფებოდა არ წარმოადგენს პროცესზე გამოუცხადებლობის თუ დაგვიანების საპატიო გარემოებას. ამასთან მხარეს შეეძლო წინასწარ მიემართა სააპელაციო სასამართლოსთვის, ეცნობებინა პროცესზე გამოუცხადებლობის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის თაობაზე და ამით თავიდან აეცილებინა დამდგარი შედეგი, თუმცა აღნიშნულ მოქმედებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად დატოვა განუხილველი თ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი და არ არსებობს თ. ა-ძის წარმომადგენლის ნ. ზ-ძის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ა-ძის წარმომადგენლის ნ. ზ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლოში პროცესზე მხარის
გამოცხადების შეუძლებლობა**

განჩინება

#ას-845-794-2010

1 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ქ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ა-შვილის მიმართ მოპასუხის მიერ მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და მოძრავი ნივთების დაბრუნების შესახებ იმ საფუძველით, რომ მხარეები არიან მეზობლები. ზ.ქ-იამ მ.ა-შვილს მიჰყიდა კუთვნილი სარდაფის ნაწილი, თუმცა მოპასუხე ხელს უშლის მას სარდაფის დარჩენილი ნაწილით სარგებლობაში და მანვე მითვისა მოსარჩელის კუთვნილი ნივთები.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ქ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხეს აკრძალა მოსარჩელის სარდაფში ჩასასვლელით სარგებლობისას ხელშეშლა, მასვე გადაეცა ჩასასვლელი კარის გასაღები და მოხდა საერთო სარგებლობის ფართში მოპასუხის მიერ დამონტაჟებული სტელაჟების დემონტაჟი; ზ. ქ-იას სარჩელი მოპასუხის ფართში დამონტაჟებული სტელაჟების დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ა-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინებით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აპელანტ მ.ა-შვილს სასამართლო სხდომის თარიღი ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით, თუმცა მხარე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე საფუძველიანია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ა-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა, ვინაიდან აპელანტის სადავო სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით - მ.ა-შვილის ავადმყოფობით, რაც დასტურდება კერძო საჩივარზე თანდართული სამედიცინო ცნობებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოდავე მხარეები, რომელთაც საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდათ, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სასამართლოს არ აცნობეს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ აპელანტ მ. ა-შვილს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს პროცესზე არ გამოცხადდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ მ. ა-შვილი სადავო სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით - ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა და ვერც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ აცნობა სააპელაციო პალატას, ვინაიდან იგი იყო ავად და ობიექტურად არ გააჩნდა ზემოხსენებული საპროცესო მოქმედებების შესრულების შესაძლებლობა.

აღნიშნული გარემოება დასტურდება კერძო საჩივარზე დართული სამედიცინო ცნობებით, რომელთა მიხედვით 2010 წლის 2 აგვისტოს მ. ა-შვილმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს "ქ. თბილისის #3 სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრს", ავადმყოფის სტაციონარში გაგზავნისას მისი მდგომარეობა იყო მძიმე, მ. ა-შვილი უმეტესად მწოლიარეა და საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი კანონის ზემოხსენებულ დანაწესს შეესაბამება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ა-შვილის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება კი უნდა გაუქმდეს და საქმე გაეგზავნოს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ა-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

სასამართლოში პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-955-898-2010

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს "... ბანკმა" სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ვ-იას, შ. ვ-იასა და თ. თ-იას მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი დავალიანების დაკისრებისა და მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ჩხორიწყუს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ვ-იას, შ. ვ-იასა და თ. თ-იას სოლიდარულად დაეკისრათ სს "... ბანკის" სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილის - 2955,30 ლარის გადახდა, ასევე ერთი თვის სარგებლის - 286,56 ლარისა და პირგასამტეხლოს - 147,77 ლარის, სულ 3389,63 ლარის გადახდა, ასევე დაკმაყოფილდა სს "... ბანკის" მოთხოვნა ვალდებულების შესრულებისათვის იპოთეკით დატვირთული შ.ვ-იას კუთვნილი 0,145 ჰა მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების (საერთო 244,1 კვ.მ) აუქციონზე იძულებით რეალიზაციის მოთხოვნა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სს "... ბანკმა" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 სექტემბრის განჩინებით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სს "... ბანკის" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული საქმის 2010 წლის 2 სექტემბერს განხილვის შესახებ აპელანტ სს "... ბანკის" წარმომადგენელ თ. ბ-უას ამავე წლის 23 აგვისტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა და განემარტა პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგები. აღნიშნულის მიუხედავად აპელანტი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა თ. ბ-უას შუამდგომლობა სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების შესახებ იმ მოტივით, რომ თ. ბ-უა 2010 წლის 2 სექტემბერს ამავე ბანკს წარმოადგენდა სენაკის რაიონულ სასამართლოში, რის გამოც ვერ გამოცხადდებოდა სააპელაციო პალატის სხდომაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სენაკის რაიონულ სასამართლოში ხსენებული დავის განხილვის თაობაზე თ. ბ-უას ეცნობა 2010 წლის 24 აგვისტოს, ანუ სააპელაციო პალატის სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილების შემდეგ, ამდენად, აპელანტის წარმომადგენლის პროცესზე გამოუცხადებლობა არასაპატიოა და მისი შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 229-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საფუძვლიანია მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს "... ბანკის" წარმომადგენელმა თ. ბ-უამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, სს "... ბანკის" წარმომადგენელმა თ.ბ-უამ წინასწარ აცნობა სასამართლოს, რომ საქმის განხილვის დღეს ბანკის სახელით მონაწილეობდა სენაკის რაიონულ სასამართლოში ჩანიშნულ პროცესზე და ვერ გამოცხადდებოდა საქმის განხილვაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს "... ბანკის" წარმომადგენელ თ. ბ-უას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წი-

ნადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მას 2010 წლის 2 სექტემბრის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სს "... ბანკის" სასამართლო პროცესზე თავისი გამოუცხადებლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის არსებობა არ დაუდასტურებია.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 2 სექტემბრის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა საპატიოდ არასწორად არ ჩათვალა, რადგან არ გაიზიარა აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულება - სენაკის რაიონული სასამართლოს უწყება, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტით უტყუარად არ დასტურდება, რომ აპელანტს - სს "... ბანკს" ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა, სადავო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტი იურიდიული პირია და საზოგადოების ხელმძღვანელობას უნდა უზრუნველყო სააპელაციო სასამართლოში თ.ბ-უას ან სხვა წარმომადგენლის გამოცხადება მით უფრო, რომ ბანკს როგორც სენაკის რაიონულ, ისე სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა განხილვის თაობაზე წინასწარ, გონივრულ ვადაში ეცნობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "... ბანკის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.